საზოგადოებრივ-პოლიტიკური გამოცემა
www.geworld.ge
№42 (607)
24 - 30 ნოემბერი, 2021
# საქართველო და მსოფლიო
ფასი 1 ლარი
geworld@inbox.ru



10 **არ მოუსმინოთ პროვოკატორებს!**

## «ოცნების» ლურჯ ტყავში გახვეული «ნაციონალური მოძრაობა» 2



„ოცნების“ ახალგაყვანილი მერების 70%-ზე მეტი „ნაციონალური მოძრაობის“ არათუ რიგითი წევრი, არამედ აქტიური მხარდამჭერი და მაღალჩინოსანი იყო

## 6-7 შენი დრო წავიდა, მიხეილ, დაოკდი ცოტა!



**შენი სიგიჟით ამერიკელებიც დაიღალნენ!**



ბონდო მძინარაშვილი

**«სააკაშვილი «დივი-დენდებს» ითხოვს...»** 11

**«ციხე მისი «კინო-თეატრი» იყო»**



ნინო ახობაძე





**«კილერა», «მოშიმშილე» სააკაშვილი, «პრახადნოი დვორად» ქცეული ციხე და სახალხო ნაცდამცველი** 4



3 **2024 წელს აშშ-ს ჰაერივით დასჭირდება რუსეთის პროვოცირება და... სააკაშვილის ხელისუფლებაში დაბრუნების იდეა უფრო და უფრო მოსწონს**



**დასავლური იდეოლოგიით გაბრიყვებული ქართველი ახალგაზრდობა** 8-9

17



**ქართველთა რუსოფობია – საქართველოს ტრაგედია**



**რას ნიშნავს მამულის მსახურება მაშინ, როცა «ცხრა მთას გადაღმიდან მოყვანილ ძიძას ვაბარივართ»?** 20

სამართლის მოლოდინში

www.geworld.ge

თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**მე რატომ მაჩვენებ ამ ვიდეოს, მე, რიგით ადამიანს, რიგით ამომრჩეველს, რომელიც, აგერ უკვე მერამდენე არჩევნებია, გენდე და ხელისუფლებაში დაგტოვე? დაგტოვე იმიტომ, რომ არ მინდა „ნაციონალური მოძრაობის“ დაბრუნება, მაგრამ შენ, „ქართულო ოცნებავ“, ნაციონალებს ნაწილ-ნაწილ აბრუნებ, ისევ ცხვირში მტენი, ვირისა და პიტნის არ იყოს და თანაც მიმტკიცებ, უნდა დავასრულოო.**

# «ოცნების» ლურჯ ტყავში გახვეული «ნაციონალური მოძრაობა»

## «ოცნების» ახალგაყვანილი მერების 70%-ზე მეტი «ნაციონალური მოძრაობის» არათუ რიგითი წევრი, არამედ აქტიური მხარდამჭერი და მაღალჩინოსანი იყო

**მაშინ, როცა ხელისუფლებას ყველაზე მეტად უჭირს, სოციალურ ქსელებში ჩნდება ვიდეოკადრები, რომლებიც წინა ხელისუფლების პერიოდში ჩადენილ დანაშაულებს ასახავს. ადრე ამ ვიდეოებს უცნობი პირები ავრცელებდნენ (და, სავარაუდოდ, იმ საქმეში ხელისუფლების ხელი ერია), ახლა კი სახელმწიფო უწყებები, ძირითადად შსს, ავრცელებს კადრებს და გვახსენებს, რას აკეთებდა „ნაციონალური ხელისუფლება“.**

ცოტა ხნის წინათ გავრცელდა ვიდეომასალა, რომელშიც ნათლად ჩანს, როგორ ეპყრობიან ერთ-ერთ პატიმარს გლდანის ციხის იმჟამინდელი უფროსი **ალექსანდრე მუხაძე** (მეტსახელად „ქილერა“) და სამხედრო პოლიციის შეფი **მეგის ქარდავა,** რომელიც ორიოდე თვის წინათ ჩამოიყვანეს უკრაინიდან და, იმის მიუხედავად, რომ სასჯელი დაუსწრებლად მისჯილი ჰქონდა, ახალი ბრალიც წაუყენეს და სასამართლოც მიმდინარეობს. **მეგის ქარდავამ თავი პოლიტპატიმრად გამოაცხადა, მაგრამ იმდენი დანაშაული აქვს ჩადენილი, „ნაციონალური მოძრაობაც“ არ იცავს და აგერ, მიხეილ სააკაშვილმა ქარდავასთან ნაცნობობაც კი ისე უარყო, მამლის ყივილს არ დალოდებია. არადა, სააკაშვილმა ქარდავა 2012 წელს ღირსების მედლით დააჯილდოვა. იმ ვიდეოს მეორე გმირი, მუხაძე კი, დღემდე იძებნება.**

სანამ მთავარ სათქმელზე გადავალთ, ხელისუფლების საყურადღებოდ ვიტყვით, რომ მუხაძეს ცუდად ეძებთ. უფრო ზუსტად, საერთოდ, არ ეძებთ, რადგან ყველამ იცის, „ქილერა“ ავსტრიასა და უნგრეთს შორის მოძრაობს, ზუსტად ისე, როგორც **ზურაბ ადეიშვილი** (მუხაძე ადეიშვილის კადრია) და მისი პოვნა რთული არ არის. უფრო მეტიც, მარტივად შეგიძლიათ იმავე ავსტრიას ან უნგრეთს მისი დაკავება მოსთხოვოთ და თუნდაც ეს ვიდეო გაუგზავნოთ, ჩვენ რომ გვაყურებინებთ, მაგრამ რატომღაც უცხოელებზე არ ჭრის არც ვიდეოები, არც თქვენ მიერ წაყენებული ბრალდებები, თორემ აქამდე ჩამოიყვანდით **დავით კეზერაშვილს, დათა ახალაიას, იოსებ თოფურიძეს... ანუ, პრაქტიკულად, ყველა ძებნილის არათუ საცხოვრებელი ადგილი (ქვეყანა), არამედ ზუსტი მისამართიც იციან ქართველმა სამართალდამცველებმა, მაგრამ ვერაფერს ახერხებენ. და მისამართი რატომ? იმიტომ, რომ ამ ადამიანებთან ოჯახის წევრები სტუმრად დადიან, დღესასწაულებს ერთად ატარებენ და ესეც ყველამ იცის. აქედან გამომდინარე, ის, რომ ვიღაცებს ეძებენ და თურმე ვერ პოულობენ, თვალში ნაცრის შეყრაა.**

ახლა იმაზე ვთქვათ, რასაც, აგერ უკვე მეათე წელია, გვპირდება ხელისუფლება — „ნაციონალური მოძრაობის“ დამთავრებაზე. ამის პირობა ჯერ **ბიძინა ივანიშვილმა** დადო, შემდეგ — **ირაკლი ღარიბაშვილმაა,** შემდეგ — **გიორგი კვირიკაშვილმა,** შემდეგ — **გიორგი გახარიამ,** შემდეგ — ისევ ღარიბაშვილმა და ვერაფრით დაამთავრეს ნაცები. დაამთავრეს კი არა, არჩევნებიდან არჩევნებამდე მათი მხარდამჭერების რაოდენობა მატულობს და დამთავრებისკენ „ქართული ოცნება“ მიდის. მეგის ქარდავა მონსტრად რომ გამოიყვანეთ (ისე, კი იყო), იმას რატომ არ იხსენებთ, რომ იმ პერიოდში, როცა ქარდავა სამხედრო პოლიციის უფროსი იყო და ყველაფრის უფლება ჰქონდა, საქართველოს შეიარაღებული ძალების გაერთიანებული შტაბის სამხედრო პოლიციის დეპარტამენტის მეხუთე რეგიონული, აჭარის სამმართველოს უფროსი **არჩილ ჩიქოვანი** იყო. ჰო, არჩილ ჩიქოვანი, რომელიც ოფიციალურად ითვლებოდა ქარდავას მოადგილედ და 2012 წელს, როცა ხელისუფლება შეიცვალა, სხვებთან ერთად ელოდა დაკავებას და ცოტა ხნით ქვეყანაც კი დატოვა. მაგრამ არა, **იმის მიუხედავად, რომ „ქართული ოცნების“ აჭარის აქტივი კატეგორიულად მოითხოვდა ჩიქოვანის გასამართლებას, იმხანად ხელისუფლებამ ვერ მოიცალა, მაგრამ ახლა მოიცალა ჩიქოვანისთვის და დღეს ის ბათუმის მერია.** ისე არ გაიგოთ, მხოლოდ ჩიქოვანთან გვქონდეს პრეტენზია. არა, ბატონებო, **„ოცნების“ ახალგაყვანილი მერების 70%-ზე მეტი „ნაციონალური მოძრაობის“ არათუ რიგითი წევრი, არამედ აქტიური მხარდამჭერი და მაღალჩინოსანი იყო. ჰოდა, იმას რომ გვიმტკიცებთ, „ნაცმოძრაობა“ უნდა დავამთავროთო, ვერ დაამთავრებთ, რადგან ადგილობრივ თვითმმართველობებში წამყვან თანამდებობებზე გყავთ, პარლამენტში გყავთ, ძალოვან სტრუქტურებში გყავთ და ნუ გიკვირთ, თუ არჩევნებიდან არჩევნებამდე „ნაციონალური მოძრაობის“ მხარდამჭერთა რაოდენობა იზრდება.** „ოცნების“ ხელისუფლებაში მოკალათებული ნაცები იმ დროს შენატრიან, როცა ყველაფრის უფლება ჰქონდათ, როცა ადამიანის მოკვლასაც კი მიუტევებდნენ, როცა ამ ქვეყნის ბატონ-პატრონები იყვნენ და ამიტომ ღიად თუ ფარულად ისევ მხარს უჭერენ „ნაციონალურ მოძრაობას“, ისევ ცდილობენ, კრიმინალები დაბრუნდნენ ხელისუფლებაში და არ გეგონოთ, დაბრუნების შემთხვევაში ამ ხალხს მოიშორებენ. არა, ბატონებო, ისინი „ისპალნიტელები“ არიან (ამ ტერმინით მოიხსენიებდნენ თავის დროზე) და ამიტომ კვლავ დასჭირდებათ ნაციონალებს. **ახლა ნაცებმა ბოლომდე გამოაჩინეს სახე, დღის სინათლეზე გამოვიდნენ ოდიოზური ფიგურები, რომლებიც კარგად ჰყავდათ გადამალული, მაგრამ ახლა სისხლის სუნი იგრძნეს და გამოჩნდნენ. გამოჩნდნენ გივი თარგამაძე, აკო მინაშვილი, გოკა გაბაშვილი, მიშა მაჭავარიანი, ნუგზარ წიკლაური...**



**«ქართულო ოცნებავ», ერთ-ერთი თქვენი გულმხურვალე მხარდამჭერი, იცით, ამას წინათ რას ამბობდა? იმ კაცის დედა ვატირე, რომელსაც ნაციონალების დაბრუნება უნდოდეს, მაგრამ, ღმერთო, ისე ნუ მომკლავ, «ოცნების» ლიდერები გამწარებული არ მანახო იმ უსამართლობის განცდით, რომელიც ახლა მე მაქვსო. ჰო, ამას ერთი კაცი ამბობდა, მაგრამ მალე ბევრი იტყვის და, ნაციონალებს მხარს იმიტომ კი არ დაუჭერს, მათი დაბრუნება რომ მოუნდება, არამედ იმიტომ, რომ თქვენ დაგსაჯონ იმ უნიათობისთვის, რომელსაც ქვეყნის მტრის (ზუსტად მტრის) წინააღმდეგ იჩენთ**

**ჰოდა, მე რატომ მაჩვენებ ამ ვიდეოს, მე, რიგით ადამიანს, რიგით ამომრჩეველს, რომელიც, აგერ უკვე მერამდენე არჩევნებია, გენდე და ხელისუფლებაში დაგტოვე? დაგტოვე იმიტომ, რომ არ მინდა „ნაციონალური მოძრაობის“ დაბრუნება, მაგრამ შენ, „ქართულო ოცნებავ“, ნაციონალებს ნაწილ-ნაწილ აბრუნებ, ისევ ცხვირში მტენი, ვირისა და პიტნის არ იყოს და თანაც მიმტკიცებ, უნდა დავასრულოო.**

ვერ გეტყვით, რამდენი ფაილია კიდევ შენახული შსს-ს არქივებში, მაგრამ ან ყველა ერთად გვაჩვენეთ და დაგვასვენეთ, ან მართლა გაანადგურეთ. ხელისუფლებაში დღეს მყოფებისგან ეს ბევრმა მოყოლით იცის, მოსახლეობამ კი საკუთარ თავზე გამოსცადა და ამიტომ შეხსენება ხალხს კი არა, პირველ რიგში, სწორედ მათ სჭირდებათ, ვისაც ამ ამბებისთვის ყური ჰქონდა მოკრული, იმავე **კობახიძეს, წულუკიანსა** და სხვებს. ეს ადამიანები იმხანად საქართველოში არ ყოფილან, შორიდან უყურებდნენ ამ ყველაფერს და იცოდნენ, რომ რაღაც ცუდი ხდებოდა, მაგრამ არც ნანახი ჰქონდათ და არც საკუთარ ტყავზე განცდილი. სწორედ ამიტომ **აღნიშნული კადრების ჯგუფურად ნახვა მოაწყვეთ, თქვენ რომ დარწმუნდეთ, რას აკეთებდა ეს ხალხი და მერე, იქნებ აღარ დანიშნოთ ნაციონალები თანამდებობებზე.** იმას მაინც თუ ხვდებით, რომ ახლა თქვენი აქტივი და ამომრჩეველი რეგიონებში იძულებულია, იმ ხალხის ქვეშევრდომი იყოს, რომელსაც 2012 წლამდე ებრძოდა? მათთვის რეალურად არაფერი შეცვლილა, ებრძოდა „ნაციონალურ მოძრაობას“ და ხელში შერჩა „ოცნების“ ლურჯ ტყავში გახვეული „ნაციონალური მოძრაობა“.

დღეს კიდევ შეიძლება „ქართული ოცნების“ რიგების გაწმენდა, მაგრამ ხვალ უკვე გვიანი იქნება. არჩეულ მერებს უახლოესი ოთხი წლის განმავლობაში ვეღარაფერს მოვუხერხებთ, მაგრამ **ჯერ საკრებულოს თავმჯდომარეები არ არჩეულა და იქნებ იქ მაინც არ აარჩევინოთ „მამალი ნაცები“, რომლებიც უკვე გამზადებულნი არიან სავარძელში ჩასაჯდომად. ჰო, სწორედ ნაციონალებს აქვთ „გამწვანებული“ საკრებულოების დიდი ნაწილი და, იმის მიუხედავად, რომ პარტიის აქტივი ცენტრალურ ოფისში, ირაკლი კობახიძესთან აპროტესტებს ამ ამბავს, ჯერჯერობით ყურს არავინ იბერტყავს.** არადა, „ნაციონალური მოძრაობა“ ასე ვერ დასრულდება და ერთ მშვენიერ დღეს, თვითმმართველობის პირველი პირები რომ გაერთიანდნენ და კოლექტიურად გამოაცხადონ, ნაცების მხარეს გადავდივართო, უსისხლო რევოლუცია კბილებში „უჭირავს“ „ოცნებას“. მერე, ერთი წალენჯიხის ნაცვლად, 30 და 40 წალენჯიხა იქნება და ამით დასრულდება ის დაპირება, რომელიც 10 წლის განმავლობაში ყოველწლიურად გაიცემოდა და, რაც მთავარია, **თქვენ, ის ადამიანები, რომლებმაც „ნაციონალური მოძრაობის“ შავბნელი საქმეები მოყოლით იცოდით, ისევ წახვალთ, ისევ უცხო ქვეყნიდან შეხედავთ ამ ყველაფერს და ნაციონალებს ისევ ჩვენ, რიგითები, შევრჩებით. ჰო, ისევ ჩვენ და, თუ ადრე ცხრაპირ ტყავს გვაძრობდნენ, ახლა ორჯერ ცხრას გაგვაძრობენ და დასავლეთი ამ ყველაფერზე თვალს დახუჭავს.**

საქმეს ისეთი პირი უჩანს, ხელისუფლებას კვლავ მოუწევს ბეწვის ხიდზე გავლა და, როცა გაუჭირდება, ეჭვი გვაქვს, კვლავ ახალ ვიდეოს გადმოაგდებს, რათა მოსახლეობა ისევ გაბრაზდეს. ხელისუფლებამ ვერ გაიგო, რომ სწორედ გაბრაზებულმა მოსახლეობამ მოიგო 2012 წლიდან მოყოლებული ყველა არჩევნები და ახლა ეს ბრაზი თუ შეტრიალდება და „ოცნების“ წინააღმდეგ წავა, 10-წუთიანი ჩანაწერები კი არა, სამსაათიანი ფილმებიც ვეღარ უშველის. **ხალხი სამართალს ითხოვს. ათი წელია, ეს სამართალი ურმით მოდის და ვერ მოაღწია რიგით ადამიანებამდე.** „ქართულო ოცნებავ“, ერთ-ერთი თქვენი გულმხურვალე მხარდამჭერი, იცით, ამას წინათ რას ამბობდა? იმ კაცის დედა ვატირე, ვისაც ნაციონალების დაბრუნება უნდოდეს, მაგრამ, ღმერთო, ისე ნუ მომკლავ, „ოცნების“ ლიდერები გამწარებული არ მანახო იმ უსამართლობის განცდით, რომელიც ახლა მე მაქვსო. ჰო, ამას ერთი კაცი ამბობდა, მაგრამ მალე ბევრი იტყვის და, ნაციონალებს მხარს იმიტომ კი არ დაუჭერს, მათი დაბრუნება რომ მოუნდება, არამედ იმიტომ, რომ თქვენ დაგსაჯონ იმ უნიათობისთვის, რომელსაც ქვეყნის მტრის (ზუსტად, მტრის) წინააღმდეგ იჩენთ.

**ბესო ბარბაქაძე**

**ამერიკამ, რომელსაც მსოფლიოში ყველაზე დემოკრატიული სახელმწიფოს სტატუსზე აქვს პრეტენზია, ოფიციალურად დაადასტურა, რომ სხვა ქვეყანაში საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობას უკრძალავს იმ ქვეყნის მოქალაქეს, რომელსაც ამის კონსტიტუციური უფლება აქვს, რომელიც მოქმედი პრეზიდენტია და კანონმდებლობა აძლევს შესაძლებლობას, აღნიშნული პოსტისთვის კიდევ იბრძოლოს.**

დასავლეთის მარწუხებში
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# 2024 წელს აშშ-ს ჰაერივით დასჭირდება რუსეთის პროვოცირება და... სააკაშვილის ხელისუფლებაში დაბრუნების იდეა უფრო და უფრო მოსწონს

**ამერიკის შეერთებული შტატებისა და ევროპის ძალისხმევის მიუხედავად, ბოლო წლებში რუსეთის მიმართ განხორციელებულმა შტურმმა შედეგი ვერ გამოიღო. ყველა ხვდებოდა, რომ რუსეთთან ომის დაწყება წამგებიანი იქნებოდა (ვისთვის ყოფილა მომგებიანი?!) და ამიტომ ჩვენს ჩრდილოელ მეზობელს ფინანსური სანქციებით შეუტიეს. პრინციპში, ამას შეტევაც არ ერქვა, რუსეთის ფედერაცია ბლოკადაში მოაქციეს და შეეცადნენ, ერი ისე დაემშიათ, რომ ხალხი სოციალურ ნიადაგზე აჯანყებულიყო. ამის მიუხედავად, რუსი ხალხი მიხვდა, რომ ეს იყო ბრძოლა, რომელშიც უნდა გაეძლოთ და ტერმინმა „კარტოშკუ ბუდემ ჟრატ, ნო პუტინ ბუდეტ ნაშიმ პრეზიდენტომ“ პოპულარობა მოიხვეჭა.**

დასავლეთმა, გარდა ეკონომიკური ბლოკადისა, რუს ბიზნესმენებს დაუყადაღა საერთაშორისო ბანკებში გახსნილი ანგარიშები, რათა მათშიც გაეღვივებინათ უკმაყოფილება ხელისუფლების მიმართ. შედეგად, რუსებმა შრომა დაიწყეს, სახელმწიფომ შექმნა სოფლის მეურნეობის განვითარების პროგრამები და ხორბლის წარმოება იმ დონეზე განავითარეს, რომ რუსეთი საერთაშორისო ბაზარზე ერთ-ერთ მნიშვნელოვან მოთამაშედ იქცა. ამას დაემატა ზეთის წარმოება. ახლა ამბობენ, რომ მთავარი მწარმოებელი სოიოსი, რომელიც გადაშენების პირასაა, რუსეთი იქნება და, რაც მთავარია, ევროპული ქვეყნების აბსოლუტურმა უმრავლესობამ აღიარა, რომ რუსეთის მიმართ დაწესებულმა სანქციებმა მათი ეკონომიკა უფრო დააზარალა, რადგან დაკარგეს მსოფლიოში ერთ-ერთი დიდი ბაზარი.

როგორც ჩანს, დასავლეთი მიხვდა, რომ სანქციებით მიზნის მიღწევა შეუძლებელია და ფონს გასვლა სხვა მეთოდით გადაწყვიტა. ამერიკის კონგრესმა ოფიციალურად დაადასტურა, რომ იმ შემთხვევაში, თუ რუსეთში 2024 წელს გასამართ საპრეზიდენტო არჩევნებში **ვლადიმერ პუტინი** ისევ იყრის კენჭს, ამ არჩევნების ლეგიტიმურობას არ ცნობს. ანუ, **ამერიკამ, რომელსაც მსოფლიოში ყველაზე დემოკრატიული სახელმწიფოს სტატუსზე აქვს პრეტენზია, ოფიციალურად დაადასტურა, რომ სხვა ქვეყანაში საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობას უკრძალავს იმ ქვეყნის მოქალაქეს, რომელსაც ამის კონსტიტუციური უფლება აქვს, რომელიც მოქმედი პრეზიდენტია და კანონმდებლობა აძლევს შესაძლებლობას, აღნიშნული პოსტისთვის კიდევ იბრძოლოს.** ვიღაც იტყვის, ეს ყველაფერი იმისთვის კეთდება, რომ პუტინი შტატებს დიქტატორად ჰყავთ გამოცხადებული, მაგრამ სად და რაში ჩანს ეს? **გაიხსენეთ ერთი გადაწყვეტილება ან ქმედება მაინც, რომელმაც რუსეთს პუტინის მმართველობის პერიოდში ავნო. სწორედ პუტინის მმართველობის პერიოდში იქცა ელცინის მიერ დასუსტებული და მარტივ მამრავლებად დასაშლელად გამზადებული ქვეყანა მძლავრ მანქანად, რომელიც გამართულად მუშაობს. პუტინის რუსეთი, გარდა იმისა, რომ საკუთარი ადგილი და როლი დაიბრუნა მსოფლიო პოლიტიკაში, არის ქვეყანა, რომელსაც ითვალისწინებს ყველა.** ელცინის პრეზიდენტობის პერიოდში ნაძარცვი და გაპარტახებული სახელმწიფო იქცა მწარმოებლად, ერთ-ერთ უდიდეს ექსპორტიორ-იმპორტიორად და ახლა ქვეყნიდან ნაძარცვი საქონელი კი არ გადის, არამედ ნედლეული, პროდუქტი, ნაკეთობები... და ეს შექმნა ერთადერთმა ადამიანმა — ვლადიმერ პუტინმა, რომელსაც ხალხი ენდო და რომელმაც მკაცრი ხელით მოახერხა, ქვეყანა სახელმწიფოს დამსგავსებოდა.

ამერიკის სურვილი უცხო არ არის, განსაკუთრებით საქართველოსთვის. სწორედ საქართველომ და მისმა მსგავსმა ქვეყნებმა მიაჩვიეს დასავლეთი იმას, რომ მისი სურვილის შესაბამისად იცვლება სახელმწიფოს მეთაურები, ქვეყნის საშინაო თუ საგარეო კურსი, სტრატეგია და განვითარება, კანონმდებლობა და, საერთოდ, ყველაფერი მათი სურვილის მიხედვით ხდება. **2003 წლიდან დღემდე, საქართველოში გადაწყვეტილებების მთავარი მიმღები ამერიკის ელჩია და ეს ხდება არა მხოლოდ ჩვენთან, არამედ უკრაინაში, პოლონეთში... თუმცა, პოლონეთი უკვე მიხვდა, რომ დროა, თავი დააღწიოს მარწუხებს და დამოუკიდებელი თამაში დაიწყო...** ამერიკას ანალოგიური მცდელობა ჰქონდა ბელარუსშიც, ჯერ წლების წინათ, როცა რევოლუციას **გივი თარგამაძის** (?!) ხელით გეგმავდა, შემდეგ კი ახლა, როცა არჩევნებში გამარჯვებული პრეზიდენტი არალეგიტიმურად გამოაცხადა, საპროტესტო აქციები დააფინანსა, ქუჩაში ათასობით ადამიანიც გამოიყვანა, მაგრამ ვერაფერი მოახერხა, გარდა იმისა, რომ პუტინთან ერთად ალექსანდრე ლუკაშენკოც დიქტატორად შერაცხა. საბედნიეროდ, ბელარუსში სიტუაცია დამშვიდდა და ცხოვრება ჩვეულ კალაპოტს დაუბრუნდა, აი ჩვენთან და უკრაინაში კი... **სიმართლე გითხრათ, ვერც იმას ვხვდებით, როცა ასეთი ნათელი მაგალითი გვაქვს თუნდაც ბელარუსის ან პოლონეთის, რატომ არ სურს საქართველოს, მათ რიგებში ჩადგეს და ნამდვილი დამოუკიდებლობის გემო გაიგოს, მოიცილოს განვითარებადი ქვეყნის სტატუსი, აწარმოოს საკუთარი, თუნდაც მცირე პროდუქცია და იყოს დამოუკიდებელი?!** ისევ რუსეთს დავუბრუნდეთ. ამერიკის კონგრესის გადაწყვეტილება მიუთითებს იმაზე, რომ ამერიკელებს ერთ კონკრეტულ ადამიანთან აქვთ პრეტენზია და მას ვერ ერევიან. ნამდვილად ვერ გეტყვით, რატომ ჰგონიათ შტატებში, რომ პუტინის შემცვლელი (როცა იქნება) მათ ინტერესებს გაატარებს და არა საკუთარი ქვეყნისას, მაგრამ იმის თქმა კი შეგვიძლია, რომ **რუსეთი აღარ დაუშვებს შეცდომას და ხელისუფლების პირველ პირად აღარ მოვა ელცინის მსგავსი კადრი და იმაშიც გვერწმუნეთ, პუტინს რომ დაეტყოს, ელცინის გზას ადგას, თავად თუ არ წავა, ხალხი აღარ აირჩევს. თანამედროვე ტექნოლოგიების ეპოქაში ყველა ხვდება, რომ ძლიერი პირველი პირის გარეშე ქვეყანა განწირულია და ამიტომ სუსტებს მხარს არ დაუჭერს. ისე, ამერიკა მაინცდამაინც რუსეთზე რომ გაბრაზდა, ანგელა მერკელი 16 წელი მართავდა გერმანიას და ვინმეს წამოსცდა, შეიცვალოსო?** თურმე, მერკელს ამის უფლებას გერმანული კანონი აძლევდა და დასავლეთი გერმანიის კანონებს ცნობს, რუსეთისას — არა, რადგან რუსეთის კანონი პუტინს აძლევს უფლებას, კვლავ იყაროს კენჭი პრეზიდენტობაზე. ნამდვილად არ ვაპირებთ, რუსეთის პრეზიდენტს ადვოკატად დავუდგეთ, უბრალოდ, იმ მიდგომას ვგმობთ, რომელიც დასავლეთს აქვს — თუ მის მოსაზრებებს არ ეთანხმები, მისთვის სასარგებლო პოლიტიკას არ ატარებ, მტერი ხარ. **შტატების გალიზიანება, ყველაფერთან ერთად, იმანაც გამოიწვია, რომ გასულ კვირას, კვლევების თანახმად, მსოფლიოს უმდიდრეს სახელმწიფოდ ჩინეთი დასახელდა და არა ამერიკა. მზარდი ეკონომიკის ხარჯზე, ჩინეთმა შეძლო, ამერიკისთვის გადაესწრო და ახლა შტატებს, ყველაფერთან ერთად, იმის ახსნაც უწევს, რატომ დაანგრია სოციალიზმი საბჭოთა კავშირში.** თანაც, ჩინეთი და რუსეთი, არსებული პოლიტიკური ვითარების მიუხედავად, ერთმანეთს ბაზარს არ უკეტავენ და ძალიან მშვიდად თანამშრომლობენ, რაც ორივე ქვეყნის ეკონომიკას საგრძნობლად დაეტყო. გამოდის, **დასავლეთის სანქციების ფონზე არამარტო არსებობა, არამედ განვითარებაც შესაძლებელია და ეს ცალ-ცალკე დაამტკიცეს პოლონეთმა, რუსეთმა, ბელორუსმა...** ჰო, აგერ ახლა უნგრეთიც „აჯანყდა“, როცა ქვეყნის პრემიერმა დასავლეთს უარი უთხრა ერთი და იმავე სქესის პირთა ქორწინების დაკანონების განხილვაზე, ლგბტ თემის მხარდაჭერაზე და კანონში ჩაწერა, რომ ოჯახი არის მამაკაცისა და ქალის თანაცხოვრება. და რა მოხდა? არც არაფერი, **ამერიკა აღშფოთდა, ევროპა შეშფოთდა და პრემიერმა უნგრელი ხალხის პატივისცემა დაიმსახურა. ამ ყველაფერს იმიტომ ვყვებით, რომ არ არის კატასტროფა და სამყაროს დასასრული იმის მოთხოვნა, რაც გეკუთვნის, დამოუკიდებლობის, ნამდვილი დამოუკიდებლობის მოთხოვნა.**

კიდევ ერთი საინტერესო რამ: 2024 წელს, როცა რუსები პრეზიდენტს აირჩევენ, ჩვენთან საპარლამენტო არჩევნები იქნება. იმედია, მანამდე სიტუაცია ისე არ შეიცვლება, რომ საქართველოში რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნები დაინიშნოს. ჰოდა, **სადაც ასეთ განცხადებას ლამის 3 წლით ადრე აკეთებს ამერიკა, აუცილებლად შეეცდება, რომ 2024 წლისთვის რუსეთის მარგინალიზაცია მოახდინოს. და ვინ არის საამისოდ ყველაზე კარგი ვარიანტი? რა თქმა უნდა, საქართველო, ოღონდ არა ეს ხელისუფლება, რადგან ამჟამინდელი ხელისუფლების პირობებში ამერიკამ ვერც ერთხელ ვერ მოახერხა, ღია კონფლიქტში ჩაეთრია ჩვენი ქვეყანა.** არ ვგულისხმობთ მხოლოდ 2008 წელს, გემახსოვრებათ, სააკაშვილის მიერ დადგმული სცენები — სანაპიროზე შეიარაღებულ რუსებს რომ „შეუტია“, იქით საზღვართან რომ მიუვარდა ვიღაც ოფიცერს და მის სარდლობასთან რაღაცას რომ აბარებდა. ასეთი პროვოკაცია 2024 წელს შტატებს ჰაერივით დასჭირდება და...

**„თუ ამერიკა მხარს არ დამიჭერს მე, რეგიონში დავკარგავს ყველა დასავლურ ლიდერს“,** — რამდენიმე დღის წინათ განაცხადა მიხეილ სააკაშვილმა და ის კი არ დაუკონკრეტებია, ვის გულისხმობდა დასავლეთის მხარდამჭერ ლიდერებში — **ფაშინიანს, ალიევს** თუ **ერდოღანს.** სამივე ქვეყნის პირველი პირები საკუთარ ქვეყანაზე ზრუნავენ და დასავლეთს საშინაო საქმეებში არ რევენ. ისინი ამჯობინებენ, კარგი ურთიერთობა ჰქონდეთ რუსეთთან და დასავლეთის თითის გატკაცუნებაზე კონფლიქტში არ ჩაერთონ. ამ განცხადებით **სააკაშვილმა ხმამაღლა უთხრა ამერიკას, მე დამაბრუნეთ სათავეში და საქართველოს თქვენს ჭკუაზე ვატარებო. ეს იდეა ამერიკას, დიდი ხანია, მოსწონს.**

**ბესო ბარბაქაძე**




**გასულ კვირას, კვლევების თანახმად, მსოფლიოს უმდიდრეს სახელმწიფოდ ჩინეთი დასახელდა და არა ამერიკა. მზარდი ეკონომიკის ხარჯზე, ჩინეთმა შეძლო ამერიკისთვის გადაესწრო და ახლა შტატებს, ყველაფერთან ერთად, იმის ახსნაც უწევს, რატომ დაანგრია სოციალიზმი საბჭოთა კავშირში**

**როცა ასეთი ნათელი მაგალითი გვაქვს თუნდაც ბელარუსის ან პოლონეთის, რატომ არ სურს საქართველოს, მათ რიგებში ჩადგეს და ნამდვილი დამოუკიდებლობის გემო გაიგოს, მოიცილოს განვითარებადი ქვეყნის სტატუსი, აწარმოოს საკუთარი, თუნდაც მცირე პროდუქცია და იყოს დამოუკიდებელი?!**

ავი მესაიფი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**„ერთი ბარტყი გადმომიგდეს“ ვირეშმაკობა აღარ იმუშავებს, რადგან პოლიტიკურ ასპარეზზე გამოვა ეროვნული იდეოლოგიის პოლიტიკური ძალა, რომელიც ქოც-ნაცებსაც და კოლექტიური დასავლეთის სხვა „შნირებს“ ერთხელ და სამუდამოდ პოლიტიკურ კანალიზაციაში ჩარეცხავს.**

# «კილერა», «მოშიმშილე» სააკაშვილი, «პრახადნოი დვორად» ქცეული ციხე და სახალხო ნაცდამცველი

**არ ვიცი, სხვა ქვეყნებში, თუნდაც ჩვენს „მეგობარ დასავლეთში“ ამ მხრივ როგორ არის საქმე, მაგრამ ჩვენში ბოლო ხანს მომხდარი დანაშაულებიდან, რომლებიც საზოგადოების განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებდა, ვერ ვიხსენებ ვერც ერთ შემთხვევას, მომხდარი დანაშაულის დამამტკიცებელი აუდიო თუ ვიდეოჩანაწერების ნამდვილობა (უფრო მოდურად „ავთენტურობა“) ელიარებინათ. პირიქით, როგორც წესი, საშინელი, წარმოუდგენელი სისასტიკის, სადიზმის მთავარი აქტორები და მათი ადვოკატები, იმის მაგივრად, რომ ჩადენილი დანაშაულების შემამსუბუქებელ გარემოებებზე ააგონ დაცვის სტრატეგია თუ ტაქტიკა, წარმოდგენილი უტყუარი ფაქტების ექსპერტიზას ითხოვენ, რაც ისედაც აღშფოთებული საზოგადოების კიდევ უფრო გაღიზიანებას იწვევს, რადგან, როგორც წესი, ისეთ გახმაურებულ საქმეებზეა საუბარი, რომელთა შესახებაც სრულიად საქართველომ, დიდი ხანია, ყველაფერი იცის.**




**კიევიდან თბილისში ექსტრადირებული მეგის ქარდავასა და საქართველოში არაჟანთან ერთად კონტეინერით კონტრაბანდასავით შემოპარული სააკაშვილის ადვოკატებს მინდა ვკითხო — არ გრცხვენიათ, 9 წლის განმავლობაში ქართველი ხალხის სისხლსა და ცრემლში „მოვასვასე“ მეგის ქარდავასა და ქართველ ხალხზე მოძალადე, სისხლისმსმელი სისტემის შემქმნელ მიშა სააკაშვილს რომ იცავთ?**

აბა, რა ექსპერტიზა სჭირდება იმ შემზარავ კადრებს, რომლებიც საზოგადოებამ რამდენიმე დღის წინათ იხილა და რომლებზეც პატიმრის მიმართ გაუგონარი სისასტიკე, ძალადობა და ცინიკური მოპყრობაა ასახული (მოძალადეებმა ტუსაღს მის მიერვე დაწერილი ჩვენება ცემითა და მუქარით შეაჭამეს), ან სამეგრელოს კასრების „გოდებას“, ანდა **სააკაშვილ-ალასანიას** (ბიძა-დისშვილის) ქართველებზე ზიზღით საუბრით სავსე აუდიოჩანაწერს? რა ექსპერტიზა და ავთენტურობაა საჭირო იმ საქმის გამოძიებისას, რომლის მთავარ ფიგურანტს სამსახურებრივი საქმიანობის დაუნდობელი სისასტიკით შესრულებისთვის მეტსახელად „კილერა“ (შეკვეთილი მკვლელობის შემსრულებელი) ერქმევა? „ან“, „ანდა“ და რამდენი ასეთი „ან“ და „ანდას“ მოძიება შეიძლება, რომელთა უბრალო ჩამოთვლაც კი ქართველი ხალხის შეურაცხყოფაა?!

ბოლოს — ცინიზმის უმაღლესი მწვერვალი იყო, როდესაც მიხეილ სააკაშვილმა მის მიერ შექმნილი სადისტური რეჟიმის მთავარ პირსისხლიან ჯალათ მეგის ქარდავაზე, რომელიც 2011 წელს ბრწყინვალების ორდენით დააჯილდოვა, ურცხვად განაცხადა, ასეთ კაცს, საერთოდ, არ ვიცნობო.

ყოველივე ზემოქმულიდან გამომდინარე, **კიევიდან თბილისში ექსტრადირებული მეგის ქარდავასა და საქართველოში არაჟანთან ერთად კონტეინერით განუბაჟებლად, კონტრაბანდასავით შემოპარული სააკაშვილის ადვოკატებს მინდა, ვკითხო — არ გრცხვენიათ, 9 წლის განმავლობაში ქართველი ხალხის სისხლსა და ცრემლში „მოვასვასე“ მეგის ქარდავას, და ქართველ ხალხზე მოძალადე, სისხლისმსმელი სისტემის შემქმნელ მიშა სააკაშვილს რომ იცავთ?** შუბლის ძარღვი გაქვთ გაწყვეტილი ან თქვენს ვენებში წვეთი სისხლი მაინც არ მოძრაობს, ოდნავ რომ გაწითლდეთ, როდესაც თვითმფრინავის ხმაურზე შიშით მიწაზე მხოხავი, ჰალსტუხის მლოღვნელი, საქართველოს „მარადიული სირცხვილის“ დასაცავად რაღაც ავთენტურობაზე, პატიმრის უფლებების დარღვევაზე გაჰკივით მთელი „დემოკრატიული დასავლეთის“ გასაგონად — არიქა, ქრება თავის დროზე თქვენ მიერ ანთებული „დემოკრატიის შუქურაო“?

არ მაინტერესებს, რამდენი დღე იშიმშილა საქართველოს მატყუარა და ლაჩარმა პრეზიდენტმა, მაგრამ უნდა ვაღიაროთ, რომ რამდენი დღეც „იშიმშილა“, ზუსტად იმდენ ხანს მძევლად ჰყავდა „ქართული ოცნების“ ფარჩაკი ხელისუფლება. ფარჩაკი ხელისუფლება, რადგან დამნაშავე და პატიმარ სააკაშვილს ყველა კაპრიზი შეუსრულა — ისე ირჩევდა „მოშიმშილე“ პატიმარი საავადმყოფოებს, როგორც მდიდარი ტურისტი ხუთვარსკვლავიან სასტუმროში აპარტამენტებს და ბოლოს თავისი გაიტანა. კიდევ კარგი, სპეციალურად მისთვის ახალი ციხის აშენება არ მოუთხოვია, თორემ ე.წ. კოლექტიური დასავლეთისა და „ადამიანის უფლებადამცველი“ არასამთავრობო (ასო) ორგანიზაციების შიშით ფარჩაკი ქოცები, ალბათ, ამ ხუშტურსაც აუსრულებდნენ ჭირვეულ და „მოშიმშილე“ პატიმარს. თუმცა, ახალი რად უნდოდა?! გორის ჰოსპიტალში ისეთი კომფორტი შეაქმნევინა, ამბობენ, ნორვეგიელ მასობრივ მკვლელ **ბრეივიკსაც** შეშურდებაო. სიტყვამ მოიტანა და, არც გლდანის ციხეში აკლდა კომფორტი და უმაღლესი დონის სამედიცინო მომსახურება „სასიკვდილო შიმშილობისთვის“ მზადმყოფ შლეგ პატიმარს. ეს იმ გლდანის საპყრობილეზეა საუბარი, რომელშიც ნაცების ზეობის ხანაში, პატიმარს კბილი რომ ასტკივებოდა და ბადრაგისთვის ანალგინი ეთხოვა, სიკვდილის პირას ცემით, წამებით მიყვანა „ხელში ეჭირა“; **ეს ის გლდანის ციხეა, რომელშიც უკვე ქოცების მიერ დანიშნული სახალხო დამცველ ნინო ლომჯარიასთვის რიგით პატიმრებს წლების განმავლობაში თვალი არ მოუკრავთ; ეს ის ნინო ლომჯარიაა, რომელმაც სააკაშვილის იქ „მკურნალობა-შიმშილობის“ პერიოდში გლდანის მკაცრი რეჟიმის ციხე, რუსულად ვიტყვი — „პრახადნოი დვორად“ გადააქცია: 50 დღის განმავლობაში დედის, საყვარლისა და ექსმეუღლე სანდრა რულოვსის გარდა, „მომაკვდავ“ სააკაშვილთან 200-ზე მეტი სხვადასხვა პროფილისა და პროფესიის მნახველი შევიდა. და ეს მაშინ, როდესაც იმავე ციხეში 18 პატიმარი შიმშილობდა, რომელთა სანახავად, საყვარლებს კი არა, ცოლ-შვილს არ უშვებდნენ.** ნინო ლომჯარია, რომელიც ათენებ-აღამებდა „პოლიტპატიმარ“ სააკაშვილის საკანში, არც კი დაინტერესებულა ზემოხსენებული მოშიმშილე პატიმრების მდგომარეობითა და მოთხოვნებით. სამაგიეროდ, ნინო ლომჯარიამ აშშ-ის ბრძენი ელჩის, **კელი დეგნანის,** ქება დაიმსახურა დაუღალავი, თავგანწირული, სწორი მოქმედებისთვის, რაც (სახალხო დამცველის ქება) ავტომატურად ნიშნავს ქართველი ხალხის შეურაცხყოფას, რადგან კარგად გვახსოვს სახალხო დამცველის არჩევის (წაიკითხე, დანიშვნა) პერიპეტიები, რომელსაც ისე, ცნობისთვის შევახსენებ მკითხველს:





სახალხო დამცველის პოსტზე **დიმიტრი ლორთქიფანიძის** მხარდამჭერი 70 ათასი ხელმოწერა თავზე რომ გადაგვახიეს კელი დეგნანის მსგავსმა ბრძენმა ამერიკელებმა და მისი კანდიდატურა არც კი განუხილავს საქართველოს პარლამენტს, ათასჯერ დავეწერე და ათასმეერთედ აღარ გავიმეორებ. განსახილველი დარჩა ორი კანდიდატურა — საფრანგეთის მოქალაქე, არალიბერასტი ქართველი ჟურნალისტი, ჩემი კარგი ნაცნობი **გიორგი ფოფხაძე** და ლიბერასტი, უპირველესად, ლგბტ ე.წ. თემის დამცველი ნინო ლომჯარია. ამერიკელთა სიმპათია დღევანდელი სახალხო დამცველისკენ რომ იხრებოდა, ცხადი იყო, მაგრამ ბოლო დღეებში ამერიკელთათვის ცნობილი შეიქნა, რომ მათი რჩეულის გამარჯვება მაინც არ იყო გარანტირებული, ამიტომ არჩევნების დღეს ქუთაისში (იმხანად ჯერ კიდევ ქუთაისი იყო საპარლამენტო დედაქალაქი) სასწრაფოდ გადაფრინდა აშშ-ის იმჟამინდელი ელჩი (ალბათ, ისიც ბრძენი) საქართველოში **იან კელი** და... „გაიმარჯვა“, ნინო ლომჯარიამ, რომელიც „გამარჯვების“ დღიდან ებრძვის ყველაფერ ქართულს, ეროვნულს, ბოლოს და ბოლოს, საქართველოს დედაეკლესიასა და მის საჭეთმპყრობელს, უწმინდესსა და უნეტარესს, ყველა ნამდვილი ქართველისთვის სათაყვანებელ კათოლიკოს-პატრიარქს. ათასჯერ მითქვამს ისიც, რომ **ქოცნაცები ერთი იდეოლოგიის პოლიტიკური ძალაა, ოღონდ ერთი ხის ორი განშტოება და ამიტომ ვუწოდებ მათ ქოცნაცთა ხელისუფლებას. ორივე ძალას საქართველო, ქართველი ერი, უკაცრავად და, ფეხებზე ჰკიდია და ამიტომ მათ შორის ბრძოლა მხოლოდ ხელისუფლებისთვის ბრძოლაა: ერთნი (ქოცები) ხელისუფლებაში დასარჩენად იბრძვიან, ხოლო მეორენი (ნაცები) — ხელისუფლებაში დასაბრუნებლად.**

9 წელიწადია, ვუყურებთ ამ პოლიტიკურ კლოუნადას, რომელშიც, მიუხედავად ივანიშვილის ფაქტორისა, „ქართულ ოცნებას“, ეტყობა, გაუჭირდა, რადგან, თუ მათ დღევანდელ „სასტავს“ გადავხედავთ, იქ 2012 წლამდე სააკაშვილის რეჟიმთან მებრძოლს თითქმის ვერავის იპოვით.

9 წელიწადია, ქართველთა უმთავრესი მოთხოვნა და, აქედან გამომდინარე, ქოცების მთავარი დაპირება — სამართლიანობის აღდგენა, „ქართული ოცნების“ ვერც ერთმა თაობამ ვერ (უფრო მართებული იქნება, თუ ვიტყვით) არ გააკეთა და აქედან გამომდინარე — მეგის ქარდავას ექსტრადიცია, „ერთი ბარტყი გადმომიგდეს“ ზღაპარს ჰგავს. თუმცა, საქართველოში სააკაშვილის მოულოდნელმა დაბრუნებამ ქოც-ნაცების მიერ დალაგებული პოლიტიკური პასიანსი სულ არივდარია, ამიტომ **ქოცებმა, თუ მათ ხელისუფლებაში დარჩენა სურთ, სააკაშვილს სასწრაფოდ გვერდში უნდა მიუსვან ზურაბ ადეიშვილი, დათა ახალაია და სააკაშვილის რეჟიმის სხვა ღლავებიც. მეგის ქარდავას ჩამოყვანა იმას ნიშნავს, რომ წითელი ცირკულარით ძებნილთა პოვნა და მათი ექსტრადიცია, უწინარესად, სახელმწიფოს პოლიტიკურ ნებაზეა დამოკიდებული.**

მომავალ არჩევნებამდე ქოცები, ალბათ, ასე თუ ისე, მიაღწევენ, მაგრამ, ახლა რომ გაიძახიან, ამას წინათ ნაჩვენებ კადრებზე გაცილებით მძიმე კადრებიც გვაქვს, მაგრამ ვერ გაჩვენებთ, რადგან საზოგადოების ნერვებს ვუფრთხილდებითო, მინდა, გავაფრთხილო ხელისუფლება, რომ ჩვენი ნერვებით სპეკულაციას თავი დაანებოს!

**„ერთი ბარტყი გადმომიგდეს“ ვირეშმაკობა აღარ იმუშავებს, რადგან პოლიტიკურ ასპარეზზე გამოვა ეროვნული იდეოლოგიის პოლიტიკური ძალა, რომელიც ქოც-ნაცებსაც და კოლექტიური დასავლეთის სხვა „შნირებს“ ერთხელ და სამუდამოდ პოლიტიკურ კანალიზაციაში ჩარეცხავს!**

**დავით მხეიძე**

„ნაცმოძრაობას“ არ ახსენებენ იმას, რომ, სააკაშვილის საკანში შეთრევა კი არა, გვამი გვამზე გამოდიოდა გლდანის ციხიდან, რომ ბადრაგისთვის ხელის დარტყმა საუკეთესო შემთხვევაში პატიმრისთვის იმ ხელის მოტეხვით სრულდებოდა, რომ ადამიანებს ჯგუფ-ჯგუფად იჭერდნენ და ისტუმრებდნენ გისოსებს მიღმა, რომ ქვეყანაში 300 ათასი პრობაციონერი გვყავდა და ეს პრობაციონერები არჩევნებზე ხმას სწორედ „ნაციონალურ მოძრაობას“ აძლევდნენ იმის შიშით, რომ პირობითი სასჯელი რეალური არ გამხდარიყო და გლდანის ჯოჯოხეთი არ გაევლოთ. ჰო, ეს ყველაფერი იყო და ახლა არავინ იხსენებს.



www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# კანონის წინაშე ყველა თანასწორია?

## კობახიძის, მდინარაძის, ღარიბაშვილის და ძმათა მათთა გასაგონად

**ახლა კარგად დაძაბეთ გონება და გაიხსენეთ, რისთვის დაიწყო არაჟანს ჩამოყოლილმა ექსპრეზიდენტმა შიმშილობა; რა უნდოდა, რა მოთხოვნა ჰქონდა. რეალურად, არც არაფერი, დააკავეს და მეორე დღეს შიმშილობა გამოაცხადა. დაკავების მომენტში კი ხინკალს მიირთმევდა. როგორც ჩანს, უკრაინაში მოენატრა. შემდეგ მისი მხარდამჭერები ელოდნენ, რამდენჯერ გავიდოდა კუჭში მათი კერპი, რამდენ კოვზ ფაფას გადაიცდენდა პირში, იკრიბებოდნენ, ამხნევებდნენ, და ბოლოს შიმშილობა დაიწყეს. საბოლოოდ, მოშიმშილე სააკაშვილი ხელისუფლებამ გორის სამხედრო ჰოსპიტალში გადაიყვანა და ახლა იმაზე ჩივიან, ფანჯარაა დაგმანული, არ იღებაო. არადა, მანამდე ნიკა გვარამია ყველაფერს იბრდღვნიდა, გორში იმიტომ მიჰყავთ, ოსური სპეცრაზმი სპეცოპერაციას ჩაატარებს, მიშას გაიტაცებს და პუტინს მიუყვანსო. ჰოდა, ახლა რომ აუხსნეს, დაგმანული სარკმელი სწორედ სააკაშვილის უსაფრთხოებისთვის არისო, დაოკდნენ.**

შეიძლება, სიტყვა გამექცეს (რა თქმა უნდა, უწმაწურს არაფერს დავწერ), მაგრამ უნდა აიტანოს მიშამ და მისმა მრევლმა, რადგან პირდაპირ ეთერში დედას აგინებენ ყველას, ვინც მათ მხარეს არ არის. სააკაშვილის შემდეგ ყველაზე მეტ ყურადღებას **ელენე ხოშტარიას** შიმშილობა იპყრობდა. პარლამენტის შენობაში მოკლათებული გოგიენას ტელევიზიები ცალკე ყარაულობდნენ და ხელის გოგო-ბიჭები — ცალკე. როცა გადაადგილება გაუჭირდა, ეტლიც მიუტანეს, რომ არ დაღლილიყო და ბოლო დღეებში ექიმიც მიუსვეს გვერდით. ვისაც არ ახსოვს, შევახსენებთ, რომ, როცა პარლამენტის თავმჯდომარე **ნინო ბურჯანაძე** იყო და მისი კაბინეტის მისაღებში ოპოზიციონერმა დეპუტატებმა დაიწყეს შიმშილობა, ანზოროვნამ პლედიც კი არ შეატანინა, ღამით რომ წაეფარებინათ, და გათბობაც გამორთო. ახლა კი ქალბატონი ნინო ხელისუფლებას ამუნათებდა, მოთხოვნებს რატომ არ ასრულებს, მოშიმშილეების თხოვნას ყურად რატომ არ იღებსო და თავისი არაადამიანური (ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით) ქმედება არც მას გახსენებია, არც ტელეჟურნალისტებს. ან ამ უკანასკნელთ გაახსენდათ, მაგრამ არ შეახსენეს, ხელს არ აძლევთ და იმიტომ. საზოგადოდ, ტელეჟურნალისტები ოპოზიციის დღევანდელ ლიდერებს ბევრ რამეს არ ახსენებენ, რადგან ზუსტად იციან, ის რომ გაიხსენოს ხალხმა, რის გამოც ხელისუფლებიდან გაისტუმრა, მომგებიანი არც ახლა იქნება. მაგალითად, **„ნაცმოძრაობას“ არ ახსენებენ იმას, რომ სააკაშვილის საკანში შეთრევა კი არა, გვამი გვამზე გამოდიოდა გლდანის ციხიდან, რომ ბადრაგისთვის ხელის დარტყმა საუკეთესო შემთხვევაში პატიმრისთვის იმ ხელის მოტეხვით სრულდებოდა, რომ ადამიანებს ჯგუფ-ჯგუფად იჭერდნენ და ისტუმრებდნენ გისოსებს მიღმა, რომ ქვეყანაში 300 ათასი პრობაციონერი გვყავდა და ეს პრობაციონერები არჩევნებზე ხმას სწორედ „ნაციონალურ მოძრაობას“ აძლევდნენ იმის შიშით, რომ პირობითი სასჯელი რეალური არ გამხდარიყო და გლდანის ჯოჯოხეთი არ გაევლოთ. ჰო, ეს ყველაფერი იყო და ახლა არავინ იხსენებს...**

მოკლედ, **კერპმა შიმშილობა შეწყვიტა და მას მიბაძა ყველამ, ვინც მიშას წამხედურობით საკვებს არ იღებდა.** მოშიმშილეთა რიგებში იყო **გიორგი ბარამიძეც და, სიმართლე გითხრათ, შემეცოდა. ბარამიძეს ხომ სახლზე ცეცხლის წაკიდების შემდეგ დარჩენილ ნაღვერდალზე გამომცხვარი კუბდარები ენატრება.** გადაიყვანეს მიშა და ახლა მისი პირადი ექიმი ამბობს, იქნებ პატიმრობა გადაუვადოთ, სრულფასოვნად რომ იმკურნალოსო. მის მოწოდებას ოპოზიციის ლიდერებიც აჰყვნენ, მიშას სიცოცხლეს განსაკუთრებულად უნდა გავუფრთხილდეთო. სხვა პატიმრების სიცოცხლეს არა? **რას ნიშნავს, გლდანის ციხის საავადმყოფოში არ არის შესაბამისი პირობები, რომ ნაშიმშილებმა პატიმარმა სრული რეაბილიტაცია გაიაროს?! ახლა, როცა ამ სტატიას კითხულობთ, არაერთი პატიმარი შიმშილობს სხვადასხვა მოთხოვნით და დარწმუნებით შეგვიძლია გითხრათ, რომ, როცა ისინი შიმშილობას შეწყვეტენ, არავითარ შემთხვევაში არ გადაიყვანენ არც გორში და არც სხვაგან, გლდანის ციხეში აყურყუტებენ.** რა გამოდის? სააკაშვილის სიცოცხლე სხვა პატიმრების სიცოცხლეზე ძვირფასია? აბა, იმ პატიმრების ოჯახის წევრებს ჰკითხეთ, რა ურჩევნიათ. ამ ნაბიჯით ხელისუფლებამ აჩვენა, რომ ადამიანებს თანასწორად არ ექცევა და ის, რისი უფლებაც აქვს იუპიტერს, ეკრძალება ხარს. და რატომ? ამ შემთხვევაში სააკაშვილიც ხომ სისხლის სამართლის დამნაშავეა და სხვა პატიმრებიც? ხომ თანასწორები არიან და ზუსტად ერთნაირი უფლებებით უნდა ისარგებლონ? ან **ელენე ხოშტარიასთან ექიმი რომ მორიგეობდა და ამისთვის სახელმწიფო რესურსი იხარჯებოდა, ქალთა კოლონიაშიც არიან მოშიმშილე ქალბატონები და მათთან რატომ არ მორიგეობს ექიმი? თუ ელენეს მამამ იმდენი სიკეთე გაუკეთა საქართველოს, რომ გოგის გოგო განსაკუთრებულ მოპყრობას იმსახურებს?**

ბოლო პერიოდში ხშირად გვიწევს იმის აღნიშვნა, რომ ხელისუფლება არასწორად, უსამართლოდ იქცევა. **საკმარისია, ნებისმიერმა ნაძირალამ განაცხადოს, ოპოზიციის მხარდამჭერი ვარო და ბოლო ხმაზე „მიშა, მიშა“ იყვიროს, მაშინვე ერთგვარ იმუნიტეტს იძენს, ძალოვანები ცდილობენ, არ შეეხონ, ცდილობენ, არ დააკავონ, არ დასაჯონ. ხოლო ჩვენ, რიგით ადამიანებს, ქუჩაზე რომ არასწორად გადავიდეთ, ჯარიმას გვიწერენ.** ქუჩაზე არასწორად გადასვლა შემთხვევით არ მიხსენებია. ამას წინათ საწვავის ფასები გააპროტესტეს და ქუჩაში მანქანებით გამოვიდნენ მძღოლები. ჰოდა, მათ დიდ ნაწილს საგზაო წესების დარღვევის გამო ჯარიმა მიუვიდათ სახლში, მაგრამ ეს არ ვრცელდება ოპოზიციის აქციებზე, როცა 30 კაცი 2 მანქანით შუა რუსთაველს კეტავს, ხმას არავინ იღებს და არც იმ მანქანების მძღოლებს მისდით ჯარიმები, მერე ოპოზიციამ რომ არ იყვიროს. ადამიანებმა სოციალური მდგომარეობა გააპროტესტეს, არარეალურად გაძვირება გააპროტესტეს და დაჯარიმდნენ. რა უნდა ქნან შემდეგ ჯერზე? უნდა გამოვიდნენ და ფასები გააპროტესტონ და თან „მიშა, მიშა“ იძახონ? ხვდება ხელისუფლება, რომ ამით ცეცხლს ეთამაშება და, რაც მთავარია, ამ ნაბიჯით ოპოზიციას მრევლს უმრავლებს?

სააკაშვილის მხარდამჭერი აქციები რომ გაიმართა და დასავლეთ საქართველოდან ავტოკოლონები დაიძრა, იმ ავტოკოლონებში ზოგი ნასვამი მძღოლი იყო, ზოგი — მართვის მოწმობის გარეშე და ისეთი ავტომობილებიც იყო, ტექდათვალიერება რომ არ ჰქონდა გავლილი. არც ერთი ჯარიმა არ დაწერილა და ეს იმიტომ, რომ კოლონის გაჩერება და მძღოლების სიფხიზლეზე შემოწმება ვერავინ გაბედა. ხომ კანონიერი ქმედებაა? ხომ შეეძლოთ ამის გაკეთება, მაგრამ ვერ გაბედეს, იმიტომ, რომ ოპოზიცია აყვირდებოდა, ხელს გვიშლიანო. არადა, **ხელისუფლებაში ნაციონალების ყოფნის პერიოდში ჯარიმასაც ბევრს წერდნენ და გზებზე ლურსმანსაც ბლომად ყრიდნენ, დედაქალაქისკენ მომავალი კოლონები რომ შეფერხებულიყვნენ. ახლა ვიღაც იტყვის, წინა ხელისუფლებისგან სწორედ ამით განვსხვავდებითო, მაგრამ სასწაულს ხომ არ გთხოვთ, ბატონებო, კანონი დაიცავით, კანონის ფარგლებში იმოქმედეთ. ისინი უკანონობას სჩადიოდნენ, კანონს აბიჯებდნენ და თქვენ კანონი მაინც დაიცავით!** მხოლოდ ჩვენი, რიგითი და კანონმორჩილი ადამიანების, ხარჯზე კი ნუ იცავთ კანონებს და მხოლოდ ჩვენს ხარჯზე კი ნუ ავსებთ ბიუჯეტს, მათაც მოსთხოვეთ... კანონის ფარგლებში.

იმედია, ხელისუფლებას ეყოფა გონიერება და არ მივა იმ დასკვნამდე, რომ სააკაშვილს სასჯელი გადაუვადოს და თავისუფლებაზე იმკურნალოს. თუ გახსოვთ, მიშამ ხმამაღლა თქვა, გარეთ რომ გამოვალ, 10 დღეში დავამთავრებ ხელისუფლებასო; და, **თუ გამოუშვებენ, მართლაც დამთავრდება ყველაფერი და ღირსებიც იქნებიან. რატომ დამთავრდება? იმიტომ, რომ ადამიანები რწმენას დაკარგავენ. ის ადამიანები, რომლებიც ამ წლების განმავლობაში სწორედ სააკაშვილის გასამართლებას ითხოვდნენ და მისთვის მიცემული 6 წელი ძალიან ეცოტავებათ.** არ გეგონოთ, რომ, თუ ნაციონალებს „ოცნებამ“ ლანგრით მიართვა ხელისუფლება, ამას ხალხი შეეგუება. ეს ყველაფერი აუცილებლად გადაიზრდება სამოქალაქო დაპირისპირებაში და ამისთვის... ნაციონალები მზად არიან და აკი წამოსცდა კიდეც **მურმან დუმბაძეს,** საქართველო ნაწლავებად იქცევა და, **ივანიშვილო,** დანარჩენი შენ გაიგეო. დიახ, ისინი მზად არიან ყველაფრისთვის და ხელისუფლება დროზე უნდა მოეგოს გონს. კიდევ გავიმეორებთ: არ ვითხოვთ ისეთივე „ბესპრედელს“, როგორიც ნაციონალების მმართველობის პერიოდში იყო, მაგრამ, ბატონებო, როცა ვინმე კანონს არღვევს, კანონის ძალით გაეცით პასუხი. სხვაგვარად, სამოქალაქო დაპირისპირებას ვერ გადავრჩებით და კიდევ ერთ არეულობას საქართველო ვეღარ გადაიტანს.

**ბესო ბარბაქაძე**



**ხელისუფლებაში ნაციონალების ყოფნის პერიოდში, ჯარიმასაც ბევრს წერდნენ და გზებზე ლურსმანსაც ბლომად ყრიდნენ, დედაქალაქისკენ მომავალი კოლონები რომ შეფერხებულიყვნენ. ახლა ვიღაც იტყვის, წინა ხელისუფლებისგან სწორედ ამით განვსხვავდებითო, მაგრამ სასწაულს ხომ არ გთხოვთ, ბატონებო, კანონი დაიცავით, კანონის ფარგლებში იმოქმედეთ. ისინი უკანონობას სჩადიოდნენ, კანონს აბიჯებდნენ და თქვენ კანონი მაინც დაიცავით!**

**საკმარისია, ნებისმიერმა ნაძირალამ განაცხადოს, ოპოზიციის მხარდამჭერი ვარო და ბოლო ხმაზე «მიშა, მიშა» იყვიროს, მაშინვე ერთგვარ იმუნიტეტს იძენს, ძალოვანები ცდილობენ, არ შეეხონ, ცდილობენ, არ დააკავონ, არ დასაჯონ. და ჩვენ, რიგით ადამიანებს, ქუჩაზე რომ არასწორად გადავიდეთ, ჯარიმას გვიწერენ**

«მე სიტყვასა ერთსა გკადრებ...»
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**არ მახსოვს ამერიკელთა დიდი შეშფოთება სააკაშვილის მმართველობის პერიოდში ქართულ ციხეებში პატიმართა წამებისა და შეურაცხყოფის იმ საშინელი ფაქტების გამო, რომელმაც 2012 წელს საქართველო შეძრა. სააკაშვილს არ უარუყვია ქართულ ციხეებში პატიმართა წამებისა და გაუპატიურების საშინელი ფაქტები, რომლებიც მისი პრეზიდენტობის პერიოდშივე გამოავლინეს. მან აღიარა ეს ფაქტები, თავი კი ისეთივე ბანალური არგუმენტით იმართლა, როგორი არგუმენტითაც ამერიკელმა მაღალჩინოსნებმა სცადეს თავის მართლება აბუ-გრეიბისა და გუანტანამოს ციხეებში არსებული კატასტროფული მდგომარეობის გამო, რომ თითქოს ამის შესახებ არაფერი იცოდნენ.**



# შენი დრო წავიდა, მიხეილ, დაოკდი ცოტა!

## ვალერი კვარაცხელიას პუბლიცისტური წერილები. საავტორო გვერდი

### ორმოცდამეერთე გამოშვება

**„ძალიან გვაღელვებს მიხეილ სააკაშვილის მდგომარეობა. ადამიანის სიცოცხლე როდესაც საფრთხეშია, აღარაა საჭირო დისკუსიები და დებატები. მას ყველა სათანადო მკურნალობის საშუალება უნდა მიეცეს“, — განაცხადა აშშ-ის ელჩმა საქართველოში კელი დეგნანმა. იან კელიმ კი, აშშ-ის ყოფილმა ელჩმა საქართველოში, შემდეგი შინაარსის განცხადება გამოაქვეყნა: „ბოლოს და ბოლოს, გადაიყვანეთ სააკაშვილი წყეულ სამოქალაქო კლინიკაში“. ამ განცხადებებში შინაარსთან ერთად ყურადღებას იქცევს ტონალობაც, რომელშიც ხელისუფლებისა და სამართალდამცავი ორგანოების მიმართ დიპლომატთა დაუფარავი გაღიზიანება იკითხება...**

ჯერ კიდევ 2004 წელს ამერიკულმა არხმა CBS-მა აჩვენა აბუ-გრეიბის ციხიდან პატიმართა წამების შემზარავი კადრები, რომლებმაც საერთაშორისო სკანდალი გამოიწვია. პატიმართა ჩვენებებში წამების, გაუპატიურების, ღირსების შემლახავი მოპყრობის ისეთი გაუგონარი ფაქტებია აღწერილი, რომლის აქ გამეორების უფლებას თავს ვერ მივცემ. ოფიციალური დაკითხვის პროცესში წამებით პატიმართა სიკვდილის უამრავი ფაქტი არსებობს. ამერიკელი უფლებადამცველები აცხადებენ, რომ წამება უმაღლესი რანგის მეთაურთა მიერ იყო სანქცირებული. ჟურნალმა New Yorker-მა 2004 წელს ბრალი დასდო აშშ-ის თავდაცვის მინისტრ **დონალდ რამსფელდს** პატიმართა წამების სანქციის გაცემაში, რომელსაც ის მიზანი ჰქონდა, რომ სწრაფად მიეღო მათგან სადაზვერვო მონაცემები. ორგანიზაცია Human Rights Watch-ის აღმასრულებელი დირექტორი **კენეტ როტი** ამბობდა: **„აშშ-მა დაკარგა მორალური უფლება, ვინმეს მოუწოდოს ადამიანის უფლებების დაცვისკენ“.** პენტაგონის ხელმძღვანელები კი საკითხს ასეთი კუთხით განიხილავენ: **„თავდაცვის სამინისტროს არც ერთი პასუხისმგებელი თანამშრომელი არ იწონებდა პროგრამებს, რომლებსაც შეეძლო მივეყვანეთ იმ საშინელებამდე, რომელიც ამას წინათ გამოქვეყნებულ ფოტოებსა და ვიდეოჩანაწერებში ვიხილეთ“.** გამარჯობა თქვენი! ეს სიტყვები იმაზე მეტყველებს, რომ თქვენ ამ ფაქტებს აღიარებთ. თავს კი მხოლოდ იმით იმართლებთ, რომ ამ საშინელებაში არ მონაწილეობდით. აღარავის აინტერესებს არც თქვენი ნიანგის ცრემლები და არც ის, კონკრეტულად რომელი თქვენგანი სჩადიოდა ამ სისაძაგლეს. ჩვენ გვაინტერესებს ის საშინელი ფაქტები, რომლებიც ხდებოდა თქვენს საპყრობილეებში. საინტერესო დეტალი: **2005 წელს გამართულ სასამართლო პროცესზე, რომელზეც წამებაში ეჭვმიტანილ სამხედრო სპეციალისტ ჩარლზ გრენერის საქმე იხილებოდა, ადვოკატმა ასეთი რამ თქვა: „ის თავის საქმეს აკეთებდა, ასრულებდა დავალებას და ამის გამო შექებასაც იმსახურებდა“. ეს განა პირდაპირი აღიარება არ არის ამერიკულ საპყრობილეებში საშინელი დანაშაულის არსებობისა?! საუბარი იქით მიმყავს, რომ ამერიკელებმა ჯერ საკუთარ თვალში დირე უნდა დაინახონ და სხვის თვალში ბეწვი შემდეგ ეძებონ.** მე არ მახსოვს ამერიკელთა დიდი შეშფოთება სააკაშვილის მმართველობის პერიოდში ქართულ ციხეებში პატიმართა წამებისა და შეურაცხყოფის იმ საშინელი ფაქტების გამო, რომლებმაც 2012 წელს საქართველო შეძრა. სხვათა შორის, სააკაშვილს არ უარუყვია ქართულ ციხეებში პატიმართა წამებისა და გაუპატიურების საშინელი ფაქტები, რომლებიც მისი პრეზიდენტობის პერიოდშივე გამოავლინეს. მან აღიარა ეს ფაქტები, თავი კი ისეთივე ბანალური არგუმენტით იმართლა, როგორი არგუმენტითაც ამერიკელმა მაღალჩინოსნებმა სცადეს თავის მართლება აბუ-გრეიბისა და გუანტანამოს ციხეებში არსებული კატასტროფული მდგომარეობის გამო, რომ თითქოს ამის შესახებ არაფერი იცოდნენ. სააკაშვილის განცხადება ასეთი იყო: **„გვეგონა, რომ ბევრი რამ შევცვალეთ, მაგრამ მთავარი საზიზღრობები კიდევ შიგნით ყოფილა. მათ შორის, სრული მანიაკები ასე დაუსჯელად რომ მოქმედებდნენ, სცემდნენ, აწამებდნენ ხალხს. მე მართლა არ მესმის, მანიაკობის გარდა იმ მოქმედებების მოტივაცია რა შეიძლება იყოს, რაც ჩვენ ვნახეთ. ეს იმას ნიშნავს, რომ რეალურად მოხდა სისტემური მარცხი“.** ყოველივე ამის გახსენების შემდეგ სააკაშვილთან საჯარო გასაუბრების სურვილი მიჩნდება, რასაც, თქვენის ნებართვით, ახლა გავაკეთებ:

მიხეილ, შენი მმართველობის პერიოდში ის უბედურება თუ ტრიალებდა, რომელსაც თვითონვე უწოდე სისტემური მარცხი, ახლა, ციხეში მოხვედრილი, განსაკუთრებული პატიმრის სტატუსს რა სინდისით ითხოვ და, საერთოდ, რა ჰონორითა და პრეტენზიებით, რა შიმშილობითა და ხელ-ფეხის ქნევით ლაპარაკობ? იმის მტკიცება თუ განიზრახე, რომ უსამართლოდ გეპყრობიან, ხომ უნდა შეადარო ერთმანეთს, შენი პრეზიდენტობის პერიოდში როგორ ექცეოდნენ პატიმრებს და შენ როგორ გექცევიან? რა, ვინმემ ფრჩხილები დაგაგლიჯა, კბილები დაგაძრო თუ შარვალი ჩაგხადა და გასაუპატიურებლად მოგადგა? არა, ხომ? ჰოდა, **დაოკდი ცოტა. მით უფრო, რომ შენ ერთი და ორი დანაშაული კი არ გაქვს ჩადენილი, მთელი შენი პოლიტიკური ცხოვრება თავიდან ბოლომდე დანაშაულებრივია. დანაშაული იყო შევარდნაძის გუნდში მისვლა იმ დროს, როდესაც შენ მიხვედი, რადგან, შენივე აღიარებით, მთელი მისი სისტემა კორუფციაში იყო ჩაფლული; დანაშაულებრივი იყო ამერიკელების მიერ მოწყობილი ე.წ. ვარდების რევოლუციაც, რომლის მთავარი მედროშეც შენ იყავი, ვინაიდან არავითარი რევოლუცია ეგ არ ყოფილა, სახელმწიფო გადატრიალება და ხელისუფლების უზურპაცია იყო.** იმიტომაც არ იყო რევოლუცია, რომ ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ ყველა ის უბედურება, რომლებიც შევარდნაძესა და მის ხელისუფლებას სჭირდა, მიიღე, როგორც ძვირფასი მემკვიდრეობა. შენ მხოლოდ ორი რამ შეცვალე, ოღონდ არა ქვეყნისა და ხალხის სასარგებლოდ, არამედ პირადი სარგებლისთვის:

**1. ხელისუფლების ყველა იმ რგოლს, რომლებიც შევარდნაძის ხელში კორუფცირებული იყო, კორუფციის წყარო ხელიდან გამოჰგლიჯე და უმაღლეს ხელისუფლებაში გადაიტანე, რათა მთელი ის სიმდიდრე, რომლის დაუფლების საშუალებაც საქართველოში არსებობდა, შენ და შენს ბანდიტურ მთავრობას უდანაკარგოდ მიგეღოთ. ამას კორუფციასთან უკომპრომისო ბრძოლა დაარქვი და რეკლამა გაიკეთე, მაგრამ ამით კორუფცია კი არ გამქრალა, იგი უფრო მასშტაბური, ორგანიზებული და ერთ ხელში კონცენტრირებული შეიქნა, რაც გაცილებით უარეს მოვლენად ჩამოყალიბდა, ვიდრე შევარდნაძის მმართველობის პერიოდში იყო;**

**2. შენ წარმოუდგენელი (შუასაუკუნებრივი) სისასტიკე დანერგე, რომელიც შენი პირუტყვული ვნებების დაკმაყოფილების გარდა არაფერს ემსახურებოდა.** სისასტიკეს, რომელიც სახელმწიფოს განმტკიცებას, ხალხის კეთილდღეობის ამაღლებას ან მაღალი იდეალების დანერგვას ემსახურება, შეიძლება გარკვეული გამართლება მოეძებნოს, მაგრამ სისასტიკესა და სისხლისმსმელობას, რომელიც მხოლოდ შენი ავადმყოფური პატივმოყვარეობის დაკმაყოფილებას ისახავდა მიზნად, გამართლებას ვერც ახლა და ვერც მომავალში ვერავინ მოუძებნის.

შენი დანაშაულებრივი მოღვაწეობის ნუსხა ამით არ ამოიწურება.

**მიუტევებელია შენ მიერ ჩადენილი დანაშაული 2008 წლის აგვისტოში, რომლითაც საქართველოს გამოუსწორებელი ზიანი მიაყენე. პუტინისგან მტრის ხატის შექმნით შენი დანაშაულების გადაფარვის მცდელობა სასაცილოა, რადგან პუტინი არც მტერია საქართველოსი და არც მოყვარე. იგი მეზობელი სახელმწიფოს პრეზიდენტია, რომელსაც საქართველოში ისევე აქვს პოლიტიკური და გეოპოლიტიკური ინტერესები, როგორც აშშ-ს, ევროპასა და სხვებს. შენ ამოცანა ვერ ამოხსენი, საგარეო ურთიერთობაში ბალანსი ვერ დაიცავი, გამოცდა ვერ ჩააბარე და საომრად გაქანდი იქ, სადაც გამარჯვების თეორიული შანსიც არ გქონდა.** თუ იმას იტყვი, რომ გამარჯვების შანსი არსებობდა, ეს შენს მდგომარეობას უფრო დაამძიმებს, ვინაიდან, შანსი თუ არსებობდა და ვერ გამოიყენე, ამას საქმის ჩაფლავება და გამოუსწორებელი მარცხი ჰქვია. ის მაინც არ იცი, დამარცხების შემდეგ როგორ უნდა მოიქცე? იმ ისტორიულმა ლიდერმა, რომელსაც, მართალია, მცირე მასშტაბით, მაგრამ ყველაზე მეტად ჰგავხარ, ხომ იცი, რა განაჩენიც გამოუტანა საკუთარ თავს მეორე მსოფლიო ომში განცდილი მარცხის შემდეგ? ისიც გემახსოვრება, რომ ვატერლოოსთან მარცხის შემდეგ **ნაპოლეონმა** სიცოცხლე გადასახლებაში დაასრულა. მსგავსი მაგალითები სხვაც არის მსოფლიოში. შენ კი **საკუთარი შეცდომებისა და დანაშაულების გამო მუდმივად დაფნის გვირგვინს რატომ ითხოვ ან რატომ ფიქრობ, რომ ეს ყოველთვის გაგივა? იმიტომ, რომ დაბნეულთა, მონუსხულთა, მოქრთამულთა, წყალწაღებულთა, გამოთაყვანებულთა და მჭადის ნატეხის მომლოდინეთა მცირერიცხოვანი გუნდი კიდევ გაკრავს გარს? იქ-** ▶




**ეპოქა წავიდა, მიხეილ! არ ვიცი, შენი ნაშიმშილები გონება ხარშავს თუ არა ამდენს, მაგრამ ის ე.წ. ვარდების რევოლუცია, რომელიც შენ კი არა, ამერიკელებმა მოახდინეს, აღარ განმეორდება თუნდაც იმიტომ, რომ ისინი მშვენივრად თანამშრომლობენ მასთან, ვინც ახლა ჰყავთ საქართველოში. შენ შენი სიგიჟით ამერიკელებიც კი დაღალე. ეს კი (დღეს ვინც ჰყავთ), რაც მართალია, მართალია, გიჟი არ არის და, თანამედროვე პოლიტიკოსთვის აუცილებელი ის ატრიბუტიც, ჟოჟოხეთს რომ ანათებს, შენზე მეტი აქვს**

«მე სიტყვასა ერთსა გკადრებ...»
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

## სააკაშვილის განცხადება ასეთი იყო: „გვეგონა, რომ ბევრი რამ შევცვალეთ, მაგრამ მთავარი საზიზღრობები კიდევ შიგნით ყოფილა. მათ შორის, სრული მანიაკები ასე დაუსჯელად რომ მოქმედებდნენ, სცემდნენ, აწამებდნენ ხალხს. მე მართლა არ მესმის, მანიაკობის გარდა იმ მოქმედებების მოტივაცია რა შეიძლება იყოს, რაც ჩვენ ვნახეთ. ეს იმას ნიშნავს, რომ რეალურად მოხდა სისტემური მარცხი“.

**მიხეილ, შენი მმართველობის პერიოდში ის უბედურება თუ ტრიალებდა, რომელსაც თვითონვე უწოდე სისტემური მარცხი, ახლა, ციხეში მოხვედრილი, განსაკუთრებული პატიმრის სტატუსს რა სინდისით ითხოვ და, საერთოდ, რა ჰონორითა და პრეტენზიებით, რა შიმშილობითა და ხელ-ფეხის ქნევით ლაპარაკობ?! იმის მტკიცება თუ განიზრახე, რომ უსამართლოდ გეპყრობიან, ხომ უნდა შეადარო ერთმანეთს, შენი პრეზიდენტობის პერიოდში როგორ ექცეოდნენ პატიმრებს და შენ როგორ გექცევიან? რა, ვინმემ ფრჩხილები დაგაგლიჯა, კბილები დაგაძრო თუ შარვალი ჩაგხადა და გასაუპატიურებლად მოგადგა? არა, ხომ? ჰოდა, დაოკდი ცოტა. მით უფრო, რომ შენ ერთი და ორი დანაშაული კი არ გაქვს ჩადენილი, მთელი შენი პოლიტიკური ცხოვრება დანაშაულებრივია**



◀ **ნებ იმიტომ, რომ შენი მთავრობის პირობებში ნაყაჩაღარი კაპიტალით დაფინანსებული ტელეარხებიდან ჯერ კიდევ ყეფენ პროფესიული თავმოყვარეობისგან და ადამიანური სინდისისგან სრულიად დაცლილი ვაიჟურნალისტები? ან იქნებ იმიტომ, რომ ამერიკისა და ევროპის პოლიტიკურ ისტებლიშმენტში ჯერ კიდევ არიან ის თაღლითები, რომლებსაც კარგად უხდიდი და დღესაც კარგად უხდი მხარდამჭერი განცხადებებისთვის?** კი ბატონო, გაქვს ეს მცირეოდენი საფუძველი იმისთვის, რომ ილუზიებში იყო და სრულიად უნაყოფო ფანტაზიებზე ააგო საკუთარი გეგმები, მაგრამ სადღაც ხომ უნდა მიხვდე, რომ არც შინ და არც გარეთ რეალურად მხარს არავინ გიჭერს. არც მომავალში დაგიჭერს ვინმე მხარს. ამერკელთა ის განცხადებები, ზემოთ რომ წარმოვადგინე, მხოლოდ მოვალეობის მოსახდელად გაკეთებული ყასიდა განცხადებებია. **ამერიკული „ფერადი რევოლუციების“ ეპოქა დასრულდა. ამერიკელებს უკანასკნელი წარუმატებელი მცდელობა ბელარუსში ჰქონდათ. ავღანეთში ოცწლიანი ომის შემდეგ სამარცხვინოდ გაბუნძულდნენ უკან და ახლა აღარ იციან, სამი ტრილიონი დოლარის უაზრო ხარჯი (საიდანაც ძალიან დიდი ნაწილი პილიტიკური და სამხედრო მაღალი ჩინების ჯიბეებში დაილექა) რით ახსნან და გაამართლონ.** შენ მიერ მოწონებულმა და მხარდაჭერილმა უკრაინულმა მაიდანმაც სრული კრახი განიცადა. **შენ მიერ „რეფორმირებული“ უკრაინა მიწასთანაა გასწორებული და შენი იუშჩენკო-ტიმოშენკო-პოროშენკო-ზელენსკიც ისეთივე პოლიტიკურ მძორებად არიან ქცეული, როგორიც შენ ხარ...**

ეპოქა წავიდა, მიხეილ! არ ვიცი, შენი ნაშიმშილები გონება ხარშავს თუ არა ამდენს, მაგრამ ის ე.წ. ვარდების რევოლუცია, რომელიც, შენ კი არა, ამერიკელებმა მოახდინეს, აღარ განმეორდება თუნდაც იმიტომ, რომ ისინი მშვენივრად თანამშრომლობენ მასთან, ვინც ახლა ჰყავთ საქართველოში. შენ შენი სიგიჟით ამერიკელებიც კი დაღალე. ეს კი (დღეს ვინც ჰყავთ), რაც მართალია, მართალია, გიჟი არ არის და თანამედროვე პოლიტიკისთვის აუცილებელი ის ატრიბუტიც, ჯოჯოხეთს რომ ანათებს, შენზე მეტი აქვს. **აბა, კარგად დაფიქრდი, რატომ უნდა გაცვალონ უფრო მდიდარი და ნორმალური ივანიშვილი ნაკლებად მდიდარსა და გადარეულ სააკაშვილში?! მესმის, რომ ამერიკელებს ატყუებ, რუსებს ატყუებ, ევროპელებს ატყუებ, ქართველებს ატყუებ, მაგრამ საკუთარი თავი სანამდე უნდა ატყუო? ხომ არის სადღაც, რომელიღაც წუთი თუ წამი, როდესაც ადამიანი ცდილობს, მართალი იყოს საკუთარი თავის წინაშე.** ჰოდა, შენც თუ გაქვს საკუთარ თავთან გულახდილობის ეს აუცილებელი მომენტი, წესით, უნდა მიხვდე, რომ ის ეპოქა, როდესაც შენ ვიღაცას სჭირდებოდი, წავიდა, მიხეილ, უკანმოუხედავად და უკანმოუბრუნებლად წავიდა. შენ ახლა შენს შვილებს სჭირდები, შენი შვილების დედას სჭირდები, ახალ მეუღლეს სჭირდები. პოლიტიკოსის წარსული და პრეზიდენტის ბიოგრაფია გაქვს, მსოფლიოში გიცნობენ, მდიდარი კაცი ხარ, წადი სადმე (სახლები არ გაქვს თუ მამულები?!), დაანებე თავი წარსულით ცხოვრებას, თორემ დაგღუპავს ის მძიმე წარსული. **გონიერი კაცი რომ იყო, პოლიტიკაში დარჩენის უპერსპექტივობას თუნდაც ის ქალები (ნუ ჩამომათვლევინებ) მიგახვედრებდნენ, შენ ირგვლივ რომ ტრიალებენ. დააკვირდი მათ სახეებს, მათ ქცევას, მათ საუბარს და შემდეგ ჩამოყალიბდი იმაზე, შეძლებენ თუ არა ისინი იმ სასწაულის მოხდენას, რომელსაც პოლიტიკური გვამის გაცოცხლება ჰქვია. ქალებზე იმიტომ გავამახვილე ყურადღება, რომ მათ სპეციალისტად და გულთამხილავად მიაჩნიხარ საზოგადოებას, თორემ, თუ გინდა, შენს მხარდამჭერ კაცებს (ნურც მათ ჩამომათვლევინებ) დააკვირდი და ამ შემთხვევაშიც უტყუარ დასკვნას გააკეთებ — წასულია შენი საქმე!**

დაგისახელებ საზოგადოების კიდევ ერთ სეგმენტს, რომელსაც ასევე შეგიძლია დააკვირდე — შენი მხარდამჭერი ჟურნალისტები. მათ ნაწილს დიდი სიამოვნებით ჩამოგითვლი. ნაწილს იმიტომ, რომ ზოგიერთი იმ მასშტაბისაა, მე კი არა, თვითონაც არ ახსოვს თავისი გვარ-სახელი ქართულ ჟურნალისტიკაში. ცნობილებს კი მივყვეთ შეძლებისდაგვარად: **გვარამია** და **გაბუნია,** ჟურნალისტური „შემოქმედებით“ კი არა, მხოლოდ თავიანთი შარვლების თარგითა და ფორმით, არათუ შენს საეჭვო პოპულარობას, **სტალინის, ჩერჩილისა** და **რუზველტის** უზარმაზარ ავტორიტეტსაც მოკლე ხანში გაანადგურებდნენ, თუკი ისინი ასეთ მხარდამჭერებზე უარს არ იტყოდნენ; **გიორგი თარგამაძე ის პოლიტიკოს-ჟურნალისტი არ იყო, შენი ოპონენტის როლს გულისამრევად უნიჭოდ რომ ასრულებდა? ამ კაცმა, ვისაც ოდესმე მხარი დაუჭირა, ყველა დაიღუპა — შევარდნაძით დაწყებული, აბაშიძით გაგრძელებული და პატარკაციშვილით დამთავრებული.** უნდა მოერიდო, მიხეილ, ამ კატეგორიას, ვინაიდან უცილობელი მარცხის მომტანნი არიან ისინი ყველასთვის, ვისაც გაეკარებიან; **აქუბარდიასა** და მისი ცოლის მხარდაჭერამ, რომელიმე კონკრეტული პიროვნების მიმართ კი არა, შესაძლებელია, ღმერთის მიმართ რწმენაც შეურყიოს ადამიანს, თუკი უზენაესისადმი ლტოლვა ოდესმე გამოამჟღავნეს ამ ცოდვისშვილებმა. საბედნიეროდ, ღმერთის სიყვარულისა მათ ჯერჯერობით არაფერი ეტყობათ, თავიანთი მერკანტილური ბედნიერებისთვის შენი სიყვარულიც ჰყოფნით; **გრიგოლიას, სანაიასა** და **ჟიჟილაშვილის** იმედად თუ ხარ, ასეთ შემთხვევაში, ალბათ, რაღაც წყევლა გდევს, არ ვიცი, **სააკაშვილების,** არ ვიცი, **ალასანიების** მხრიდან; წყევლა, შესაძლებელია, **რულოვსების** მხრიდანაც მოდიოდეს, მაგრამ კაბალისტიკასა და ოკულტიზმში ისე ღრმად ვერ ვერკვევი, რომ ამ თვალსაზრისით რამე დამამშვიდებელი გითხრა.

სხვა წყევლაც მოგყვება, მიხეილ. შენ მიერ უსამართლოდ დასჯილთა, ნაწამებთა და პატივაყრილთა, უმიზეზოდ ნაგვემთა და უდანაშაულოდ სიცოცხლემოსწრაფებულთა, მათი დედებისა და მამების, მათი მეუღლეებისა და შვილების წყევლა. მძიმეა ეს წყევლა, მიხეილ, ძალიან მძიმე. წვენებიან- ფაფებიანი „შიმშილობა“ ვერ გაანელებს ამ საშინელი წყევლის ძალას.

არა მგონია, შენ ამის გამგები იყო, მაგრამ მაინც გეტყვი: შენ და **ბიძინა ივანიშვილი,** თითქოს მოსისხლე მტრებად ქცეულნი და ერთმანეთთან სამკვდრო-სასიცოცხლოდ დაპირისპირებულნი, დღესაც პოლიტიკური ბარიკადების ერთ მხარეს დგახართ და ერთ თამაშს თამაშობთ, რადგან ერთი წერტილიდან იმართებით. თავის დროზე, როგორც **შევარდნაძემ** დაგითმო ტახტი ამერიკელთა კარნახით, შენც ისევე დაუთმე ტახტი ივანიშვილს იმავე ამერიკელების კარნახით. არ მითხრა ახლა, ჩვენმა დემოკრატიულმა ბუნებამ გადაგვადგმევინა ეს ნაბიჯიო. **ამერიკელებს რომ არ ებრძანებინათ, ხელისუფლების დამთმობი იყავით ან შენ, ან შევარდნაძე?** აბა, კარგად დაძაბე შენი ნაშიმშილარი გონება და გაიხსენე, რა იურიდიული დილემის წინაშე აღმოჩნდით შენ და ივანიშვილი იმ დროს, არჩევნების გზით ხელისუფლების გადაბარების ბლეფს რომ ახვევდით თავს ქართველ ხალხს. **მოუყევი საზოგადოებას, მსოფლიოში გაუგონარი რა საკონსტიტუციო თაღლითობა ჩაიდინე მაშინ ივანიშვილის სასარგებლოდ და საკუთარი თავის საწინააღმდეგოდ. არ გახსოვს?** ააა, ამდენი ხნის ნაშიმშილარს მოყოლის ძალა არ გაქვს? რა გაეწყობა, **მე მოვუყვები ხალხს იმის შესახებ, რა სამარცხვინო მეთოდით გაუკაფე გზა ოპონენტს ხელისუფლებისკენ, რისი შენარჩუნებაც ასე გსურდა, მაგრამ დათმობა შენმა საყვარელმა ამერიკელებმა დაგავალეს. სანამ ამერიკელების დავალება არ გქონდა მიღებული, გზას ეძებდი იმისთვის, რომ ივანიშვილი არჩევნებზე არ დაგეშვა. გამოსავალსაც მიაგენი: ბიძინას, ქართულ პასპორტთან ერთად, რუსული და ფრანგული პასპორტებიც აღმოაჩნდა.** შენც არც აცივე, არც აცხელე და ივანიშვილს ქართული პასპორტი გაუუქმე. აი, რას წერდა მაშინდელი პრესა: **„ბიზნესმენი ბიძინა ივანიშვილი საქართველოს მოქალაქე აღარ არის. ამ შინაარსის ინფორმაცია იუსტიციის სამინისტროს სამოქალაქო რეესტრის სააგენტომ საზოგადოებას 2011 წლის 11 ოქტომბერს შეატყობინა. მიზეზად საფრანგეთის პასპორტი იქცა. სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს მიერ 11 ოქტომბერს გამოქვეყნებული განცხადება გვატყობინებს, რომ ბიძინა ივანიშვილმა საქართველოს მოქალაქეობის მიღების შემდეგ მოიპოვა საფრანგეთის რესპუბლიკის მოქალაქეობა, ხოლო საქართველოს კონსტიტუციის 32-ე მუხლის მიხედვით, საქართველოს მოქალაქის მიერ სხვა სახელმწიფოს მოქალაქეობის მიღება იწვევს საქართველოს მოქალაქეობის დაკარგვას“.** ბასტა! ჩაუვარდა ივანიშვილს კოვზი ნაცარში. კაცი, რომელიც საქართველოს მოქალაქე არ იყო, არჩევნებში მონაწილეობას როგორ მიიღებდა?! ხოლო, თუ მილიარდერი ივანიშვილი არჩევნებში მონაწილეობას ვერ მიიღებდა, სხვა ვინ იყო შენი მომრევი და წამქცევი?! შენც გული საგულეს დაიგულე, ტახტის მთავარი მოცილე ორივე ბეჭით ტატამზე გყავდა გაკრული, მაგრამ... აქ მოხდა ის საოცრება, რომელმაც სრულიად განგაიარაღა. **ამერიკიდან არამხოლოდ ის დავალება მოვიდა, რომ ივანიშვილისთვის არჩევნებში მონაწილეობის უფლება, რა გზითაც გინდოდა, იმ გზით მიგეცა, არამედ ისიც, რომ არჩევნებში დამარცხება გეღიარებინა და ივანიშვილისთვის ტახტი გადაგებარებინა. მძიმე საგონებელში ჩავარდნილს, გუნდის ყველაზე გაქნილმა და გაიძვერა წევრებმა სამარცხვინო გამოსავალი შემოგთავაზეს — ცვლილება კონსტიტუციაში.** სხვა შემთხვევაში, საკუთარი გადაფურთხებულის ალოკვა და ივანიშვილისთვის შენივე ბრძანებით მოქალაქეობის მინიჭება მოგიწევდა. იცოდა ეს ივანიშვილმა და ამიტომაც არხეინად იყო: „აბა, გაბედოს სააკაშვილმა და მოქალაქეობა არ დამიბრუნოს, აბა, გაბედოს და უკან არ დაიხიოს!“ — აცხადებდა იგი. შენც მორჩილად დათანხმდი კონსტიტუციაში ცვლილების შეტანას, რომელიც ასეთი დაუჯერებელი ფორმულირებით განხორციელდა: **„2014 წლის 1 იანვრამდე საქართველოს საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობის მიღების უფლება, საქართველოს მოქალაქეებთან ერთად, აქვთ იმ პირებსაც, რომლებიც დაბადებულნი არიან საქართველოში, ბოლო ხუთი წელი მუდმივად ცხოვრობენ საქართველოში და აქვთ ევროკავშირის წევრი სახელმწიფოს მოქალაქეობა“.** ამდენ ჟონგლიორობას, ალბათ, ის სჯობდა, რომ იქ პირდაპირ ბიძინა ივანიშვილი ჩაგეწერა, მაგრამ გადაწყვეტილება ორივე შემთხვევაში ერთნაირად სამარცხვინო იქნებოდა.

**აი, ესა ხართ თქვენ — შენ და ბიძინა ივანიშვილი, ერთი ბოროტების ორი შემზარავი სახე, პოლიტიკური თაღლითები, ამერიკული ჯოჯოხეთის ორი მუგუზალი, რომლებიც ერთმანეთს უტიფრად აბრალებთ რუსეთის აგენტობას და ამით ძალაუფლებასაც ინარჩუნებთ და ამერიკელი ბატონებისადმი ძაღლურ ერთგულებასაც. უპირატესობა კი მაინც ივანიშვილის მხარესაა. მან შენ კი არ დაგამარცხა, მოგსპო, გაგანადგურა და მასხარად გაქცია. ახლა შენს შიმშილს თუ სიმაძღრეს, ბრძოლას თუ დანებებას, ციხეში ყოფნას თუ თავისუფლებას ერთი ფასი აქვს, უფრო სწორად, ჩალის ფასიც არ აქვს.**

**P.S.** ამით დავასრულებ საუბარს „ქართული სახელმწიფოს დამფუძნებელ მამასთან“, რომლის პოლიტიკური ფასი ახლა იმ ოყნის ფასს თუ უტოლდება, გორის ჰოსპიტალში რომ უკეთებენ ყოველ დილა-საღამოს.

საკითხავი ისაა, ქართველმა ხალხმა რა ქნას, ე.წ. ეროვნული მოძრაობიდან დღემდე ამგვარი თაღლითების მიერ უსინდისოდ მოტყუებულმა და ნაღალატებმა, ნაწამებმა და დამცირებულმა, დაფლეთილმა და სისხლისგან დაწრეტილმა, იმედგადაწურულმა და სასოწარკვეთილმა ქართველმა ხალხმა? ერთი რამ, რაც უნდა ქნას ქართველმა ხალხმა, ზუსტად ვიცი. სოფელთან სიახლოვე ვისაც გქონიათ, ასეთი სურათი ნანახი გექნებათ. ცხენი მდინარეს რომ გადალახავს, ფეხებზე მიკრულ წურბელებს მიწაზე ფლოქვების დარტყმით ჩამოიბერტყავს ხოლმე. ასე უნდა ჩამოვიბერტყოთ ის ვიგინდარები, პოლიტიკოსებს რომ უწოდებენ საკუთარ თავს და, ოცდაათი წელიწადია, ანგრევენ და ხრავენ... ხრავენ და ანგრევენ ჩვენს გასაცოდავებულ სამშობლოს.

თვალსაწიერი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„სააკაშვილის მიერ შექმნილ განათლების სისტემას ჰქონდა სამი ძირითადი პრინციპი: მოეშალათ საქართველოს ისტორიის სწავლება, რათა წარსულზე არ ჰქონოდათ ახალგაზრდებს წარმოდგენა, მეორე — მოეკლათ ქართული წეს-ჩვეულებები და ადათები, რათა მორალისგან დაცლილიყვნენ და მესამე — მოესპოთ რელიგია, რათა ის სრულად ყოფილიყო იგნორირებული და უარყოფილი. მათ, სამწუხაროდ, შეძლეს ამის გაკეთება; ასევე შეძლეს, ახალი თაობა დაეპირისპირებინათ წინაპრებთან“.**

# დასავლური იდეოლოგიით გაბრიყვებული ქართველი ახალგაზრდობა

**ერთ-ერთი ტელევიზიის მიერ ქუჩაში ახალგაზრდების გამოკითხვის შედეგები ვირუსივით მოედო სოციალურ ქსელებს. აღმოჩნდა, რომ, ახალგაზრდების აზრით, „სანამ სააკაშვილი ცოცხალია, რუსეთი ვერაფერს დაგვაკლებს“.**
**საქართველოს მოსახლეობის უდიდეს ნაწილში ნიჰილიზმია, ადამიანების უმრავლესობა არავის ენდობა, ამ მხრივ ძალიან მძიმე ვითარებაა ახალგაზრდებში — ზოგიერთისთვის ყველაფერი სულერთია, ზოგი კი ფიქრობს, რომ მიხეილ სააკაშვილი „ცამდე მართალი კაცია“. საბედნიეროდ, არიან ჩვენს ქვეყანაში ახალგაზრდები, რომლებიც მართებულად აზროვნებენ, მაგრამ მათგან თითქმის ყველა ამბობს, რომ საზღვარგარეთ სურთ ცხოვრება.**
**რამ გამოიწვია ქართველი ახალგაზრდების ინერტულობა; რატომ არის მოზარდ თაობაში პატრიოტიზმი ასეთ დაბალ დონეზე; რატომ სურთ ქვეყნიდან წასვლა — ამ და სხვა მნიშვნელოვან თემებზე გვესაუბრებიან პოლიტოლოგი შოთა აფხაიძე და სოციალურ მეცნიერებათა დოქტორი ხათუნა საგინაშვილი.**



**„თავისუფალ და ილიას უნივერსიტეტებში, რომლებშიც ბევრი ნაცნობი მყავს და ინფორმაციაც მაქვს, ლექციებს კითხულობენ ალექსანდრე კვახაძე, გიორგი მელაძე და მათნაირები, რომლებიც ბავშვებს ასწავლიან, რომ მეგის ქარდავა არის გმირი და ის რუსებმა დაატყვევეს, რომ ბაჩო ახალაია გმირია“**

**«ახალგაზრდები მიიჩნევენ, რომ უფროსი თაობა იყო და არის არაფრისმაქნისი, უსაქმური, რომ საქართველოს ისტორია არარაობაა... სააკაშვილის ხელისუფლებამ ახალგაზრდები ულტრალიბერალებად აქცია. მათთვის უმთავრესია ფული, რომლითაც ყველაფერს იყიდი. ახალგაზრდებს მისცეს, ასე ვთქვათ, სექსუალური თავისუფლება, გააშარჟეს «ქალწულობის ინსტიტუტი», რაც ჩვენი რეგიონისთვის, კავკასიისთვის, ქართველებისთვის, ყოვლად დაუშვებელი და წარმოუდგენელი იყო. ამ ყველაფერს დაემატა ე.წ. მსუბუქი ნარკოტიკის ყველასთვის ხელმისაწვდომობა»**

**შოთა აფხაიძე, პოლიტოლოგი:**

— მინდა, პარალელი გავავლო **სააკაშვილსა** და **ჰიტლერს** შორის. როდესაც ჰიტლერი ხელისუფლების სათავეში მივიდა, პირველი, რაც გააკეთა, იყო ის, რომ განათლების სისტემის ფუნდამენტური ცვლილება დაიწყო. მან თავის იდეოლოგიას მოარგო ქვეყნის განათლების სისტემა და დაიწყო ახალგაზრდების, მომავალი თაობების „აღზრდა“ იმ ფასეულობებით, რომლებსაც მიიჩნევდა, რომ იყო სწორი და ეს იყო ფაშიზმი, რასიზმი და ნაციზმი. ჰიტლერს თავის იდეების გამტარებლად **გებელსი** ჰყავდა, რომელიც შავს თეთრად ასაღებდა... და ახალგაზრდას, რომელსაც ლოგიკური დასკვნა უნდა გაეკეთებინა და ეფიქრა, რომ ჰიტლერული პროპაგანდის მსხვერპლი იყო, ფაშიზმი ნორმად მიაჩნდა. ასე ჩაითრიეს თითქმის მთელი გერმანელი ერი ავანტიურაში, ეს ყველაფერი რით დასრულდა, ყველამ კარგად ვიცით...

რა გააკეთა მიხეილ სააკაშვილმა? — მას ახალი არაფერი მოუგონებია. მისმა იდეოლოგებმა — **გიგი თევზაძემ, გია ლადარიამ, გიგა ბოკერიამ, ლევან რამიშვილმა, თამარ კინწურაშვილმა** და სხვებმა „თავისუფლების ინსტიტუტში“ ამოიღეს ჰიტლერისეული გერმანიის, აგრეთვე, მუსოლინისდროინდელი იტალიის განათლების სისტემის დოკუმენტები და დაიწყეს საქართველოში მისი დანერგვა. პირველ რიგში დაიწყეს ივ. ჯავახიშვილის უნივერსიტეტის ინდოქტრინაცია (სახელმწიფოს ან პოლიტიკური ორგანიზაციის მიერ კომპლექსური რეკლამისა და პროპაგანდის მეშვეობით მოსახლეობის ცნობიერებაში თვალსაზრისების გარკვეული სისტემისა და სტერეოტიპების ჩანერგვა და ჩამოყალიბება — ე.წ.). მათ სრულად წაშალეს ქართული მენტალიტეტი და ცნობიერება ახალგაზრდებში. ცდილობდნენ, შეექმნათ ზომბირებული არსებები, რაც ნაწილობრივ შეძლეს კიდეც.

**სააკაშვილის შექმნილ განათლების სისტემას ჰქონდა სამი ძირითადი პრინციპი: მოეშალათ საქართველოს ისტორიის სწავლება, რათა წარსულზე არ ჰქონოდათ ახალგაზრდებს წარმოდგენა, მეორე — მოეკლათ ქართული წეს-ჩვეულებები და ადათები, რათა მორალისგან დაცლილიყვნენ, და მესამე — მოესპოთ რელიგია, რათა ის სრულად ყოფილიყო იგნორირებული და უარყოფილი. მათ, სამწუხაროდ, შეძლეს ამის გაკეთება, ასევე შეძლეს, ახალი თაობა დაეპირისპირებინათ წინაპრებთან.** ახალგაზრდები მიიჩნევენ, რომ უფროსი თაობა იყო და არის არაფრისმაქნისი, უსაქმური, რომ საქართველოს ისტორია არარაობაა... სააკაშვილის ხელისუფლებამ ახალგაზრდები ულტრალიბერალებად აქცია, მათთვის უმთავრესია ფული, რომლითაც ყველაფერს იყიდი. ახალგაზრდებს მისცეს, ასე ვთქვათ, სექსუალური თავისუფლება, გააშარჟეს „ქალწულობის ინსტიტუტი“, რაც ჩვენი რეგიონისთვის, კავკასიისთვის, ქართველებისთვის, ყოვლად დაუშვებელი და წარმოუდგენელი იყო. ამ ყველაფერს დაემატა ე.წ. მსუბუქი ნარკოტიკის ყველასთვის ხელმისაწვდომობა.

ახალგაზრდებს უყვართ გართობა, იოლი ფული, ნაკლები მუშაობა, ნაკლები სწავლა და დატვირთვა, რომელიც ძალიან კარგად გამოიყენა სააკაშვილის იდეოლოგიამ. ახალგაზრდა, რომელსაც ნაკლებად ადარდებს ქვეყანაში მიმდინარე პროცესები, კომფორტშია. **დღეს ჩვენი ახალგაზრდები ვერ ხვდებიან, რა ხდება ქვეყანაში; ვერც იმას ხვდებიან, რომ, შესაძლოა, ისინი გამოიყენონ ბრმა იარაღად, ამიტომ ვერც ვადანაშაულებ მათ. ინტერნეტიზაციამ კი პროცესები დააჩქარა, პოლიტიკა ნაკლებად აქტუალური ხდება, ახალგაზრდები დაკავებულნი არიან თავისი პრობლემებით. ისინი მიიჩნევენ, რომ პირადი ფუფუნება უმაღლესი ფასეულობაა.**

საქართველოში მართლაც სავალალო მდგომარეობაა იმ მხრივ, რომ ახალგაზრდები ვერ აცნობიერებენ, ვინ იყო სააკაშვილი და რა გაუკეთა მან ქვეყანას. ათასობით გაუპატიურებული, მოკლული, ნაწამები, ქონებაწართმეული ადამიანია საქართველოში. ბოლოს და ბოლოს, სააკაშვილის უგუნური ქმედებებით დავკარგეთ ტერიტორიები. ლოგიკურად მოაზროვნე ახალგაზრდა ამ საკითხებით დაინტერესებული უნდა იყოს, რადგან ეს მისი ქვეყანაა, მაგრამ ახალგაზრდებს ეს არ ადარდებთ.

ბავშვი, რომელიც ათი წლის იყო სააკაშვილის ხელისუფლების პერიოდში, დაკაცდა, მან ის ისწავლა, რაც იმხანად ისწავლებოდა ქვეყანაში და რისი პროპაგანდაც მიმდინარეობდა. ამ ყველაფერში „ქართულ ოცნებასაც“ ვადანაშაულებ, რადგან სააკაშვილის შემდეგ ბევრი რამ არც მათ შეუცვლიათ. მაგალითად, **თავისუფალ და ილიას უნივერსიტეტებში, რომლებშიც ბევრი ნაცნობი მყავს და ინფორმაციაც მაქვს, ლექციებს კითხულობენ ალექსანდრე კვახაძე, გიორგი მელაძე და მათნაირები, რომლებიც ახალგაზრდებს ასწავლიან, რომ მეგის ქარდავა რუსებმა დაატყვევეს და რომ ის არის გმირი, რომ ბაჩო ახალაია გმირია... აი, ასეთ ლექციებს უკითხავენ ახალგაზრდებს უმაღლეს სასწავლებლებში და „ოცნებას“ ამაზე რეაქცია არ აქვს. მერე ჩვენ გვიკვირს, რატომ არიან ისინი ინერტულები არსებულ ვითარებაში.**

ახალგაზრდებს ასწავლიან, რომ დემოკრატია ისე არ მოდის, თუ არ გააუპატიურე, არ აწამე, არ მოკალი, რომ რუსეთის აგენტურა გვებრძვის და ა.შ. ამაზე განათლების სამინისტროს არ აქვს შესაბამისი პასუხი, რეაქცია. პირიქით, დღევანდელი განათლების სამინისტრო გრანტებს აძლევს მათ. **მივიდეს განათლების მინისტრი და დაესწროს მელაძის, კვახაძის ლექციებს და თავისი ყურით მოისმინოს, როგორ აჭმევდა არქანიას მეგის ქარდავა ფურცლებს იმისთვის, რომ რუსეთის აგრესია შეეჩერებინა. ამის შემდეგ რა გასაკვირია, რომ ამ თაობისთვის მეგის ქარდავა იყოს გმირი. კაცი, რომელიც დღესაც ციხიდან იმუქრება, რომ დავბრუნდებით ხელისუფლებაში, გაუპატიურებები მერე ვნახოთო... ახალგაზრდებიც ისე მოტივირებულნი იქნებიან, რომ იარაღით ხელში ე.წ. რუსეთის აგენტებს დაერევიან და ამას ამერიკა გაამართლებს.**

**— საქართველოს უახლეს ისტორიას ახსოვს ახალგაზრდების მიერ მოწყობილი რევოლუციის ტოლფასი საპროტესტო აქციები. ისტორიას საფუძვლიანად არ ასწავლიან, მაგრამ იქნებ ჩვენ გავიხსენოთ, რა შეუძლია ახალგაზრდულ ძალას, რომელიც დღეს ასე სჭირდება საქართველოს...**

— ისტორიულად ასეა საქართველოში, ჩვენი დიდი მეფეები 14-15 წლისანი ავიდნენ სამეფო ტახტზე. **დავით აღმაშენებელი** პატარა ბიჭი იყო და ასეთივე მეგობრები ჰყავდა, მათ შექმნეს გასაიდუმლოებული სამხედრო დაჯგუფებები და თურქ-სელჯუკებს უწევდნენ წინააღმდეგობას...14-15 წლის ახაგაზრდები, ქალიც და კაციც, ჩამოყალიბებულნი იყვნენ, მათ გააზრებული ჰქონდათ თავისი პასუხისმგებლობა ქვეყნისა და ოჯახის წინაშე...

**ახალგაზრდებთან უნდა ვიმუშაოთ. მათ უნდა იცოდნენ, რომ მეგის ქარდავა არ არის გმირი, ბაჩო ახალაია კი ნაძირალაა. სააკაშვილი ციხეში უმკაცრეს პირობებში უნდა იმყოფებოდეს, როგორც მოღალატე მმართველი. ახალგაზრდებმა უნდა იცოდნენ, რომ ამერიკაში, რომელიც მათ ასე მოსწონთ, უმკაცრესი პირობები აქვთ ციხეებში და სააკაშვილისნაირებს ელექტროსკამზე სვამენ...**

თუ არ გამოვაღვიძეთ ჩვენი მომავალი თაობა, თუ ხელისუფლება არ იზრუნებს პატრიოტული თემების პროპაგანდაზე, დავიღუპებით და მაშინ რა საჭიროა ეს ქვეყანა?! ჩვენი თაობა წავა და, როცა ჩვენ აღარ ვიქნებით, ვის იმედად უნდა დავტოვოთ საქართველო? იმ თაობის, რომელიც მტყუან-მართალს ვერ არჩევს?!

**კარგი იქნება, თუკი ჩვენი მომავალი თაობა დაინტერესდება ისტორიით — წაიკითხავენ, გაიგებენ, განათლდებიან, შეადარებენ... ნუ მოუსმენენ იმ ადამიანებს, რომლებმაც ქვეყანა გაყიდეს, ნუ მოუსმენენ კინწურაშვილებს, კვახაძეებს, მელაძეებს...**

**ქვეყანაში არ არსებობს სათანადო სახელმწიფო პროპაგანდა, რადგან ხელისუფლება გადასულია ძარცვა-გლეჯაზე. მას არ ადარდებს ახალგაზრდების ბედი. ისინი არიან სააკაშვი-** ▶

თვალსაზრისი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# „პირტიტველი ახალგაზრდების საპასუხისმგებლო თანამდებობაზე დანიშვნა სასჯელია ერისთვის და სწორედ ამას აკეთებდა სააკაშვილი. დღევანდელმა ახალგაზრდებმა, სამწუხაროდ, არ იციან, რომელია ძირითადი ღირებულებები, რაც სააკაშვილის პოლიტიკის გამოძახილია“.

◀ლის გზის გამგრძელებლები, საქართველოს ლატენტური მტრები. სააკაშვილი იყო აშკარა მტერი, ავადმყოფი, რომელიც თავს ვერ იოკებდა, ესენი კი დაფარული მტრები არიან. „ოცნებამ“ წამითაც არ იზრუნა ახალგაზრდებზე, მოტივაცია არ მისცა, არ გააკეთა სივრცეები, სადაც საქართველოს ისტორიას შეასწავლიან, სამშობლოს სიყვარულს შეასწავლიან, რელიგიას, სახელმწიფოზე ზრუნვას მიაჩვევენ მომავალ თაობებს. ასე რომ, ყოველივე ამას რომ ვფიქრობ, პრეტენზიაც არ მაქვს მომავალ თაობასთან.**

„ოცნებამ“ „ნაცმოძრაობასთან“ კოაბიტაციას გადააყოლა ქვეყანა, მომავალი თაობები. ესენიც, უკვე ცხრა წელიწადია, ხელისუფლებაში არიან. ვფიქრობ, ეკლესიამ უნდა ითამაშოს დიდი როლი მომავალი თაობების აღზრდის საქმეში, იმ ახალგაზრდების, რომლებიც ხვდებიან, რომ არსებული და ყოფილი ხელისუფლებაც ნაძირალები არიან. ახალგაზრდები არ უნდა დანებდნენ!



## „სააკაშვილის „ახალმა“ პოლიტიკამ, „ბუჩქების თაობის“ პოლიტიკამ, ძალიან მავნე ნაყოფი გამოიღო“

**ხათუნა საგინაშვილი,**
**სოციალურ მეცნიერებათა დოქტორი:**

— ყველა დიქტატორის სამიზნე ახალგაზრდობაა. ახალგაზრდები დიქტატორებისთვის საინტერესონი იმიტომ არიან, რომ მომავალი თაობაა. მათ არ აქვთ მყარი ორიენტირები, არიან ფასეულობების შერჩევის პროცესში, ამიტომ ადვილია მათზე ზეგავლენის მოპოვება.

სააკაშვილის პერიოდის მასონურ სკოლებსა და ლაბორატორიებში, რომლებშიც მართვის მექანიზმებს სწავლობდნენ, კარგად ჰქონდათ შემუშავებული, რატომ უნდა ამოე-

**«ქვეყანაში არ არსებობს სათანადო სახელმწიფო პროპაგანდა, რადგან ხელისუფლება გადასულია ძარცვა-გლეჯაზე. მას არ ადარდებს ახალგაზრდების ბედი, ისინი არიან სააკაშვილის გზის გამგრძელებლები, საქართველოს ლატენტური მტრები. სააკაშვილი იყო აშკარა მტერი, ავადმყოფი, რომელიც თავს ვერ იოკებდა, ესენი კი დაფარული მტრები არიან. «ოცნებამ» წამითაც არ იზრუნა ახალგაზრდებზე, მოტივაცია არ მისცა, არ გააკეთა სივრცეები, სადაც საქართველოს ისტორიას შეასწავლიან, სამშობლოს სიყვარულს შეასწავლიან, რელიგიას, სახელმწიფოზე ზრუნვას მიაჩვევენ მომავალ თაობებს. ასე რომ, ყოველივე ამას რომ ვფიქრობ, პრეტენზიაც არ მაქვს მომავალ თაობასთან»**

ღოთ სამიზნეში ახალგაზრდები, ყველაზე სათუთი ადამიანები...

**ჩვენ გვახსოვს, როგორ უთითებდნენ ახალგაზრდებს „ბუჩქებისკენ“, ეს არ იყო შემთხვევითი...** გვახსოვს ისიც, რომ სააკაშვილმა 24 წლამდე ჩამოსწია სადეპუტატო ასაკი, რაც ნიშნავდა იმას, რომ ფასეულობების აღრევისა და მენტალიტეტის დამახინჯების სანაცვლოდ, ახალგაზრდებს ბონუსებს აძლევდა, ცდილობდა, მის მიმართ სიმპათია ჰქონოდათ იმ ახალგაზრდებს, რომლებიც მისივე მითითებებს ზედმიწევნით შეასრულებდნენ.

**სააკაშვილის იდეოლოგია ითვალისწინებდა უფროსი თაობის „ჩარეცხილებად“ გამოცხადებას. საზოგადოებას კარგად ახსოვს, როგორ შეურაცხყვეს ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლები, იგივე პროცესები მიმდინარეობდა მეცნიერებათა აკადემიასა და ტელევიზიაში — ამჟამად საზოგადოებრივ არხზე...**

სააკაშვილი ებრძოდა ავტორიტეტებს, რითაც ზეგავლენას ახდენდა ახალგაზრდებზე. ის ცდილობდა ფასეულობების ნგრევას, ავტორიტეტების უარყოფას და, თუკი ვინმე ამას გააკეთებდა, წაახალისებდა — სამსახურს აძლევდა.

**სააკაშვილმა პირტიტველა ახალგაზრდები დანიშნა მინისტრებად, დეპუტატებად შეჰყავდა ქვეყნის უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში. მახსენდება ბიბლიური ჭეშმარიტება: „ცოდვების გამო ერს დავსჯი იმითი, რომ უწვერულებს მთავრებად დაგისვამთ“.**

პირტიტველი ახალგაზრდების საპასუხისმგებლო თანამდებობებზე დანიშვნა სასჯელია ერისთვის და სწორედ ამას აკეთებდა სააკაშვილი. ახალგაზრდებმა, სამწუხაროდ, არ იციან, რომელია ძირითადი ღირებულებები, რაც სააკაშვილის პოლიტიკის გამოძახილია.

**სკოლებში შემცირდა საქართველოს ისტორიის გაკვეთილები, მოიშალა რელიგიის კუთხეები, საერთოდ, ამოიღეს რელიგიის გაკვეთილები, აკრძალეს მღვდლების შესვლა სასწავლო დაწესებულებებში. სააკაშვილმა მოშალა ეროვნული ფუნდამენტი ახალგაზრდებში.**

ახალგაზრდები ინერტულები გახდნენ, მაგრამ საქართველოს აქვს ბასტიონი, ციტადელი და ეს ეკლესიაა, დედაეკლესია. თუკი ვინმე გადარჩება, ის იქნება მიჯაჭვული ეკლესიაზე. სააკაშვილმა სწორედ მას გამოაცალა ფუნდამენტი, სწორედ მასზე შეძლო გავლენის მოხდენა, ვისაც არ ჰქონდა რწმენა.

**ერთხელ სატელევიზიო გადაცემისთვის მასალას ვამზადებდი, ქუჩაში გამოკითხვა ჩავატარე. ახალგაზრდებს ვუსვამდით კითხვას — რა არის თქვენს თაობაში პრიორიტეტული? მათი პასუხი იყო: — უცხოეთი...**

წარმოგიდგენიათ? **ცხრა ძმა ხერხეულიძის შთამომავლები უცხოეთში წასვლაზე ოცნებობენ. პათეტიკად არ ჩამითვალოთ, მაგრამ იმ ცხრა ძმის დედა შვილებს ასწავლიდა, საქართველოს დროშა მიწაზე არ დაცემულიყო და დღეს ჩვენი ახალგაზრდები უცხოეთში წასვლაზე ოცნებობენ...**

— **საუკუნეებისწინანდელი ქართველები რომც არ გავიხსენოთ, რაც სულაც არ არის პათეტიკა, საქართველოს უახლეს ისტორიაშიც გვახსოვს ახალგაზრდული სულისკვეთებაც...**

— არსებობს სპეციალური დოქტრინები, დღეს ამას უწოდებენ შეთქმულების თეორიას, რომელიც გულისხმობს საზოგადოების გარყვნას, რადგან გარყვნილი საზოგადოება უფრო ადვილი სამართავია. **სააკაშვილის მმართველობის პერიოდში პირდაპირ აცხადებდნენ, რომ უნდა შეექმნათ ახალი ადამიანები.**

**საბჭოთა კავშირისდროინდელ საქართველოში გაცილებით მეტი იყო ეროვნული თვითშეგნება. ერთი შეხედვით, თითქოს საერთო სივრცეში ვცხოვრობდით, მაგრამ ქართველებს იმხელა სიყვარული გვქონდა ჩვენი ქვეყნის, 1989 წლის 9 აპრილს, როგორც ერთი, ისე დადგა მთელი ახალგაზრდობა სამშობლოს დასაცავად.**

დღევანდელ ახალგაზრდებს არ აქვთ ეროვნული თვითშეგნება და მართალს ამბობთ თქვენ, როდესაც შორეული ისტორიის წიაღსვლებში წასვლა არ არის საჭირო, რადგან სულ ახლახან ძალიან ძლიერი იყო ახალგაზრდა თაობის სულისკვეთება...

**სააკაშვილის „ახალმა“ პოლიტიკამ, „ბუჩქების თაობის“ პოლიტიკამ, ნაყოფი გამოიღო, თანაც ძალიან მავნე.**

სააკაშვილის მიზანი იყო უსამშობლო ცნობიერების ადამიანის, მსოფლიო მოქალაქის გამოზრდა. ის ხშირად საუბრობდა „სინგაპურიზაციაზე“ — სინგაპური მისი ოცნების საქართველო იყო. **სააკაშვილს სურდა, შეექმნა მოქალაქეების გაერთიანება, რომლებიც ფესვებს მოწყვეტილი იქნებოდნენ და მსოფლიოს მოქალაქეებად იგრძნობდნენ თავს, რომელთაც მშობლიურის სიყვარული არ ექნებოდათ. გარკვეულწილად მიაღწია ამას. თაობა, რომელიც გაიზარდა და რომლის ნიჰილიზმიც ეროვნული ღირებულებების მიმართ ასე გვაწუხებს, სააკაშვილის პოლიტიკის გამოძახილია.**

**«ამ საშინელი მდგომარეობიდან, რომელსაც ახალგაზრდების ინერტულობა, ნიჰილიზმი ჰქვია, მხოლოდ ეკლესიას შეუძლია გამოსავლის პოვნა და ხსნა მომავალი თაობებისა. ყველა მშობელმა უნდა გაითავისოს ეს, ყველა მშობელმა უნდა იცოდეს, რომ სულიერ ვაკუუმში მყოფი, ღირებულებებისგან დაცლილი ბავშვები, შესაძლოა, ადვილად აღმოჩნდნენ მავნე ზეგავლენის მსხვერპლნი, ისეთის, როგორიცაა ნარკოტიკი, ე.წ. კლუბური ცხოვრება»**

კიდევ ერთხელ გავუსვამ ხაზს იმას, რომ ამ საშინელი მდგომარეობიდან, რომელსაც ახალგაზრდების ინერტულობა, ნიჰილიზმი ქვია, მხოლოდ ეკლესიას შეუძლია გამოსავლის პოვნა და ხსნა მომავალი თაობებისა. ყველა მშობელმა უნდა გაითავისოს ეს, ყველა მშობელმა უნდა იცოდეს, რომ სულიერ ვაკუუმში მყოფი, ღირებულებებისგან დაცლილი ბავშვები, შესაძლოა, ადვილად აღმოჩნდნენ მავნე ზეგავლენის მსხვერპლნი, ისეთის, როგორიცაა ნარკოტიკი, ე.წ. კლუბური ცხოვრება... აუცილებელია, ბავშვები, ახალგაზრდები აღიზარდონ ეროვნული სულისკვეთებით და არ აღმოჩნდნენ, როგორც სახარებაში წერია: „იმ სახლის დარად, რომელიც დახვდებათ დასუფთავებული და შვიდი ეშმაკი, უფრო უბოროტესი დაეპატრონება“.

**— თქვენ საუბრობთ „სააკაშვილისდროინდელ“ თაობაზე, ამბობთ იმასაც, რომ საჭიროა ახალგაზრდების სულიერ აღზრდაზე ზრუნვა, მაგრამ ხელისუფლებიდან სააკაშვილის წასვლიდან 9 წელიწადი გავიდა...**

— ეს ხელისუფლება განაგრძობს წინა ხელისუფლების გზას, მათ შორის განსხვავება დიდი არ არის, რადგან „ოცნებამ“ არც რელიგია დააბრუნა სკოლებში, არც საქართველოს ისტორიის სწავლების საათებს მოუმატა, არც მშობლიური ლიტერატურის... „ქართულმა ოცნებამ“ ინერციით განაგრძო წინა ხელისუფლების დატოვებული იდეოლოგია და ბავშვი პატრიოტად როგორ უნდა გაიზარდოს, თუ სახელმწიფო არ იზრუნებს ამაზე, თუ სახელმწიფო პრიორიტეტად არ აქცევს ამას?!

**ახალგაზრდა, რომელიც არ იზრდება საკუთარი სარწმუნოების წმინდანთა ცხოვრების ისტორიებზე, საკუთარი ქვეყნის ისტორიის დიდებულებაზე, თუკი ბავშვისთვის არ არსებობს ეროვნული, სამშობლოსთვის თავდადებული ავტორიტეტი, როგორ უნდა გაიზარდოს პატრიოტად?**

ბოლო პერიოდში აქტიურად ვეცნობი, როგორ ხდება საზღვარგარეთ პატრიოტული სულისკვეთების გაღვივება ახალგაზრდებში. აღმოჩნდა, რომ გლობალიზაციის პირობებში გაძლიერებულია პატრიოტული მიმართულებები ევროპასა და ამერიკაშიც. არსებობს, პატრიოტული კლუბები, ასწავლიან ქველმოქმედებას, უმწეოებზე ზრუნვას და ეს პრიორიტეტია ყველა სასწავლებელში. ამ ყველაფერს ასწავლიან, როგორც სამხედრო, ასევე, სამოქალაქო პატრიოტული მიმართულებით.

**გლობალიზაციის მიუხედავად, მსოფლიოს ყველა ქვეყანაში პატრიოტიზმი უპირველესი პრიორიტეტია, მაგრამ ჩვენი ქვეყნის მმართველები მარიონეტები არიან და უცხო ძალების ინსტრუქციას, რომელიც მარიონეტებისთვისაა განკუთვნილი, უსიტყვოდ ასრულებენ. თუ სხვაგან პრიორიტეტია პატრიოტიზმი, ჩვენთან იგნორირებულია...**

მოამზადა
**ეკა ნასყიდაშვილმა**

**„ახალგაზრდა, რომელიც არ იზრდება საკუთარი სარწმუნოების წმინდანთა ცხოვრების ისტორიებზე, საკუთარი ქვეყნის ისტორიის დიდებულებაზე, თუკი ბავშვისთვის არ არსებობს ეროვნული, სამშობლოსთვის თავდადებული ავტორიტეტი, როგორ უნდა გაიზარდოს პატრიოტად?**

ხსოვნის პატივსაცემად
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**დაუშვებელია, ჩავაქროთ ინტერესი ფაშიზმის წინააღმდეგ წარმოებული დიდი ომის მიმართ, პირიქით — ინტერესი უნდა გავაძლიეროთ. ჩვენი ისტორიის ანტირუსული ქვეტექსტებით ფსევდოგანდიდება საქართველოს, მის მომავალ თაობებს, არ მოუტანს სარგებელს. ადამიანებმა ნამდვილი ისტორია უნდა იცოდნენ, ამიტომ გთავაზობთ: ვაკის პარკის მონუმენტი დავიცვათ შემდგომი ხელყოფისაგან, აღვადგინოთ მონუმენტის ჯერ კიდევ 1991 წელს შელახული იერსახე, შესაბამისი წარწერებით, რომლებიც 1945 წლის 9 მაისს უკავშირდებოდა.**

# არ მოუსმინოთ პროვოკატორებს!

## ორგანიზაცია «საქართველოს უკვდავი ჯარის» ხელმძღვანელის მიმართვა თბილისის მერს — კახა კალაძეს



**როგორც რამდენიმე დღის წინათ შეიქნა ცნობილი, თბილისის მერი, ბატონი კახა კალაძე გამოვიდა ინიციატივით, ვაკის პარკში მოეწყოს „ქართველ გმირთა მემორიალი“. ეს განცხადება მან სოციალურ ქსელში გააკეთა.**

„ჩვენ გვაქვს წინადადება, რომ პარკის ტერიტორიაზე მოეწყოს საქართველოს გმირების მემორიალი, რომელიც მნიშვნელოვანია ჩვენი გმირების პატივისცემისა და მათი სულების უკვდავსაყოფად. ამავე დროს, ისტორიულ ექსკურსს მოიაზრებს და ისტორიულ მოვლენებთან დაკავშირებულ ცნობებს მიაწვდის ჩვენს მოქალაქეებსა და თბილისის სტუმრებს“, – განაცხადა კახა კალაძემ და აღნიშნა, რომ „ამ პროექტის განხორციელების პროცესში დარგის სპეციალისტები ჩაერთვებიან, გაიმართება შეხვედრები, მსჯელობა და ამის შემდეგ გადაწყდება, როგორი მონუმენტი გაკეთდეს“.

თითქოს ყველაფერი რიგზეა და ქართველმა საზოგადოებრიობამ ტაში უნდა დაუკრას ჩვენს ენერგიულ ქალაქის თავს, მაგრამ — არა ამჯერად. კალაძის ინიციატივა ქვეყნის პრეზიდენტის, სალომე ზურაბიშვილის, აშკარად დესტრუქციული ჩანაფიქრების გაგრძელებაა, რომლებიც მან ჯერ კიდევ გაზაფხულზე, 9 აპრილს, გამოთქვა. პრეზიდენტმაც სოციალურ ქსელში დაწერა, რომ გამოდის ინიციატივით, **„შეიქმნას საქართველოს დამოუკიდებლობისა და ტერიტორიული მთლიანობისათვის ასწლიან ბრძოლაში დაღუპულ მებრძოლთა ერთიანი მემორიალი ვაკის პარკში, რომლის რეაბილიტაციაც დღეს მიმდინარეობს. ეს იქნება ადგილი, სადაც ყველა შეძლებს, მათ პატივი მიაგოს, სადაც საშუალება გვექნება, ახალგაზრდა თაობებს ვასწავლოთ სწორედ ამ 100 წლის ბრძოლების ისტორია, სადაც, როცა ჩამოვლენ ჩვენი უცხოელი სტუმრები, ცოტა უფრო ღირსეულად მივიყვანთ პატივის მისაგებად“.**

ზურაბიშვილის ინიციატივას აქვს აშკარად ანტირუსული ხასიათი და მიზნად ისახავს, საქართველოს გასაბჭოების თარიღი (1921 წელი) და მითური „ასი წლის ბრძოლების ისტორია“ (სინამდვილეში კი, პოსტსაბჭოთა პერიოდის სამხედრო კონფლიქტები) დააკავშიროს 9 მაისის ნათელ დღესასწაულთან, შენიღბულია კალაძის პოზიტიური ნარატივით აბსტრაქტული „ქართველი გმირების“ შესახებ.

**რა შეიძლება გვქონდეს ქართველი გმირების საწინააღმდეგო? — არც არაფერი, მაგრამ ვაკის პარკი, რომელიც გამარჯვების პარკად იწოდებოდა და მერიამ კალაძემდე დიდი ხნით ადრე მას ეს სახელწოდება მოჰპარა, თავიდანვე ჩაფიქრებული იყო და იქცა იმ ურიცხვი ქართველი გმირის დიდების ადგილად, რომლებიც ნაცისტურ გერმანიასთან და მის მოკავშირეებთან იბრძოდნენ, ბრძოლის ველზე დაიღუპნენ ან გადარჩნენ! პარკის ტერიტორიაზე განისვენებს წითელი არმიის უცნობი ჯარისკაცი, თუმცა ცნობილია, რომ იგი საქართველოს შვილია და დაიღუპა დიდ წმინდა ომში საქართველოსთვის, საბჭოთა კავშირის სხვა ხალხებისთვის, მსოფლიოს ყველა ერის თავისუფლებისათვის!**

პატარა საქართველოს ასიათასობით მცხოვრები იბრძოდა დიდი სამამულო და მეორე მსოფლიო ომის ფრონტებზე, ყველა ფრონტის უმაღლესი მთავარსარდალი და გამარჯვების მთავარი ავტორი ქართველი იყო — **კიდევ რომელ გმირებს ვეძებთ, რა გვინდა მეტი?! მხედველობაში მაქვს ვაკის პარკი, თორემ, რა თქმა უნდა, ქრისტიანული საქართველოს 1700-წლოვანი ისტორია სხვა ეპოქების უამრავ გმირს იცნობს. დიდგორის ბრძოლის ადგილზე (დიდგორობას, როგორც ცნობილია, პოლიტიკური კონიუნქტურიდან გამომდინარე, არაოფიციალურად ვზეიმობთ, იმ ფაქტის აღნიშვნის გარეშე, თუ ვისთან აწარმოებდნენ ბრძოლას ჩვენი გმირი წინაპრები ათასი წლის წინათ) გვაქვს მისი ამსახველი მონუმენტი, თბილისში არის მეტროპოლიტენის სადგური კრწანისის ბრძოლის გმირების პატივსაცემად, „300 არაგველად“ წოდებული, პოსტსაბჭოთა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის დაღუპულებს ავუშენეთ ცალკე მემორიალი მოედანზე, რომელსაც გმირთა მოედანი ჰქვია... მაშასადამე, არ არსებობს არანაირი საჭიროება, შევიტანოთ დამატებითი „ჰეროიზმი“ პარკში, რომელიც თავის დროზე ჩაფიქრებულ იყო სპეციალურად დიდი სამამულო ომის გმირებისთვის!**



მაგრამ ახალი გეგმის ავტორებს, რომლებმაც ეს გეგმა ქალაქის მერს კეთილშობილური ზრახვის საფარველში შეუხვიეს და ისე შეუცურეს, სწორედ დიდი სამამულო ომის ხსოვნა აქვთ მიზანში ამოღებული: მათი მიზანია, მოხდეს 9 მაისის თარიღის გაფარდობითობა, რელატივიზაცია, წითელი არმიის ქართველი გმირების ხსოვნის წაშლა, იმ გმირებისა, რომელთაც ფაშიზმი დაამარცხეს ევროპის კონტინენტზე. როდესაც „საქართველოს უკვდავი ჯარის“ აქტივისტებმა 2019 წელს პირველად და, ჯერჯერობით ერთადერთხელ, ჩავატარეთ მსვლელობა თბილისში და უცნობი ჯარისკაცის საფლავი ყვავილებით შევამკეთ, იქვე მოვაწყეთ კუსტარული, დროებითი ექსპოზიცია — დავალაგეთ ბანერები, დიდი სამამულო ომის ქართველი გმირების პორტრეტებითა და სახელებით. ამ სპონტანურმა ექსპოზიციამ პარკში შეკრებილი ახალგაზრდობის ცოცხალი ინტერესი გამოიწვია შემდგომი დღეების განმავლობაში.

დაუშვებელია, ჩავაქროთ ეს ინტერესი ფაშიზმის წინააღმდეგ წარმოებული დიდი ომის მიმართ, პირიქით — ინტერესი უნდა გავაძლიეროთ. ჩვენი ისტორიის ანტირუსული ქვეტექსტებით ფსევდოგანდიდება საქართველოს, მის მომავალ თაობებს არ მოუტანს სარგებელს. ადამიანებმა ნამდვილი ისტორია უნდა იცოდნენ, ამიტომ გთავაზობთ: ვაკის პარკის მონუმენტი დავიცვათ შემდგომი ხელყოფისაგან, აღვადგინოთ მონუმენტის ჯერ კიდევ 1991 წელს შელახული იერსახე, შესაბამისი წარწერებით, რომლებიც 1945 წლის 9 მაისს უკავშირდებოდა... მოგიწოდებთ, მოხდეს მეორე მსოფლიო ომის დიდი სამამულო ომის ფრონტებზე მიმდინარე ბრძოლების ქრონიკის მუდმივმოქმედი გამოფენა, სადაც იბრძოდა და დაიღუპა აგრესორის წინააღმდეგ მებრძოლ ქართველთა ძირითადი ნაწილი!

**ბატონო კახა, გამოაცხადეთ კონკურსი თქვენ მიერ განახლებული მონუმენტის მოწყობაზე ამ ისტორიულ ჩარჩოებში; არ უსმინოთ პროვოკატორებს!**

პატივისცემით,
**ბულბაათ რცხილაძე**,
მოძრაობა „საქართველოს უკვდავი ჯარის“ დამფუძნებელი

**ზურაბიშვილის ინიციატივას აქვს აშკარად ანტირუსული ხასიათი და მიზნად ისახავს, საქართველოს გასაბჭოების თარიღი (1921 წელი) და მითური «ასი წლის ბრძოლების ისტორია» (სინამდვილეში კი, პოსტსაბჭოთა პერიოდის სამხედრო კონფლიქტები) დააკავშიროს 9 მაისის ნათელ დღესასწაულთან, შენიღბულია კალაძის პოზიტიური ნარატივით აბსტრაქტული «ქართველი გმირების» შესახებ**



„მის კომპანიას ერქვა (გვერქვა) „შპს საქართველო“. ჰქონდა ის, რაც სურდა. ჰყავდა ის, ვინც სურდა. რომელ ნაშაზეც დორბლი გაეწელებოდა, მყისიერად ქვეშ ყავდა ამოდებული; მაგრამ (ნუ დავუკარგავთ) მერე ამ ქალებს გადასარევად უწყობდა ცხოვრებას. ჰქონდა საკუთარი კინოთეატრი. მის კინოში ყველა ჯერზე ცოცხალი ადამიანები მონაწილეობდნენ. ყველა კადრი ცოცხალი შესრულებით. ზოგჯერ ერთ დუბლს იღებდნენ ასჯერ, სანამ მას არ მოეწონებოდა, იქამდე უყურებდა და ტკბებოდა. ტკბებოდა წამების ყურებით. ციხე მისი კინოთეატრი იყო. ის ციხე, რომელშიც ახლა თვითონ ზის. კინო რომ მობეზრდა, მერე ომობანა ითამაშა“.

ხალხის აზრით
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

გთავაზობთ საზოგადოების სხვადასხვა წარმომადგენლის სოციალურ ქსელებში გამოქვეყნებულ თვალსაზრისს სააკაშვილის საქართველოში შემოპარვასა და მის მიზანზე — ნებისმიერი საშუალებით დაბრუნდეს ხელისუფლების სათავეში.

# «სააკაშვილი «დივიდენდებს» ითხოვს...» «ციხე მისი «კინოთეატრი» იყო»



## ბონდო მძინარაშვილი: სააკაშვილი «დივიდენდებს» ითხოვს და ყველაფერს გააკეთებს ხელისუფლებაში დასაბრუნებლად ან მოკვდება!

ამერიკაში, ევროპასა და რუსეთში კარგად იციან, რომ სააკაშვილი სოციოპათი და ფსიქოპათია! ეს ასევე კარგად იციან საქართველოს ხელისუფლებაში.

ყველაზე კარგად კი სააკაშვილის ოჯახის წევრებმა და თანამზრახველებმა იციან.

მეგობრებსაც ეცოდინებოდათ, მაგრამ სააკაშვილს ისინი, უბრალოდ, არ ჰყავს.

სააკაშვილის ამ მდგომარეობას კარგად იყენებდნენ ამერიკა-ევროპა-რუსეთი; ამ მდგომარეობით კარგად ისარგებლეს მისი ოჯახის წევრებმა და თანამზრახველებმა, უზარმაზარი ქონება დააგროვეს!

სააკაშვილი ახლა განწირულია, მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა დიდი პრობლემაა, მაგრამ ყველამ, ვინც ამით ისარგებლა, საკუთარი სარგებლის ტყვეობაშია!

სააკაშვილი „დივიდენდებს“ ითხოვს და ყველაფერს გააკეთებს ხელისუფლებაში დასაბრუნებლად ან მოკვდება!

ძალაუფლების გარეშე ის, უბრალოდ, მოკვდება!

აქ უნდა დავსვათ ორი შეკითხვა:

*** ვის აძლევს ხელს მისი კვლავ ძალაუფლებით აღჭურვა?**

*** ვის აძლევს ხელს მისი სიკვდილი?**

უმთავრესი ის არის, ვინ იგრძნობს თავს კომფორტულად პირველ ან მეორე შემთხვევაში.

პირველ შემთხვევაში საქართველოში სისხლის კალოები გაილეწება. კევრის ქვეშ აღმოჩნდებიან ისინიც, ვინც ახლა მისი გულშემატკივრის როლს თამაშობენ, ოჯახის წევრების გარდა, და მათ ეს ძალიან კარგად იციან! ისინიც მძევლები არიან!

მეორე შემთხვევაში კი ყველა შვებას იგრძნობს, ოჯახის წევრების გარდა.

მაგრამ ეს არჩევანი არ არსებობს. ყველაფერი ისე მოხდება, როგორც... დაწერილია.

როგორც 54 წლის წინათ დაიწერა.



## ნინო ახობაძე: საჭმელს არ შევჭამ და კომფორტულ საავადმყოფოში წამიყვანეთო, ასეთი რამ გაგიგონიათ? ეს ახლა კაცურია? ბიჭურია? ქალაქურია? ადამიანურია?

**ექიმი, სამედიცინო სამსახურის მაიორი ნინო ახობაძე სოციალურ ქსელში სტატუსს აქვეყნებს, რომელსაც უცვლელად გთავაზობთ:**

„თქვენ კიდე მეუბნებით, როგორ ბედავ, რომ გეცოდებაო! კარგი, რაა, კარგი რაა! ნუ აი, აბა, როგორ არ მებრალებოდეს, ხალხო!

ტიპი იყო საქართველოს დირექტორი! სკოლაში რომ რადიატორთან იჯდა და (მათ მიეცათ ჩვენი ცოდვა, ვინც მაგას თავში უტყაპუნებდა და აშნირებდა მაშინ) იყო ერთი დაკომპლექსებული დოყლაპია. ეს მაინც ხომ აღარაა საკამათო. ჰოდა, იყო ქვეყნის დირექტორი; ჩათვალეთ ჰქონდა საკუთარი ბიზნესი, ფლობდა აქციების სრულ პაკეტს. ყიდულობდა და ყიდდა ადამიანებს. მშვენიერი სარფიანი ბიზნესია, ვერაფერს იტყვი.

**მის კომპანიას ერქვა (გვერქვა) „შპს საქართველო“. ჰქონდა ის, რაც სურდა. ჰყავდა ის, ვინც სურდა. რომელ ნაშაზეც დორბლი გაეწელებოდა, მყისიერად ქვეშ ყავდა ამოდებული; მაგრამ (ნუ დავუკარგავთ) მერე ამ ქალებს გადასარევად უწყობდა ცხოვრებას. ჰქონდა საკუთარი კინოთეატრი. მის კინოში ყველა ჯერზე ცოცხალი ადამიანები მონაწილეობდნენ. ყველა კადრი ცოცხალი შესრულებით. ზოგჯერ ერთ დუბლს იღებდნენ ასჯერ, სანამ მას არ მოეწონებოდა, იქამდე უყურებდა და ტკბებოდა. ტკბებოდა წამების ყურებით. ციხე მისი კინოთეატრი იყო. ის ციხე, რომელშიც ახლა თვითონ ზის. კინო რომ მობეზრდა, მერე ომობანა ითამაშა; საკუთარი თვალით ვნახე ამ „თამაშში“ ნაფლეთებად ქცეული ბიჭები, შეშინებული მოსახლეობა, გზებზე გამოფენილი ქალები და კაცები, რომლებიც ცრემლიან თვალებს გვაყოლებდნენ და ხელს გვიქნევდნენ...**

კონცერტიც ვნახე მაშინ, სანამ ჩვენი ბიჭების ცხედრები ჯერ კიდევ დაუმარხავი იყო. ვერ ვუყურე, შემრცხვა. დიქტატურა ჯარში ვნახე.

ყველა არჩევნებზე ცხვრის ფარასავით შერეკილი ადამიანები ვნახე — საარჩევნო ყუთებთან; სპეციალურად გამოცხადებული ყაზარმულებიც ვნახე ყველა არჩევნების წინ! (არასოდეს მსგავსი 2012-ის მერე აღარ მინახავს); ვინმე თურქი რომ ბათუმში თავის მორიგ კერძო სასტუმროს გახსნიდა, იქ ჩამოფრენილიც ვნახე „ჩვენი ქვეყნის დირექტორი“, კამერების წინ ლენტს რომ თავად ჭრიდა და აცხადებდა: „დღეს კიდევ ერთი სასტუმრო გავხსენითო“! მილანში შოპინგზეც ვნახე; გორში მიწაზე მფორთხავიც.

სცენაზე ვიღაცა ქალი რომ ხელში აიტაცა და „ვაიმეე, რა საყვარელიაა“ — ეგეთიც ვნახე; ბუჩქებში რომ მიუთითა ახალგაზრდებს — ეგეთიც;

ჟვანია რომ დაიტირა — ეგეთიც ვნახე; ტელევიზორიდან რომ პუტინს ეჩხუბებოდა — ეგეთიც. „არავითარი დანდობა, ყველა ციხეში“! — ეგეთიც ხომ მყავს ნანახი....

**ირინა ენუქიძეს** რომ დასცინა და ის ვიღაცები შეიწყალა, ეგეც ხომ ვნახეთ;

თავისი კარის მომღერლების გარდა, ყველა ხელოვანი რომ მოიკვეთა და საჯარიმოზე გაუშვა, ეგეც ვნახეთ; 7 ნოემბერს რაც ჩაიდინა — ეგეც; დირექტორიც ეგ იყო, დამფუძნებელიც და მაყურებელიც; მისი ძალაუფლება იდგა ძმებ **ახალაიებზე, ადეიშვილზე, მერაბიშვილზე.** იდეოლოგი **ბოკერია** ჰყავდა, ხაზინადარი —**კეზერაშვილი.** მისი ცოლის თანამდებობა **სანდრას** ეკავა. ყველა ჯავრი, ყველა წყენა, ყველა ბოღმა-პატიმრებზე იყარა, უმწეო ადამიანებზე, რომლებსაც თავისუფლება აღკვეთილი ჰქონდათ.

**ვისაც მიშას სამართლისა და სიმართლის გჯერათ, არ გწყევლით, არა — თქვენს ოჯახებში და თქვენი შვილების თავს იყოს იგივე სამართალი. განწყობთ?**

თქვენ ხომ თვლით, რომ ის უდანაშაულოა? ჰოდა, ჯანში გქონდეთ ეგ სიმართლე და ეგ სამართალი! და, თუ ის დამნაშავეა, მაშინ რა დედითქვენისა გინდათ?!

რატომ შეგვჭამეთ და შეგვაწუხეთ ჩვენ, ჩვეულებრივი ადამიანები?

ხალხო, დავბერდი და მსგავსი არ მინახავს, ფილმშიც კი!

**სადმე ოდესმე გინახაათ, პატიმარი კაცი ასე იქცეოდეს?**

**კაცი, ხალხო, კაცი! აი ასე იპარჭყებოდეს, ტლიკინებდეს, ხელს იშვერდეს და ბადრაგს გამოჯავრებით ვიღაცის მონებს ეძახდეს? ეგეთი რამ გინახავთ სადმე? ან გაგიგონიათ?**

საჭმელს არ შევჭამ და კომფორტულ საავადმყოფოში წამიყვანეთო, ასეთი რამ გაგიგონიათ? ეს ახლა კაცურია? ბიჭურია? ქალაქურია? ადამიანურია? ქალი ვარ და, სულ რომ ქუჩაში გამაკავონ და ციხეში წამიყვანონ და აბსურდული ბრალდება წამიყენონ, ასე როგორ მოვიქცევი, კაცო: ჭირვეული ჩასვრილი ბავშვივით მიწაზე გავწვე და გავიფარჩხო,— არ წამოგყვებითო! რა სიგოიმეა, რა სიმდაბლეა, რა სილაჩრეა!

**კაცი არა ხარ, შე უბედურო და საცოდავო? ცამდეც რომ იყო მართალი, რა სცენებს დგამ და რა არაკაცურად იქცევი, შენ როგორ გებარა ქვეყანა, ჰაა?**

ადე ზეზე და დადექი კაცურად, შე კლოუნო! ბოლო-ბოლო, ამდენი შენზე შეყვარებული ქალი გიყურებს, რასაი გამხარ, აბა? მეცოდები (((( იმიტომ, რომ ერთი დიდი ხორცის ტომარა ხარ, რომელიც აქამდე ჭამდი და კუჭში გადიოდი. სულ ეგ იყო შენი ცხოვრება და აწი იძულებული ხარ, ცოტა ჭამო. იცი, კიდევ რატო მეცოდები?

შენს ფიზიკურ განადგურებას რომ ნატრობენ შენი საქმიანი პარტნიორები, აი მაგიტომ, ყველაზე მეტად კი იმიტომ მეცოდები, რომ ძმაკაცი არა გყავს! მეტი რაღა უნდა დაგემართოს?

იჯექი ახლა და უცადე, დირიჟორ **მაჭავარიანს** ფისი როდის მოუნდება. აუ, დავიღალე რაა ((( ნუ გადააყოლეთ ქვეყანა ამ ერთ ჩასვრილ იდიოტს! დავიღალე კი არა, გადავიწვი, ყველაფრით! რა დროს მიშაა?! აი ამეების წერაც მომბეზრდა, არადა, სადაც გაიხედავ, ეგ სულით მახინჯია ყველგან.

მადლობა, მიშა, გზები რომ დაგვიგე“,— წერს ნინო ახობაძე.

ge.news-front.info





## გია ვოლსკი: «ნაციონალური მოძრაობა» რამდენიმე მიმართულებით მუშაობს, რათა სააკაშვილის თემა აქტუალური იყოს, დესტაბილიზაციის მიმართულება კი — უზრუნველყოფილი

უკრაინის მოქალაქეების საქართველოში არშემოშვების ფაქტს საპარლამენტო უმრავლესობის წევრი გიორგი ვოლსკი გამოეხმაურა. როგორც მან „ქრონიკასთან“ **საუბრისას თქვა, ეს პირველი შემთხვევა არ არის, როდესაც სააკაშვილთან კონტაქტში მყოფი უკრაინელი მებრძოლები საქართველოში ჩამოსვლას ცდილობენ.**

„ნაციონალური მოძრაობა“ რამდენიმე მიმართულებით მუშაობს, რათა სააკაშვილის თემა აქტუალური იყოს, დესტაბილიზაციის მიმართულება კი — უზრუნველყოფილი. მათ შორისაა უკრაინიდან კონკრეტული ადამიანების ვიზიტები. ჩამოვიდა ერთი ჟურნალისტი, რომელსაც, ვითომ ინტერვიუს აღება უნდოდა და ინტერვიუს გარეშე უკან გააბრუნეს, მაგრამ უკრაინაში, თავის გადაცემაში დეზინფორმაციის უშველებელი ტალღა გამოუშვა ეკრანებზე. იგივე იყო სახალხო დამცველის შემთხვევაშიც, რომელიც არანაირი სახალხო დამცველის ფუნქციის შესასრულებლად არ არის ჩამოსული. ჩვენ გვყავს სახალხო დამცველიც, პოლიტიკურად საკმაოდ ანგაჟირებული. ახლა კიდევ ჩამოვიდა გუნდი, რომელშიც ერთ-ერთი საკმაოდ გამოცდილი სამხედროცაა. არ მგონია, რომ სამხედრო გადატრიალების განვითარების რესურსი ჰქონდეს, მაგრამ, ყოველ შემთხვევაში, ისინი არ არიან საქართველოს მეგობრები. სააკაშვილი არის ბერკეტი, რომელსაც საკმაოდ მოხერხებულად იყენებს ის ძალა, რომელსაც დესტაბილიზაცია სურს რეგიონშიც და მსოფლიოშიც“, — აღნიშნა გიორგი ვოლსკიმ.

უკრაინიდან თბილისში ჩამოსული 6 მგზავრი იმავე თვითმფრინავით უკან გააბრუნეს. მათ შორისაა პაშა კაშჩუკი, რომელიც, ოფიციალური წყაროების თანახმად, სამხედრო ინსტრუქტორია და უკრაინელ სამხედროებს სნაიპერული იარაღიდან სროლაში ავარჯიშებს. ამავე წყაროს თანახმად, უშუალოდ მისი გადამზადებულია უკრაინაში მოქმედი საბრძოლო დანაყოფის, ქართული ლეგიონის — „მგლების“ მებრძოლებიც.

## გრიგოლ ონიანის საავტორო გვერდი

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**22-მა ივნისმა, ომის პირველმა დღემ, კრემლში ყოველგვარი პანიკის, ხმაურისა და კამათის გარეშე ჩაიარა. მხოლოდ სტალინის პირადი მდივანი, პოსკრებიშევი, მოძრაობდა ჩვეულებრივზე მეტად — აზუსტებდა წუთებსა და წამებს, ვინ და როდის უნდა შესულიყო და გამოსულიყო სტალინთან. საღამოს ერთ-ერთ ვიზიტორად გამოცხადებული პროფესორი პრეობრაჟენსკი გაოცებული გამოვიდა სტალინის კაბინეტიდან და უმალვე თავის დღიურში ჩაწერა: „22 ივნისი, საღამოს 11 საათი, სტალინი აბსოლუტურად ჯანმრთელია“. ასე გადაიტანა რკინის კაცმა უმძიმესი ანთება 16 საათში და სრულიად ჯანმრთელი ჩაუდგა სათავეში ქვეყნის თავდაცვას.**

# სტალინი მეორე მსოფლიო ომში

## დიდი სამამულო ომის საარქივო მასალები — 1200 ახალი დოკუმენტი პირველად იხილავს მზის სინათლეს «საქართველო და მსოფლიოს» ფურცლებზე

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №40-41, 2021 წ.

სსრკ-ის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების შედგენას ქვეყნის საომარ ვითარებაზე გადაყვანის შესახებ დასჭირდა მრავალსაათიანი დაძაბული მუშაობა, რომელშიც ჩაბმული იყო სახელმწიფოში მოქმედი ყველა სახალხო კომისარიატი და სპეცსტრუქტურა. მთავარი დირიჟორი, რომელიც ამ ძირითად საპროგრამო დოკუმენტს ადგენდა, იყო სტალინი, **მაგრამ იცოდა კი ვინმემ იქ მყოფთაგან, ქვეყნის საომარ ყაიდაზე ურთულესი გარდაქმნის პროცესში რა მდგომარეობაში იყო იგი ჯანმრთელობის მხრივ?** სტალინს მწვავე ანგინა ჰქონდა 40 გრადუსი ტემპერატურით. და ეს სწორედ იმ 22 ივნისს, როდესაც ფაშისტებმა საბჭოთა კავშირის დასახლებულ პუნქტებსა და ქალაქებს უამრავი ბომბი დააყარეს; სტალინი კი, ყოველგვარ სახელმწიფო ბერკეტს მოკლებული, პარტიის ხელმძღვანელის რანგში ქვეყნის თავდაცვას, შეიარაღებულ ძალებს მეთაურობდა. **საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა სახალხო კომისარი ვიაჩესლავ მოლოტოვიც კი, რომელიც სტალინის უახლოეს ადამიანად ითვლებოდა, ვერ მიხვდა, რა მძიმე მდგომარეობაში იმყოფებოდა სტალინი ჯანმრთელობის მხრივ და, როცა უთხრეს, რომ ხალხისთვის უნდა მიემართა, იკითხა: „რატომ მე და არა სტალინი?“** სტალინის ბრძანება შესრულდა. საბჭოთა ხალხს მოლოტოვმა მიმართა, ხოლო წითელმა არმიამ და გამწვევმა პუნქტებმა მიიღეს სტალინის რკინის ხელით შედგენილი ბრძანება ქვეყნის სამხედრო ყაიდაზე გადასვლის შესახებ.

22-მა ივნისმა, ომის პირველმა დღემ, კრემლში ყოველგვარი პანიკის, ხმაურისა და კამათის გარეშე ჩაიარა. მხოლოდ სტალინის პირადი მდივანი **პოსკრებიშევი** მოძრაობდა ჩვეულებრივზე მეტად — აზუსტებდა წუთებსა და წამებს, ვინ და როდის უნდა შესულიყო და გამოსულიყო სტალინთან. საღამოს ერთ-ერთ ვიზიტორად გამოცხადებული პროფესორი **პრეობრაჟენსკი** გაოცებული გამოვიდა სტალინის კაბინეტიდან და უმალვე თავის დღიურში ჩაწერა: **„22 ივნისი, საღამოს 11 საათი, სტალინი აბსოლუტურად ჯანმრთელია“.** ასე გადაიტანა რკინის კაცმა უმძიმესი ანთება 16 საათში და სრულიად ჯანმრთელი ჩაუდგა სათავეში ქვეყნის თავდაცვას.

ომის პირველ დღეზე ნათელ წარმოდგენას გვაძლევს არქივებში შემონახული გერმანელი მებრძოლების მიერ ბრძოლის ველიდან ახლობლებისთვის გაგზავნილი წერილები, რომლებიც გამოაქვეყნეს გერმანულმა საინფორმაციო საშუალებებმა. გერმანიის ხელისუფლებამ მოსახლეობას სთხოვა, გაზეთების რედაქციებში გაეგზავნათ 22 ივნისს მიღებული საოჯახო წერილები, რისთვისაც ისინი გასამრჯელოს მიიღებდნენ. რედაქციებმა მოსახლეობისგან უამრავი წერილი მიიღეს, რომელთა ნაწილიც გაზეთებში გამოქვეყნდა. გთავაზობთ ამონარიდებს ზოგიერთი წერილიდან:

*** „ჩემს თვალებს არასოდეს უნახავს, რასაც მე აქ ბრძოლის პირველ დღეს ვუყურებ. ეს საფრანგეთი არ არის, ჩვენ სულ სხვა ძალას ვებრძვით“, — წერდა ქმარი მეუღლეს ბერლინში.**

* „ჩვენ ვუპირისპირდებით ადამიანებს, რომლებიც იბრძვიან არა სიცოცხლისათვის, არამედ სიკვდილისათვის. ვნახე, როგორ წაართვა რუსმა მებრძოლმა გერმანელ ოფიცერს იარაღი და როგორ მოკლა ის მისივე იარაღით. ეს იყო პირველი გერმანელი ოფიცერი, რომელიც მკვდარი ვნახე რუსულ მიწაზე, ბაჯაღლო ოქროს ბეჭდით ხელდამშვენებული“, — უდეპეშა უნტეროფიცერმა **ადოლფ ჰიტლერს.** ფიურერმა კი იმავე დღეს მოაწყო მასშტაბური შეხვედრა და განაცხადა: „მივიღე ცნობა პირველი გერმანელი ჯარისკაცის დაღუპვის თაობაზე, გაფრთხილებთ! ჩვენ ვუპირისპირდებით არმიას, რომელშიც იბრძვიან მხეცები და ცხოველები“.

*** „წარმოუდგენელია ბრძოლაში ასეთი თავგანწირვა. სატანკო ბატალიონს მედგარ წინააღმდეგობას გვიწევდა ოთხი რუსი ჯარისკაცი, რომლებიც სრულიად დაუცველ ტერიტორიაზე, პურის ყანებში იყვნენ ჩამალულნი“, — ატყობინებდა შვილი მამას გერმანიაში.**

* „საბჭოთა ტანკისტმა, როდესაც მისი ტანკი ალყაში მოვაქციეთ და ტყვია-წამალიც გაუთავდა, ლუკიდან თავი ამოყო, ამოვიდა და რევოლვერიდან აგვიტეხა სროლა. ეს წარმოუდგენელი თავგანწირვაა“, — წერდა გერმანელი ოფიცერი თავის მეგობარს ბერლინში.



**ომის პირველ დღეს ბრესტის ციხესიმაგრეს გერმანელთა რჩეული ქვეითების 45-ე დივიზია მიადგა. ალყაში მოქცეული საბჭოელი ჯარისკაცები მძიმე შეიარაღების გარეშე, შაშხანებით იცავდნენ ციხესიმაგრეს. ბოლოს ოთხი ჯარისკაცი და ერთი პოლიტხელი დარჩა ციტადელში, გარშემო კი 483 გერმანელი ოფიცრისა და ჯარისკაცის გვამები ეყარა. ბრესტის ციხესიმაგრის ტრაგედიით შეძრწუნებულმა ფელდმარშალმა ფონ ბოკმა განკარგულება გასცა, გაეყვანათ მებრძოლები ციხესიმაგრის მიმდებარე ტერიტორიიდან და ბლოკადა გაეძლიერებინათ. 22 ივნისს ბრესტთან გამართულ ომს შეეწირა 483 გერმანელი ოფიცერი და ჯარისკაცი. ეს რაოდენობა სამჯერ აღემატება პოლონეთის, ხოლო ექვსჯერ საფრანგეთის სამხედრო კამპანიაში დაკარგული გერმანელი ოფიცრებისა და ჯარისკაცების რაოდენობას.**

* „ხელჩართულ ბრძოლაში უიარაღო და ტანსაცმელდაფლეთილი ჯარისკაცი ჩვენკენ გამოიქცა, გვეგონა, ტყვედ გვბარდებოდა, ახლოს რომ მოვიდა, სწრაფად შემოიხსნა მესანგრის ნიჩაბი და ძლიერად გვესროლა შეძახილით: „ზა სტალინა, ზა როდინუ!“. ეს არ იყო ვინმეს შიშითა და აგიტაციით ჩადენილი ქმედება, მას სხვა საფუძველი ჰქონდა“, — ჩაწერა თავის დღიურში გერმანელმა ოფიცერმა.

ომის პირველი პერიოდის წარუმატებლობა, რომელიც აღინიშნა საზღვრისპირა რაიონებში, ეს ყოველთვის ასე ხდებოდა მსოფლიო ომების ისტრორიაში, რადგან თავდამსხმელს თავდაცვასთან შედარებით უპირატესობა აქვს მოულოდნელობის ფაქტორის გათვალისწინებით. სტალინს ვრცელი ტერიტორიის კოზირი ჰქონდა და ხანგრძლივი ომისთვის ემზადებოდა საფუძვლიანად, პანიკის გარეშე, ომის პირობების ყველა წესის გათვალისწინებით. სტალინი სახელმწიფო თავდაცვის კომიტეტის სხდომებზე განიხილავდა არა მხოლოდ საბრძოლო მოქმედებათა რთული სისტემების, არამედ ქალაქისა და სოფლის სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საკითხებს, რომლებიც ფრონტისთვის ზურგის გამაგრების ძირითად წყაროს წარმოადგენდა. სტალინმა გადაწყვიტა ქალაქის (მოსკოვის) ოპერატიული მართვის თვალსაზრისით შეემცირებინა მისი მოსახლეობა და განეტვირთა სამინისტროებისა და უწყებებისგან, რისთვისაც მან მკაცრი და საიდუმლო ბრძანებულება გამოსცა.

**„სრულიად საიდუმლოდ**

**სახალხო კომისარიატებისა და მთავარი სამმართველოების მოსკოვიდან გადატანის შესახებ**

**სსრკ-ის სახალხო კომისართა საბჭოსა და საკავშირო კპ-ის (ბ) ცკ-ის**

**ბრძანებულება**

**„ ... „ 1941 წელი. მოსკოვი, კრემლი**

ქ. მოსკოვის განტვირთვის მიზნით სსრკ-ის სახალხო კომისართა საბჭო და კპ-ის (ბ) ცენტრალური კომიტეტი ადგენს:

1. მოსკოვიდან საბჭოთა კავშირის ქალაქებში გადატანილ იქნას სახალხო კომისარიატები და ყველა უწყება, 1-ელი დანართის და, ნაწილობრივ, მე-2 დანართის მიხედვით.

2. სახალხო კომისარიატისა და, საზოგადოდ, ყველა ევაკუირებულთათვის დადგინდეს შემდეგი წესი:

ა) პირველ რიგში, მოხდეს სახალხო კომისარიატების აპარატების ნაწილის გადასვლა 2-3 მოადგილითურთ და დარჩენილმა ნაწილებმა განახორციელონ თავიანთი ფუნქციები და მობილიზაციის გეგმა;

ბ) მას შემდეგ, რაც ევაკუირებული ნაწილები შეუდგებიან ნორმალურ ფუნქციობას, მოხდეს სახალხო კომისარიატისა და სახალხო კომისრების გადაყვანა;

გ) სახალხო კომისარიატების გადასვლის შემდეგ, მოსკოვში რჩება სახალხო კომისართა თითო-თითო მოადგილე აპარატის მცირე შემადგენლობით, სახელმწიფო უწყებებთან კავშირის უზრუნველსაყოფად და სახალხო კომისრების დავალებების შესასრულებლად.

3. სახალხო კომისრებისა და უწყებების ხელმძღვანელებმა, კავშირგაბმულობის სახალხო კომისართან და სამდინარო ფლოტის სახალხო კომისართან შეთანხმებ-

►




დოკუმენტების ხუთტომეული




პირველი ტომის ყდა

გრიგოლ ოնიანის საავტორო გვერდი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„ჩვენ ვუპირისპირდებით ადამიანებს, რომლებიც იბრძვიან არა სიცოცხლისთვის, არამედ სიკვდილისთვის. ვნახე, როგორ წაართვა რუსმა მებრძოლმა გერმანელ ოფიცერს იარაღი და როგორ მოკლა ის მისივე იარაღით. ეს იყო პირველი გერმანელი ოფიცერი, რომელიც მკვდარი ვნახე რუსულ მიწაზე, ბაჯაღლო ოქროს ბეჭდით ხელდამშვენებული“, — უდეკეშა უნტეროფიცერმა ადოლფ ჰიტლერს. ფიურერმა კი იმავე დღეს მოაწყო მასშტაბური შეხვედრა და განაცხადა: „მივიღე ცნობა პირველი გერმანელი ჯარისკაცის დაღუპვის თაობაზე, გაფრთხილებთ! ჩვენ ვუპირისპირდებით არმიას, რომელშიც იბრძვიან მხეცები და ცხოველები“**

ით წარმოადგინონ მოსკოვიდან სახალხო კომისარიატებისა და უწყებების ევაკუაციის ვადები.

4. სახალხო კომისრებმა შეამცირონ სახალხო კომისარიატების (უწყებების) პერსონალი.

5. საკავშირო კპ-ის (ბ) სამხარეო (საოლქო) კომიტეტებს დაევალოთ, შეძლებისდაგვარად შეამცირონ რაიონული, საქალაქო და საოლქო დაწესებულებების რაოდენობა და შესაბამისად — პერსონალი; ზოგიერთი დაწესებულება გადატანილ იქნას რეგიონის სხვა ქალაქებში, ასევე რაიონულ ცენტრებში და განთავსებული სახალხო კომისარიატებისთვის გამოთავისუფლებულ ფართობებში. ამ მიზნით გამოთავისუფლდეს უმაღლესი დაწესებულებების შენობები და ნაწილი სასკოლო შენობებისა. უმაღლეს დაწესებულებათა შენობების გამოთავისუფლება შეთანხმდეს სსრკ-ის სახალხო კომისართა საბჭოსთან.

**სსრკ-ის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე და მდივანი
ი. სტალინი**

სრულიად საიდუმლოდ
ეგზ. N1 “ (ფოტო №1)

**„მოსკოვის კრემლის კომენდანტის
ბრძანება №79
მოსკოვი, კრემლი. 22 ივნისი, 1941 წ. 8 სთ. 30 წთ.**

შინაარსი: მოსკოვის კრემლის გაძლიერებული დაცვისა და უსაფრთხოების შესახებ

ვბრძანებ, დღეიდან, 19 სთ და 00 წთ-დან, ჩემ მიერ შემუშავებული გეგმის შესაბამისად მოხდეს მოსკოვის კრემლის გაძლიერებული დაცვა და უსაფრთხოება.

განყოფილების უფროსს, ჩემს თანაშემწესა და დანაყოფის მეთაურებს სასწრაფოდ გადაეცეთ დაცვის სამსახურის გაძლიერების ბრძანება და გაძლიერებული პოსტების დეტალური ანგარიში. მოხდეს დამატებითი პოსტების განლაგება. რუსეთის კომუნისტური პარტიის შენობების პოსტებისა და საგუშაგოების უფროსებს გადაეცეთ ამონაწერი ბრძანებულებიდან პოსტებისა და საგუშაგოების შესახებ. დაწესდეს კონტროლი გეგმით გათვალისწინებული ყველა პოსტის გაძლიერებულ დაცვასა და ბრძანების შესრულებაზე. მომახსენეთ პირადად.

ჩემს მორიგე თანაშემწეს: გამოიძახეთ სამეთაურო სამმართველოს ხელმძღვანელობა. მიეცით მითითება დამტკიცებული გეგმის შესაბამისად.

გაძლიერებული დაცვისა და უსაფრთხოების შესახებ ბრძანების გაცნობისთანავე მოხდეს ნაწილებიდან გამოგზავნილი პერსონალის შემოწმება; შემოწმების შემდეგ დაიწყოს მათი გადანაწილება პოსტებსა და საგუშაგოებზე. ჩემ მიერ დადგენილი გეგმის მიხედვით მოხდეს არსებული და დამატებითი პოსტების გაძლიერება.

სპეცდანიშნულების პოლკის ხელმძღვანელობას: გაძლიერებული დაცვის ბრძანების მიღებისთანავე გამოყოფილ იქნას პერსონალის სრული შემადგენლობა მოსკოვის კრემლის საკომენდატო სამმართველოს გაძლიერების უზრუნველსაყოფად. გამოძახებული იქნას პოლკის ხელმძღვანელობის სრული შემადგენლობა.

სახელმწიფო უშიშროების სახალხო კომისარიატის ცალკეული ბატალიონის ხელმძღვანელს — გაძლიერებული დაცვის ბრძანებულების გაცნობისთანავე საცხოვრებელი ბინებიდან გამოძახებული იქნას ქვედანაყოფთა სრული შემადგენლობა, დანიშნულნი დაცვის გაძლიერების გეგმის შესაბამისად და შემოწმების შემდეგ გადანაწილდნენ მოსკოვის კრემლის საკომენდატო სამმართველოს მიერ დადგენილ პოსტებზე დადგენილი სიით. გამოძახებული ქვედანაყოფის დარჩენილი ნაწილი განთავსდეს ბატალიონის შენობაში და დაეკისროს მორიგეობა.

პოსტებისა და საგუშაგოების უფროსებს: ჩემ მიერ დადგენილი გეგმის მიხედვით გამკაცრდეს კონტროლი არსებულ და ახალ პოსტებზე.

სამხედრო საწარმო კომპლექსის ხელმძღვანელს: განლაგდეს დამატებითი პოსტები და გაძლიერდეს კონტროლი აქამდე არსებულ და ჩემ მიერ დადგენილ სახანძრო დისლოკაცის პოსტებზე. სატრანსპორტო ათეულის მეთაურს: გამოიყოს ავტოსატრანსპორტო საშუალებები ღამის ცვლაში მომუშავეთა ტრანსპორტირებისათვის. დანაყოფის 27 მანქანა მძღოლებითურთ ავტოპარკში იყოს მუდმივი მზადყოფნის რეჟიმში.

მართვის განყოფილებათა ხელმძღვანელებს: ჩატარდეს პერსონალთან ორგანიზებული მუშაობა მოსკოვის კრემლის გაძლიერებულად დასაცავად.

განსაკუთრებული ჯგუფის ხელმძღვანელს: შეიქმნას დამატებით პოსტები ჩემ მიერ შემუშავებული გეგმის მიხედვით. ყველა პოსტის შესახებ მოახსენეთ ჩემს პირველ მოადგილეს.

ბრძანება ძალაში შედის დაუყოვნებლივ.

**მოსკოვის კრემლის კომენდანტი,
გენერალ-მაიორი
ნ. სპირიდონოვი“
(ფოტო №2)**

**„22/VI 9.10
სრულიად საიდუმლოდ
საკავშირო და ავტონომიური რესპუბლიკების
სახელმწიფო უშიშროების სახალხო კომისრებს,
სახალხო კომისარიატის სახელმწიფო უშიშროების სამხარეო და რეგიონული სამმართველოს ხელმძღვანელობებს**

გერმანიის მხრიდან დაწყებული საბრძოლო ქმედებებიდან გამომდინარე, ვბრძანებ, უმოკლეს ვადებში გატარდეს შემდეგი:

1) მოყვანილ იქნას მზადყოფნაში სახელმწიფო უშიშროების სახალხო კომისარიატისა და სახელმწიფო უშიშროების სახალხო კომისარიატის სამმართველოების სადაზვერვო-ოპერატიული თანამშრომლების სრული შემადგენლობა;

2) გატარდეს ოპერატიული მოკვლევა კონტრრევოლუციურად და ჯაშუშურად განწყობილი ელემენტებისა;

3) ინფორმატორული ქსელების სრული მობილიზებით დროულად იქნას აღმოჩენილი და თავიდან აცილებული ყველა შესაძლო დივერსიული აქტი სახალხო მეურნეობისა და, უპირველეს ყოვლისა, სამხედრო მრეწველობისა და სატრანსპორტო სისტემებში;


ფოტო №1


ფოტო №2


ფოტო №3


ფოტო №4

4) სახელმწიფოს წინააღმდეგ დანაშაულის მზადების პირველივე ნიშნების — ჯაშუშობის, ტერორის, დივერსიის, აჯანყების, ხულიგნური გამოსვლების, გაფიცვისკენ მოწოდებების, კონტრრევოლუციური საბოტაჟისა და ა. შ. გამოვლენისთანავე დაუყოვნებლივ გატარდეს ოპერატიული ქმედებები საბჭოთა ხელისუფლების მიმართ მტრულად განწყობილი ელემეტების მხრიდან ქვეყნის წინააღმდეგ მიმართული მცდელობების თავიდან აცილების მიზნით;

5) სახელმწიფო უშიშროების სახალხო კომისარიატმა სახელმწიფო უშიშროების სამხარეო და რეგიონალური სამმართველოს ხელმძღვანელებთან ერთად უზრუნველყონ:

ა) მნიშვნელოვანი სამრეწველო საწარმოების, სარკინიგზო კვანძების, სადგურების, ხიდების, რადიო-სატელეფონო და ტელეგრაფის სადგურების, აეროდრომების, ბანკების და ა. შ. მკაცრი კონტროლი და დაცვა;

ბ) მობილიზებულ იქნას მილიციის მუშაკთა ყურადღება პანიკის შესაძლო გამოვლენის წინააღმდეგ;

გ) მობილიზებულ იქნას სახანძრო ჯგუფები საბრძოლო მზადყოფნისთვის;

შემუშავებული ქმედებები შეთანხმდეს რესპუბლიკების კომუნისტური პარტიის ცკ-ის პირველ მდივნებთან, რაიონულ კომიტეტებთან, რუსეთის კომუნისტური პარტიის (ბ) საოლქო კომიტეტებთან და თქვენ მიერ წარმოებული საქმიანობა ტელეგრაფით მოეხსენოს სსრ კავშირის სახელმწიფო უშიშროების სახალხო კომისარიატს დაუყოვნებლივ.

**სსრკ-ის სახელმწიფო უშიშროების სახალხო კომისარი მერკულოვი
22 ივნისი 1941 წ.“
(ფოტო 3)**

**„კპ-ის (ბ) ცკ-ისა და სახკომის საბჭოს
დადგენილება
საბჭოთა საინფორმაციო ბიუროს საკითხზე**

1. საერთაშორისო და ქვეყნის შიგნით მიმდინარე მოვლენების, ასევე საომარი ვითარების გაშუქების მიზნით, სახელმწიფოს ერთიანი კურსის შესაქმნელად დაარსდეს საბჭოთა საინფორმაციო ბიურო.

2. დამტკიცდეს საბჭოთა საინფორმაციო ბიუროს შემდეგი შემადგენლობა:

1. შერბაკოვი (ხელმძღვანელი)
2. ლოზოვსკი
3. ხავინსონი
4. პოლიკარპოვი
5. საკსინი
6. გოლიკოვი

3. საბჭოთა საინფორმაციო ბიუროს დაეკისროს:

ა) საერთაშორისო მოვლენების ხელმძღვანელობა და საბჭოთა კავშირში მიმდინარე მოვლენების გაშუქება პრესასა და რადიოში;

ბ) ნაცისტური და სხვა მტრული პროპაგანდის საწინააღმდეგოდ კონტრპროპაგანდისტული ორგანიზაციის შექმნა;


ფოტო №5

გ) საბრძოლო მოქმედებების, საბრძოლო ცნობებისა და საფრონტო მოვლენების გაშუქება მთავარ სამხედრო მეთაურთა ინფორმაციაზე დაყრდნობით.

მინაწერი: ბიუროს წევრებს, საოლქო კომიტეტებსა და კპ-ის ცკ-ის რესპუბლიკებს, სახკომიტეტებს, ჩადაევს.

**ხელმოწერები შეთანხმებაზე:
ი. სტალინი,
ვ. მოლოტოვი,
კ. ვოროშილოვი,
მ. კალინინი.
(ფოტო № 4)**

**„სსრ კავშირის სახალხო კომისარიატთა საბჭოს
დადგენილება**

ფრონტის სასაზღვრო ხაზთან მტრის საპარაშუტო დესანტისა და დივერსანტთა წინააღმდეგ საბრძოლო ღონისძიებების გატარების შესახებ

პარაშუტებით ან სხვა საშუალებებით მტრის მიერ გადმოსხმულ დივერსანტთა დროულად და წარმატებით სალიკვიდაციოდ სსრ კავშირის სახალხო კომისარიატთა საბჭო ადგენს:

**1.** დაეკისროს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატს საპარაშუტო დივერსანტთა წინააღმდეგ ორგანიზებული ბრძოლა ლენინგრადის ოლქის, მურმანსკის რეგიონის, კალინინის რეგიონის, ქარელია-ფინეთის რესპუბლიკის, უკრაინის, ბელორუსიის, ესტონეთის, ლატვიის, ლიტვისა და მოლდავეთის სს რესპუბლიკების, ყირიმის ავტონომიური რესპუბლიკის, როსტოვის რეგიონის, კრასნოდარის მხარისა და საქართველოს სს რესპუბლიკის დასავლეთ ნაწილის ტერიტორიებზე.

**2.** ამ მიზნით შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის საქალაქო, რაიონულ და სამაზრო განყოფილებებში, I პუნქტში მითითებულ ტერიტორიებზე, შეიქმნას 100-200-კაციანი გამანადგურებელი ბატალიონები პარტიულ, კომკავშირულ და საბჭოთა აქტივისტთა გადამოწმებულ პირთაგან, რომლებიც ფლობენ იარაღს.

**3.** გამანადგურებელი ბატალიონების ხელმძღვანელებად დაინიშნონ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატისა და მილიციის განყოფილებებში მომუშავე ოპერატიული და ნდობით აღჭურვილი პირები.

**4.** შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის ყველა საქალაქო, რაიონული და სამაზრო განყოფილებების გამანადგურებელი ბატალიონები აღჭურვილ იქნას ორი ავტომატით, შაშხანებით, რევოლვერებითა და, თუ საშუალება იქნება, ყუმბარებით.

**5.** თავდაცვის სახალხო კომისარიატს, შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის მოთხოვნილების საფუძველზე, დაევალოს — გასცეს ბრძანება გამანადგურებელი ბატალიონებისათვის საჭირო რაოდენობის იარაღის გამოყოფის თაობაზე.

**6.** გამანადგურებელ ბატალიონებს მიეცეს უფლება, საჭიროებისამებრ გამოიყენოს ადგილზე არსებული ყველა სატრანსპორტო საშუალება (ავტომანქანები, მოტოციკლეტები, ველოსიპედები, ცხენები და საჭაპანო ტრანსპორტი).

**7.** პარტიულ და საბჭოთა ორგანოებს დაევალოს, გაუწიოს ყოველგვარი დახმარება შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის განყოფილებებს გამანადგურებელი ბატალიონების ორგანიზებასა და დაკომპლექტებაში, მტრის საპარაშუტო დესანტის წინააღმდეგ საბრძოლველად.

**8.** გამანადგურებელი ბატალიონების უშუალო ხელმღვანელობა დაევალოს სახალხო კომისარიატთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეს, შინაგან საქმეთა სახალხო კომისარს — ამხ. **ბერიას.**

**სსრკ-ის სახალხო კომისარიატთა საბჭოს თავმჯდომარე
ი. სტალინი
სსრკ-ის სახალხო კომისარიატთა საბჭოს საქმეთა მმართველი
ი. ჩადაევი
მოსკოვი, კრემლი
ივნისი 1941 წ.“ (ფოტო 5)**

**შეთანხმების საბოტაჟი**

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**შეხვედრა „ნორმანდიულ ფორმატში“ დასავლეთს სჭირდება არა მინსკის შეთანხმებების საიმპლემენტაციოდ, არამედ რუსეთის დასაყოლიებლად, გადააკეთოს ისინი უკრაინის სასარგებლოდ. ამ შემთხვევაში რუსეთი ხელს დაიბანს. ეს არის არა მხოლოდ ვლადიმერ პუტინის, ასევე სერგეი ლავროვის პოზიცია.**

# გერმანია და საფრანგეთი უკრაინას მინსკის შეთანხმების ჩაშლისკენ უბიძგებენ

## რუსეთის საგარეო უწყებამ დიპლომატიური მიმოწერა გამოაქვეყნა

**გასულ კვირას რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ გამოაქვეყნა დიპლომატიური მიმოწერა რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრ სერგეი ლავროვსა და საფრანგეთისა და გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრებს — ჟან-ივ ლე დრიანსა და ჰაიკო მაასს შორის, რათა თავიდან აეცილებინა მოსკოვის პოზიციის დამახინჯება უწყებების ხელმძღვანელების „ნორმანდიის“ ფორმატში შეხვედრაზე. ლავროვმა საფრანგეთისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრებთან მიმოწერის გამოქვეყნება განმარტა სიტყვებით „ყელში ამოვიდა“. მან ასევე აღნიშნა, რომ მიმოწერა საკმაოდ მჭევრმეტყველურად ასახავს იმ საბოტაჟის არსს, რომელსაც თანმიმდევრულად განახორციელებს უკრაინის რეჟიმი მინსკის შეთანხმებების მიმართ.**

პუბლიკაცია საკმაოდ უჩვეულო მოვლენად იქცა რუსული დიპლომატიური პრაქტიკისთვის, რომელიც, როგორც წესი, სანდოობის საკითხებისადმი ძალიან კონსერვატიულ დამოკიდებულებას ავლენს, განსაკუთრებით ასეთ მაღალ დონეზე. როგორც ჩანს, მათი რეპუტაცია, ვისთანაც ახლა საქმეს იჭერენ ევროპაში, ისეთ დონეზეა, რომ მათ რეაქციას რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელის გადაწყვეტილებაზე დიდი მნიშვნელობა აღარ აქვს.

**ლავროვმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ შეხვედრა „ნორმანდიულ ფორმატში“ მხოლოდ მაშინ გაიმართება, როცა კიევი შეასრულებს მინსკის შეთანხმებებს. „უპირველეს ყოვლისა, ეს არის დონბასის განსაკუთრებული სტატუსი, ამ განსაკუთრებული სტატუსის დამკვიდრება უკრაინის კონსტიტუციაში, რომელიც უნდა შეიცავდეს დეცენტრალიზაციის ელემენტს, როგორც ეს წერია მინსკის შეთანხმებებში, არის უპირობო ამნისტია და, რა თქმა უნდა, ეს არის არჩევნების ჩატარება ეუთოს პრინციპებზე დაყრდნობით კიევს, დონეცკსა და ლუგანსკს შორის შეთანხმებული წესით“. როდესაც ეს გაკეთდება, „აღდგება უკრაინის სრულფასოვანი კონტროლი რუსეთთან საზღვრის იმ ნაწილზე, რომელსაც ახლა კიევი ვერ აკონტროლებს“, — დაასკვნა საგარეო საქმეთა მინისტრმა.**

მანამდე რუსეთის საგარეო პოლიტიკის დეპარტამენტის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ დონეცკის სახალხო რესპუბლიკა, ლუგანსკის სახალხო რესპუბლიკა, ასევე რუსეთი, როგორც ნორმანდიული ფორმატისა და საკონტაქტო ჯგუფში მოლაპარაკებების მონაწილე, ერთადერთია, ვინც მზად არის მინსკის შეთანხმებების განხორციელებისათვის.

**იმის გასაგებად, რა იყო ბოლო წვეთი, რომელმაც რუსეთის საგარეო მინისტრის მოთმინების ფიალა აავსო და ატიპური ჟესტის გაკეთება აიძულა, საჭიროა, მიმოწერის კონტექსტში გარკვევა. რუსეთის, გერმანიისა და საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრები ცდილობდნენ, შეთანხებულიყვნენ ახალ შეხვედრაზე „ნორმანდიულ ფორმატში“ (იგივენი, პლუს უკრაინა), რათა განეხილათ დონბასში მინსკის შეთანხმებების შესრულების პროგრესი, უფრო სწორად, მისი სრული არარსებობა.**

მოსკოვს ნორმანდიულ შეხვედრაში მონაწილეობის მხოლოდ ერთი პირობა აქვს — იმის ზოგადი კონსტატაცია, რომ **სამშვიდობო პროცესი ჩიხში შევიდა, იმიტომ, რომ უკრაინას არ სურს, შეასრულოს მინსკის შეთანხმების საკვანძო პუნქტები იმ თანმიმდევრობით, რომელსაც ე.წ. შტაინმაიერის ფორმულა ითვალისწინებს (ჯერ დონბასის განსაკუთრებული სტატუსი უკრაინის კონსტიტუციაში და სახალხო მოლაშქრეების ამნისტია, შემდეგ კი არჩევნები ეუთოს სტანდარტების მიხედვით და მხოლოდ ამის შემდეგ რუსეთის ფედერაციისა და დონეცკისა და ლუგანსკის სახალხო რესპუბლიკების საზღვრებზე კონტროლის გადაცემა უკრაინელებისთვის). ეს არ იყო ფრანგულ-გერმანულ ვერსიაში, რაც იმას ნიშნავს, რომ განსახილველიც არაფერია მინისტრთა თუ უმაღლეს დონეზე.**

„მინსკი-2“-ის სხვა პუნქტების რეალიზება შესაძლებელია მხოლოდ, ერთი მხრივ, კიევსა და, მეორე მხრივ, დონეცკ-ლუგანსკს შორის პირდაპირი მოლაპარაკებების გზით, მაგრამ კიევი უარყოფს ამგვარი მოლაპარაკებების იდეას, მათ შორის პროცესის უსასრულოდ გაჭიანურებისა და პასუხისმგებლობის მოსკოვისთვის დაკისრების მიზნით. ბერლინი და პარიზი კი მას აქეზებენ, ეს ლავროვის წინადადებაზე ორი მინისტრის პასუხშიც აისახა. **ფრანგი და გერმანელი მინისტრების მოსკოვში გამოქვეყნებული წერილის შინაარსით თუ ვიმსჯელებთ, „ნორმანდიული ოთხეულის“ მუშაობის რეალური გაგრძელება გერმანიის, რუსეთის, უკრაინისა და საფრანგეთის 2014 წლის ივნისში შექმნილი მოლაპარაკებების ფორმატით მათ გეგმებში საერთოდ არ შედის. საუბარია არა იმაზე, რომ ევროპელი მინისტრები მზად არიან, განაახლონ დიალოგი და ვაჭრობენ მის პირობებზე, ისინი, უბრალოდ, აყენებენ ყველაზე მნიშვნელოვან საკითხებს ისე, რომ გამორიცხონ მოლაპარაკებების პროცესში დაბრუნების ნებისმიერი ალბათობა უახლოეს მომავალში, ამიტომ რუსეთისადმი მიმართული შემხვედრი წინადადებები შეიცავს განზრახ განუხორციელებელ და იურიდიულად ყალბ თეზისებს.**

თუ ასეა, მიაჩნიათ მოსკოვში, ახსნა მხოლოდ ერთია: შეხვედრა „ნორმანდიულ ფორმატში“ დასავლეთს სჭირდება არა მინსკის შეთანხმებების საიმპლემენტაციოდ, არამედ რუსეთის დასაყოლიებლად, გადააკეთოს ისინი უკრაინის სასარგებლოდ. ამ შემთხვევაში რუსეთი ხელს დაიბანს. ეს არის არა მხოლოდ ვლადიმერ პუტინის, ასევე სერგეი ლავროვის პოზიცია.

რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა სამინისტროს გაფართოებულ კოლეგიაზე გამოსვლისას ვლადიმერ პუტინმა დაადასტურა, რომ რუსეთის სახელმწიფოს მეთაური ეთანხმება საგარეო საქმეთა მინისტრის პოზიციას და მხარს უჭერს მის მკვეთრ ჟესტს.

**„არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ მინსკის შეთანხმებამ საერთაშორისო სამართლის სახე მიიღო, შესაბამისი გადაწყვეტილება მიიღო გაეროს უშიშროების საბჭომ. მაგრამ სინამდვილეში, სამწუხაროდ, (გერმანია და საფრანგეთი) მხარს უჭერენ კიევის ამჟამინდელი ხელმძღვანელობის კურსს მათი დემონტაჟისკენ, რასაც მოლაპარაკებები და თვითრეგულირება ჩიხში შეჰყავს. მიუხედავად ამისა, მნიშვნელოვანია, გაგრძელდეს შუამავლობის მცდელობები საკონტაქტო ჯგუფსა და „ნორმანდიულ ფორმატში“, ვინაიდან უკრაინის შიდა დარეგულირებაზე ზეგავლენის სხვა მექანიზმები არ არსებობს. ისევე, როგორც არ არსებობს მინსკის შეთანხმებების სრულად განხორციელების ალტერნატივა“.**

საგულისხმოა, რომ ახლახან პრეზიდენტმა ხელი მოაწერა ისტორიულ ბრძანებულებაზე დონეცკისა და ლუგანსკის სახალხო რესპუბლიკების ეკონომიკების რუსეთის ეკონომიკაში ინტეგრაციის შესახებ. შესაძლოა, ეს ყოფილიყო რეაქცია იმ გარემოებაზე, რომ ბერლინმა და პარიზმა არსებითად შეაგულიანეს კიევი მინსკის შეთანხმებების იმპლემენტაციის ჩაშლაზე.



**დონეცკისა და ლუგანსკის სახალხო რესპუბლიკების მცხოვრებლები ამ განკარგულებას რამდენიმე წლის განმავლობაში ელოდნენ. რუსეთმა სრულად გახსნა თავისი ბაზრები დონბასში წარმოებული საქონლისთვის, რომელიც მას დაეხმარება, შეაჩეროს სამეურნეო დეგრადაცია და მოსახლეობის იქიდან გადინება. რუსეთის პრეზიდენტის ბრძანებულებას დონეცკისა და ლუგანსკის სახალხო რესპუბლიკების მოსახლეობისთვის ჰუმანიტარული დახმარების გაწევის შესახებ შეიძლება უბრალო სახელი ეწოდოს, მაგრამ ეს ისტორიული მოვლენაა,** მით უმეტეს, თუ მას განვიხილავთ დონბასის პრობლემასთან დაკავშირებულ სხვა გადაწყვეტილებების ჭრილში, რომლებიც რუსეთის ხელისუფლებამ ბოლო წლებში მიიღო.

**2017 წელს რუსეთმა აღიარა დონეცკისა და ლუგანსკის სახალხო რესპუბლიკებში გამოცემული მრავალი დოკუმენტი, პასპორტებიდან დიპლომებამდე. 2019 წელს დონბასის მცხოვრებლებს მნიშვნელოვნად გაუმარტივდათ რუსეთის ფედერაციის მოქალაქეობის მიღება. ახლა, 2021 წელს, ადგილობრივი საწარმოები მრავალი უფლებით გაუთანაბრდება რუსულს.** პირველ რიგში, აღიარებული იქნება დონეცკისა და ლუგანსკის სახალხო რესპუბლიკებში წარმოებული პროდუქტების სერთიფიკატები. უწინ რუსეთის ფედერაციის საბაჟო და სხვა ორგანოებისთვის წარმოდგენილი ეს სერთიფიკატები უკრაინული უნდა ყოფილიყო — ოფიციალური „მწარმოებელი ქვეყნის“ მიხედვით. პასუხი კითხვაზე, როგორ შეგვეძლო იმხანად ლეგალურად ვაჭრობა დონბასთან, მარტივია: არ შეგვეძლო. დიდი ხნის განმავლობაში ვაჭრობა შესაძლებელი იყო მხოლოდ იმ „ფირმების“ საქმიანობის წყალობით, რომლებიც ასეთი სერთიფიკატებით ვაჭრობდნენ. **უკრაინელებმა ამით დიდძალი ფული იშოვეს, მათ ხომ ოფიციალურ პატრიოტიზმზე მეტად ფული უყვართ.**

მეორე — რიგი გამონაკლისის გარდა, გაუქმდება დონეცკისა და ლუგანსკის საწარმოებისთვის საქონლის რუსეთის ფედერაციაში ექსპორტის კვოტები.

მესამეც — დონბასელ მწარმოებლებს ჩართავენ სახელმწიფო შესყიდვების სისტემაში, ანუ თვითონ რუსული სახელმწიფო იქნება მათი ერთ-ერთი შემკვეთი. ის ძალიან დიდი შემკვეთია, რაც უაღრესად მნიშვნელოვანია იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ დონბასის ბევრი საწარმოო სიმძლავრე ახლა, საუკეთესო შემთხვევაში, მესამედითაა დატვირთული.

დონეცკისა და ლუგანსკის რესპუბლიკები უკრაინის მხრიდან ეკონომიკურ ბლოკადაში იმყოფებიან და, მაშასადამე, მსოფლიოს მიერ მხოლოდ უკრაინული სერთიფიკატების აღიარების გათვალისწინებით, მთელი მსოფლიოს მხრიდანაც. რუსეთში და უკან მხოლოდ ცალკეული ეკონომიკური „ნაკადულები“ მიედინებოდა, მაგრამ ისინი დონბასს მისი ინდუსტრიული პოტენციალის რეალიზების საშუალებას არ აძლევდა. ტრადიციულად მდიდარი რეგიონი, რომელშიც ხალხი ისტორიულად მიჩვეული იყო შრომასა და ხელგაშლით ცხოვრებას, თავის მცხოვრებლებთან ერთად გალატაკდა.

**ახლა დონბასი პრინციპულად დაუახლოვდა რუსეთს — ის რუსეთთან ასოცირებული რეგიონია, გაუჩნდა მომავალი — პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული, რადგან მომავალი ხალხია, ხოლო ხალხი უწინ დონბასიდან მიემგზავრებოდა, გაურბოდა არა მხოლოდ და არა იმდენად ბომბებს, რამდენადაც უმუშევრობასა და სიღარიბეს, მაღალ ფასებთან შეუსაბამო დაბალ ხელფასებს. იქნება ვაჭრობა — იქნება წარმოება; იქნება წარმოება — იქნება ფული; იქნება ფული — იქნება ხალხი. ეს ეკონომიკის მსოფლიო კანონია.**

**vz.ru-ზე გამოქვეყნებული მასალის მიხედვით მოამზადა**
**ნინო ბერიძემ**

„შეუძლებელია, ვერ დაინახო, რომ ბელარუს-პოლონეთის საზღვარზე შექმნილ მიგრაციულ კრიზისს დასავლეთის ქვეყნები იყენებენ, როგორც ახალ საბაბს ჩვენთვის ახლო რეგიონში დაძაბულობის შესაქმნელად, მინსკზე ზემოქმედებისთვის და, ამასთანავე, ივიწყებენ თავიანთ ვალდებულებებს ჰუმანიტარულ სფეროში“.

წითელი ხაზები დასავლეთისთვის
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# «იყავით დაძაბული და არ მოდუნდეთ!»

# ვლადიმერ პუტინის თეზისები დასავლეთისთვის

„რუსეთი მშვიდობიანი სახელმწიფოა, მაგრამ თავში აზრადაც არავინ უნდა გაივლოს, რუსეთის დასავლეთ საზღვრებთან კონფლიქტი მოაწყოს“, — ასეთია მთავარი თეზისი რუსეთის პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინისა, რომელიც 18 ნოემბერს რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს გაფართოებულ კოლეგიაზე გაისმა. მოკლედ კი ასე შეიძლება რუსეთის სახელმწიფო მეთაურის გამოსვლის ჩამოყალიბება: დასავლეთი უნდა დარჩეს დაძაბულობის მდგომარეობაში, მოდუნების საშუალებას მათ რუსები არ მისცემენ.
აი, ვლადიმერ პუტინის საკვანძო თეზისები:



«რუსეთი ინიციატივებით ჩაერთვება საერთაშორისო ძალისხმევებში საერთო გამოწვევებსა და საფრთხეებთან დასაპირისპირებლად, მათ შორის, კვლავ რჩება ტერორიზმი და ტრანსნაციონალური დანაშაული, მასობრივი განადგურების იარაღის გავრცელება, სიღარიბე, უთანასწორობა, კლიმატის ცვლილება და გარემოს დეგრადაცია»

### ნატოსთვის წითელ ხაზებზე

„ჩვენი სახელმწიფო საზღვრიდან 20 კმ-ში ფრენენ სტრატეგიული ბომბდამშენები, ისინი კი, როგორც ცნობილია, აღჭურვილი არიან ძალიან სერიოზული იარაღით. ჩვენ გამუდმებით გამოვხატავთ შეშფოთებას ამის გამო, ვლაპარაკობთ წითელ ხაზებზე, მაგრამ, რა თქმა უნდა, გვესმის, რომ პარტნიორებს ძალიან თავისებური, ზედაპირული დამოკიდებულება აქვთ ჩვენს ვარაუდებსა და საუბრებზე წითელი ხაზების შესახებ. ჩვენ კარგად გვახსოვს, როგორ ფართოვდებოდა ნატო აღმოსავლეთით. <...> **მიუხედავად იმისა, რომ ურთიერთობა რუსეთსა და დასავლელ პარტნიორებს შორის, მათ შორის, აშშ-თანაც, უნიკალური იყო, შესაძლებლობების დონე თითქმის სამოკავშირეო, ჩვენი შეშფოთება და ვარაუდები აღმოსავლეთით ნატოს გაფართოების გამო აბსოლუტურად იგნორირებული გახლდათ.** ბოლო ხანს ჩვენი გაფრთხილებები მაინც მოქმედებს და იძლევა გარკვეულ ეფექტს. დაძაბულობა მაინც წარმოიქმნა. ამის გამო აქ ორ მომენტს ვხედავ: **უწინარესად, საჭიროა, ამ მდგომარეობაში ისინი რაც შეიძლება დიდხანს იყვნენ, რათა თავში არ გაუელვოთ დასავლეთ საზღვრებზე რაღაც არასაჭირო კონფლიქტის მოწყობა, ჩვენ კონფლიქტები არ გვჭირდება.**

მეორე — <...> **საჭიროა, დაისვას კითხვა იმის შესახებ, რომ რუსეთმა მოიპოვოს უსაფრთხოების სერიოზული გრძელვადიანი გარანტიები, იმიტომ, რომ უბრალოდ, ასე არსებობა და იმაზე ფიქრი, ხვალ რა შეიძლება მოხდეს, რუსეთს აღარ შეუძლია“.**

### დასავლეთზე, როგორც არასაიმედო პარტნიორზე

„ჩვენ საქმე გვაქვს, რბილად რომ ვთქვათ, არც ისე საიმედო პარტნიორებთან. ისინი ადვილად ამბობენ უარს ნებისმიერ ადრინდელ შეთანხმებაზე. მიუხედავად იმისა, როგორი რთულიც უნდა იყოს, ამ საკითხზე მაინც უნდა ვიმუშაოთ“.

### მინსკის შეთანხმების დემონტაჟის მცდელობებზე

„მათ შორის, რაც ჩვენთვის ძალიან მწვავე და მგრძნობიარეა, უწინარესად, არის უკრაინის კრიზისი, მისი მოგვარება ჯერჯერობით, სამწუხაროდ, შორსაა. უკრაინა <...> დემონსტრაციულად არ ასრულებს როგორც მინსკის შეთანხმებას, ისე „ნორმანდიის ფორმატით“ გათვალისწინებული კომპლექსური ღონისძიებების შესრულების ვალდებულებებს. <...> ნორმანდიის ფორმატში ჩვენი პარტნიორები — გფრ და საფრანგეთი — არ კამათობენ მინსკის შეთანხმების მნიშვნელობაზე, მაგრამ საქმით, სამწუხაროდ, აქეზებენ კიევის დღევანდელ ხელისუფლებას შეთანხმების დემონტაჟზე, რასაც მოლაპარაკებები და თვით რეგულირების პროცესი ჩიხში შეჰყავს.

დასავლელი პარტნიორები ამწვავებენ ვითარებას კიევისთვის თანამედროვე ლეტალური შეიარაღების მიწოდებით, პროვოკაციული სამხედრო მანევრების ჩატარებით შავ ზღვაში და არა მხოლოდ იქ, არამედ ჩვენს საზღვრებთან ახლოს მდებარე სხვა რეგიონებში.

მიუხედავად ამისა, **საკონტაქტო ჯგუფში და „ნორმანდიულ ფორმატში“ საშუამავლო ძვლისხმევა აუცილებლად უნდა განვაგრძოთ შეუპოვრად, ენერგიულად, რადგან შიდაუკრაინული საკითხების რეგულირების სხვა საერთაშორისო მექანიზმები არ არსებობს, ისევე, როგორც არ აქვს ალტერნატივა თვით მინსკის შეთანხმების სრული მოცულობით შესრულებას“.**

### ბელარუსისა და ევროკავშირის საზღვარზე შექმნილ კრიზისზე

„შეუძლებელია, ვერ დაინახო, რომ ბელარუს-პოლონეთის საზღვარზე შექმნილ მიგრაციულ კრიზისს დასავლეთის ქვეყნები იყენებენ, როგორც ახალ საბაბს ჩვენთვის ახლო რეგიონში დაძაბულობის შესაქმნელად, მინსკზე ზემოქმედებისთვის და, ამასთანავე, ივიწყებენ თავიანთ ვალდებულებებს ჰუმანიტარულ სფეროში.

**შეხედეთ, როგორ იქცევიან პოლონელი ძალოვანები საზღვარზე. ამას ყველა უყურებს ინტერნეტითა და ტელევიზიებით. პირველი, რაც თავში გაგიელვებთ, არის ის, რომ ბავშვები არიან ცოდოები, მცირეწლოვანი ბავშვები. მაგრამ იქ ყველაფერს ასხურებენ წყალს და ცრემლმდენ აირს, ისვრიან ყუმბარებს, ღამით საზღვრის გასწვრივ ვერტმფრენები დაფრინავენ, რთავენ სირენებს“.**

### აშშ-თან ურთიერთობაზე

„ბევრ ორმხრივ და საერთაშორისო საკითხზე ჩვენი ინტერესები, შეფასებები, პოზიციები ზოგჯერ მართლაც კარდინალურად განსხვავებულია. ეს ყველასთვის კარგად არის ცნობილი, მაგრამ მინდა, ამის შესახებ კიდევ ერთხელ ვთქვა: **ჩვენ გახსნილი ვართ კონტაქტებისა და აზრთა გაცვლა-გამოცვლისთვის, კონსტრუქციული დიალოგისთვის. ჟენევაში ივნისში გამართულმა სამიტმა პრეზიდენტ ჯო ბაიდენთან მაინც წარმოაჩინა ზოგიერთი შესაძლებლობა დიალოგისა და ურთიერთობის გამოსწორებისთვის. მნიშვნელოვანია, რომ ორივე მხარემ თანმიმდევრულად განავითაროს მიღწეული შეთანხმებები. რაღაც უკვე კეთდება, ეს უნდა ვაღიაროთ“.**

### აშშ-ში ამოღებულ დიპლომატიურ საკუთრებაზე

„აშშ-ში ჩვენი დიპლომატიური საკუთრება ყველა საერთაშორისო ნორმისა და წესის უხეში დარღვევით ამოიღეს. უბრალოდ წაიღეს ჩვენი საკუთრება და მორჩა. სად არის ვენის კონვენცია? ლაპარაკიც არ სურთ ამ თემაზე. რაღაც უცნაურია — მსოფლიო, რომელშიც ვცხოვრობთ, თითქოს ცივილიზებულია, მაგრამ არც ისე“.

### გაეროს უშიშროების საბჭოს წევრების სამიტზე

„როგორც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს მუდმივ წევრს, რუსეთს განზრახული აქვს, მომავალშიც მტკიცედ დაიცვას გაეროს წესდებაში ჩაწერილი პრინციპები: სახელმწიფოების სუვერენიტეტი და თანასწორობა, მათ საშინაო საქმეებში ჩაურევლობა, უთანხმოების სამართლიანად გადაწყვეტა და, რა თქმა უნდა, გაეროს საკვანძო როლი საერთაშორისო პრობლემების მოგვარებაში. ასეთი პრინციპული მიდგომის კალაპოტშია ჩვენი წინადადება უშიშროების საბჭოს მუდმივი წევრი სახელმწიფოების სამიტის ჩატარების შესახებ, რადგან ამ სახელმწიფოებს აკისრიათ განსაკუთრებული პასუხისმგებლობა მსოფლიოში მშვიდობისა და სტაბილურობის მხარდაჭერის საქმეში“.

### ჯანმოს როლზე პანდემიაში

„ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის როლი განუხრელად იზრდება. მისი მოღვაწეობა მხარდაჭერას იმსახურებს. ამ ორგანიზაციას შეუძლია, კიდევ უფრო აქტიურად დაკავდეს მასობრივი იმუნიზაციის ჩატარებით, კერძოდ, დააჩქაროს ახალი ვაქცინებისა და პრეპარატების კვალიფიკაციის შეცვლა, ანუ მათი ხარისხის, უსაფრთხოებისა და ეფექტიანობის შეფასება“.

### გლობალურ გამოწვევებზე

„რუსეთი ინიციატივებით ჩაერთვება საერთაშორისო ძალისხმევებში საერთო გამოწვევებსა და საფრთხეებთან დასაპირისპირებლად, მათ შორის, კვლავ რჩება ტერორიზმი და ტრანსნაციონალური დანაშაული, მასობრივი განადგურების იარაღის გავრცელება, სიღარიბე, უთანასწორობა, კლიმატის ცვლილება და გარემოს დეგრადაცია“.

აღსანიშნავია, რომ ვლადიმერ პუტინის განცხადება გაისმა მას შემდეგ, რაც რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა სერგეი ლავროვმა წარმოადგინა თავის ფრანგ და გერმანელ კოლეგებთან მიმოწერა, რომლიდანაც მკაფიოდ ჩანს, რომ პარიზი და ბერლინი მხარს არ უჭერენ კიევსა და დონბასის არაღიარებელ რესპუბლიკებს შორის პირდაპირ დიალოგს. ამ დოკუმენტების გამოქვეყნება პასუხი იყო დასავლეთის ქვეყნების მიერ მოსკოვის პოზიციების დამახინჯებაზე.



„ნორმანდიის ფორმატში ჩვენი პარტნიორები — გფრ და საფრანგეთი — არ კამათობენ მინსკის შეთანხმების მნიშვნელობაზე, მაგრამ საქმით, სამწუხაროდ, აქეზებენ კიევის დღევანდელ ხელისუფლებას შეთანხმების დემონტაჟზე, რომელსაც მოლაპარაკებები და რეგულირების პროცესი ჩიხში შეჰყავს. დასავლელი პარტნიორები ამწვავებენ ვითარებას კიევისთვის თანამედროვე ლეტალური შეიარაღების მიწოდებით, პროვოკაციული სამხედრო მანევრების ჩატარებით შავ ზღვაში და არა მხოლოდ იქ, არამედ ჩვენს საზღვრებთან ახლოს მდებარე სხვა რეგიონებში“

**ria.ru-სა და tsangrad.tv-ზე გამოქვეყნებული მასალების მიხედვით მოამზადა**
**ნიკა კორინთელმა**

25-ე გვერდი

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**დემოკრატია საერთოდ აღარ არსებობს: არის დემოკრატიული მეთოდები პოლიტიკური სისტემების, სახელმწიფოების, სხვა სტრუქტურების სამართავად და ამის საწინააღმდეგო ადმინისტრაციულ-ბრძანებლური მეთოდები. რაც მთავარია, ერთსაც და მეორესაც აქტიურად გამოიყენებენ ეფექტიანი პოლიტიკის განსახორციელებლად. მაგრამ დემოკრატია შინაგანად დალპა.**

# ჭილყვავების გადაფრენა პროვინციაში

## ანუ გაცუდებული დემოკრატია

**XIX საუკუნის სამოციანელთა და მამათა თაობების ერთ-ერთი ოდიოზური ფრაზა — „ხელი გაიქნია, ფეხი...“ — დღევანდელ ტელესივრცეში ჩაანაცვლა და გადააჭარბა კიდეც ეს-ესაა მორიგი მგლოვიარე ყარაჩოხელის, იმავე „სტინგერი ჟურნალისტის“ გორიდან მოწოდებული რეპორტაჟის ოქროს წინადადებამ, რომელიც სამხედრო ჰოსპიტალში დეპორტირებული მიხეილ სააკაშვილის (იმავე — „საქართველოს მესამე პრეზიდენტის“, მოშიმშილე პატიმრის) ახალი საბინადროს უაღრესი მონდომებითა და დაუფარავი პათოსით აღგვიწერდა: „გორის ჰოსპიტალს აქვს უკანა შესასვლელი და ვერტმფრენის დასაჯდომი ბილიკიც“.**

გამდიდრდა თავანკარა ქართული: თუ აქამდე ქართულში ენის რეფორმატორები, რომლებისთვისაც, როგორც ჩანს, სიტყვა **„ბილიკი“** სრულად ვერ გადმოსცემდა „საცალფეხო გზის, სიარულის ნაკვალევის“ *(ქართული ენის ლექსიკონის ერთტომეული, გვ. 61)* არსს, ამდიდრებენ სიტყვა **„საცალფეხოთი“.**

საცალფეხო ბილიკი უფრო ტავტოლოგიაა, ვიდრე დაზუსტება, გამდიდრება, გაკეთილშობილება, არსის სრულად გადმოცემის სურვილი; უკეთ რომ ვთქვათ, უსწავლელობის საჯაროდ გამოტანის სამარცხვინო მაგალითია, კოვიდივით გადამდები.

ამიტომაც გაიკეკლუცა და ვერტმფრენის (შვეულმფრენის) დასაფრენი მოედანი ბილიკად მონათლა ჩვენმა ახალგაზრდა კოლეგამ.

და არავინ შეუსწორა.

ხოლო ამ ნაწერს რომ არ წაიკითხავს ეს ნედლი შტო ჟურნალისტიკისა, აგერ დღე და აგერ ხვალეო.

ვნახავთ...

„უკანა შესასვლელის“ მნიშვნელობა თუ განსამარტავია ვინმესთვის, პროქტოლოგებს მიმართოს, რადგან მათზე უკეთ არავის აქვს ათვისებული ადამიანის სხეულის გეოგრაფია, კერძოდ, მისი დამაბალანსებელი ნაწილი, რომელიც უზრუნველყოფს აქტივისტების მყარად ჯდომას ხელმძღვანელი თუ ნაკლებად ხელმძღვანელი თანამდებობების მოყანყალე სავარძლებში.

წაიკითხავთ ამ შესავალს და, ალბათ, დაასკვნით, რომ ეს წერილი კვლავ ქართული ენის სიწმინდის პრობლემას მიეძღვნება.

არა.

მაშ რა არის?

არის ისეთივე „ტოპამბავი“, როგორიც მიხეილ სააკაშვილის შიმშილობისგან დაოსებული სხეულის, მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ მომზადებული სიუჟეტებით ყველა სატელევიზიო საინფორმაციო პროგრამის დაწყებაა აუცილებელი.

ერთი და იმავე ქვეტექსტებით მოსაბეზრებლად გამეორებული.

**ცნობისთვის:** მრავალმილიონიან ტელეაუდიტორიაში პოპულარული ამერიკელი პოლიტოლოგი **დიმიტრი საიმსი** რუსეთის ტელესივრცეში **მიშიკოდ** მოხსენიებულ სააკაშვილს მაინცდამაინც **სააკიშვილს** ეძახის: **სააკიშვილიო.**

მესამე პრეზიდენტია, საიმს! ყოფილი. სამასოიანი აზრევიატურის (აშშ) სახელმწიფოს მიერ გამოკვებულ-გამოზრდილი, საქართველოში ხელდასმული და ჩვენი არჩეული მესამე პრეზიდენტი — სამიდან ერთ-ერთი მხოლოდ. ასე, აღმატებულ ხარისხში ამბობენ ნაცები მიხეილის სახელსა და რიგითობას — მესამეაო. მეორეში (ედუარდ შევარდნაძეში) რომ არ აერიოთ, მით უფრო, მეოთხეში: მარგველაშვილი უახლეს ისტორიაში სრულ არარაობად არის წარმოგდგენილი.

ამის გარჩევაღა აკლდა ორკაციან გამბიტში (მელია-სააკაშვილი) დაბნეულ სექტანტებს კაროკანის დაცვის მოშველიება დასჭირდათ რუსთავის მეთვრამეტე დაწესებულების სამკურნალო პალატიდან გორის ჰოსპიტალში გადაფრენილი ჭილყვავის დასაცავად, რომლის თანამოძმენი გაზაფხულზე იწყებენ შეჩვეულ ადგილზე დაბრუნებას.

გაზაფხულის მოლოდინში ვართ ყველანი.

დრო — აჭრილი, როგორც თანამედროვე უმწიფარიძეების ტვინები: დემოკრატიის პრობლემებისადმი მიძღვნილ სამიტზე იწვევენ ევროპელები ნაცისტურ-ბანდერული უკრაინის წარმომადგენლებს, რომელთა იდეოლოგია აგებულია იმათ საქებ-სადიდებლად, ვინც ძალას არ იშურებდა პოლონელი და ებრაელი ხალხების ამოსაწყვეტად. ამ თემაზე კამათობენ ანალიტიკოსები და საფუძვლიანად განიხილავენ ქალბატონ **ოპლებაუმის** ახლახან რომელიღაც ბროშურაში გამოქვეყნებულ მყვირალა სტატიას.

**რა არისო დემოკრატია?**

**ის ხომ არა, რომ მოკლეს ვერაგი სადამ ჰუსეინი და მისეული ერაყი ნანგრევებითა და ქაოსით აავსეს? ან ის, რომ მოსპეს დიქტატორი მუამარ კადაფი და მის ნაცვლად დატოვეს სისხლიანი ქაოსი და ნანგრევები? რატომ მოხდა, რომ ავღანეთში, სადაც აშშ და დასავლეთის კოალიცია შევიდა, დაამხეს საზიზღარი თალიბები და ოცი წლის განმავლობაში თავიანთი ლეკალოებითა და რეცეპტებით აშენებდნენ ცივილიზებულ, დემოკრატიულ სახელმწიფოს, რომელიც დაინგრა, და იძულებული გახდნენ სამარცხვინოდ გაქცეულიყვნენ?!“**

ესაა დემოკრატია თურმე.

და არა ლოგიკური ჩიხი?!

ანალიტიკოსები ამბობენ, სწორედ ასეთია „ფსევდოდემოკრატიული, რადიკალური ლიბერალიზმი, რომელსაც არაფერი აქვს საერთო დემოკრატიასთან, ხოლო ხალხს წართმეული აქვს თავისი აზრის გამოთქმის უფლება“.

ზოგიერთი ექსპერტის აზრით კი, დემოკრატია საერთოდ აღარ არსებობს: არის დემოკრატიული მეთოდები პოლიტიკური სისტემების, სახელმწიფოების, სხვა სტრუქტურების სამართავად და ამის საწინააღმდეგო ადმინისტრაციულ-ბრძანებლური მეთოდები. რაც მთავარია, ერთსაც და მეორესაც აქტიურად გამოიყენებენ ეფექტიანი პოლიტიკის განსახორციელებლად.

მაგრამ დემოკრატია შინაგანად დალპა.

პრობლემა ის არის, მიაჩნიათ ექსპერტებს, რომ **დასავლეთის სამყარომ და მისმა ადეპტებმა მთელ მსოფლიოში ვერ შეძლეს, შემოეთავაზებინათ ისეთი რამ, რაც მოხიბლავდა მასებს, რომლებიც გაჰყვებოდნენ ამ სიახლის ავტორებს.**

**ის, რისი მოწმენიც დღეს ვართ, არის ლიბერალური იდეის კრიზისი, გახრწნა იმისა, რასაც დემოკრატიას ვუწოდებთ. უღიარებულობა საკუთარი შეცდომის.**

ფუძემდებლური პრინციპები დავკარგეთ, მაგრამ ვაიძულებთ სხვებს, მიიღოს და უერთგულოს ჩვენი რწმენის სიმბოლოს. ასეთ ვითარებაში ფილოსოფოსობიდან ინკვიზიციამდე მივდივართ, რადგან არ გვსურს, კრიტიკულად შევაფასოთ ყველაფერი ის, რის პროპაგანდასაც ვეწევით, და ვთავაზობთ სხვებს. ამ სხვათა მიერ ჩვენი შეთავაზების მიუღებლობა კი მათდამი ზიზღის გამოწვევის მიზეზი ხდება.

დემოკრატებმა უღალატეს იმ პრინციპებს, რომლებისაც ოდესღაც სჯეროდათ.

ამერიკელები მთელ მსოფლიოში მხარს უჭერენ ფრიად საეჭვო რეჟიმებს იმ შემთხვევაში, თუ ეს რეჟიმები აღიარებენ და მოქმედებენ ამერიკის საეჭვო ღირებულებათა პოლიტიკის ჩარჩოებში.

სიყალბეა და უპრინციპობა, რაც დემოკრატიაზე გულაცრუების უპირველესი მიზეზია.

ისტორიკოსები აღნიშნავენ, რომ **დღეს დემოკრატიის მიმართ რწმენის დაკარგვა ისეთივე არნახული მასშტაბისაა, როგორიც 80-იანი წლების დასასრულისა და 90-იანების დასაწყისში მისით მოხიბვლის ყოვლისმომცველობა იყო:**

კოსმოსური მასშტაბის და სრულიად არაკრიტიკული. გვჯეროდა ნათელი მომავლის ამობრწყინების.

მწარედ მოტყუვდით ჩვენი მალემრწმენობისა გამო — თუნდაც იმისა, რომ, მაგალითად, საქართველოს ეკონომიკის განსავითარებლად და ჩვენი მოსახლეობის სოციალური ყოველდღიურობის დონის ასამაღლებლად საკმარისი იქნებოდა ჩაის წარმოების გაზრდა და პროდუქციის მსოფლიო ბაზარზე გატანა. თუ არა და, მზად ვიყავით, ბალახი მოგვეძოვა და დემოკრატია მშიერ კუჭზე დაგვენერგა.

დღეს შიმშილის ზღვარზე ყოფნა უმთავრეს და გადაულახავ პრობლემად წარმოგვიდგა.

და არსად ჩანს მობალახე ჰომო საპიენსი.

თვალი აეხილა ხალხს და კრიტიკულად განეწყო ცარიელი დემოკრატიის მიმართ.

ისტერიკაში ხომ არ ჩავვარდით?

დღეს ჩვენი მოსახლეობა, გამოკითხვის შედეგებს თუ ვენდობით, სახელმწიფო მართვის სტრუქტურებიდან პირველ ადგილზე არმიას რომ აყენებს, ეკლესიის რომ სჯერა და ენდობა, იმიტომაც ხომ არა, რომ არც ერთს, არც მეორეს ხალხის მატერიალურ კეთილდღეობაზე ზრუნვა არ ევალება?

ინვესტიციები, კრედიტები, როგორც პოლიტოლოგების ტრადიციული ტელედებატების ზოგიერთი მონაწილე ამბობს, მხოლოდ დროებითი დეკორაციაა, სპექტაკლის მომდევნო მოქმედებაში სხვა ანტურაჟი ჩაენაცვლება, რომელიც მოქმედების განვითარებას პეწს კი შესძენს, მაგრამ ვერ შეცვლის.

არც არასდროს შეუცვლია.

ხოლო ის თოფი, რომელმაც ბოლოს და ბოლოს უნდა გაისროლოს, სად ჰკიდია, სცენის დეკორაციის რომელ კედელზე, წარმოდგენა არ მაქვს.

ამიტომ ისევ **იაკობ კედმის** ვკითხოთ, რადგან მისი მოღვაწეობის სპეციფიკიდან გამომდინარე, იგი სხვებზე უკეთ ერკვევა შექმნილ ვითარებაში და შეიძლება ისეთი რამ გვითხრას, რომ თმები (ვისაც შერჩა) ან ყალყზე დაგვიდგას, ან გაგვითეთრდეს მყისიერ.

ამბობს კიდეც:

— სოლჟენიცინს ადამიანები არ გამოუკითხავს. წერდა იმას, რასაც გამოსტყუებდა. პატიმრობაში ყოფნის მთელი დროის განმავლობაში იყო „სტუკაჩი“ (კაგებეს ინფორმატორი). „შარაშკაში“ (საიდუმლო ლაბორატორიაში, სადაც ლავრენტი ბერიამ ციხის ნაცვლად თავი მოუყარა წამყვან მეცნიერებს, ატომური იარაღის შექმნაზე სამუშაოდ) რომ გადაიყვანეს, იქაც „სტუკაჩობდა“, არც პროფესიით, არც მეცნიერული ცენზითა და გამოცდილებით იქ მისი ადგილი არ ყოფილა. ბანაკიდან გასვლის შემდეგ ეს ჭორები ლიტერატურულად დაამუშავა და წიგნებად გამოსცა. არც ერთი მისი ნათქვამი ფაქტებით არ დასტურდება. ასეთია იმ მკვლევარების აზრი, რომლებმაც შეისწავლეს მისი შემოქმედება. იმავეს ამბობენ ისინიც, ვინც მასთან ერთად იხდიდა სასჯელს და რცხვენიათ, რომ სოლჟენიცინი მათ თავს უტოლებს.

რასაც სოლჟენიცინი წერს, მისი წარყვნილი შეხედულების ნაყოფია. სხვა არაფერი.

ასეთია ჩემი პირადი აზრი.

ხოლო იმ ქალბატონის, რომლის ნაწერზეც ჩამოვარდა საუბარი, აზროვნება ბაყაყისას ჰგავს: მხოლოდ თეთრსა და შავ ფერებს არჩევს და აღიქვამს. ასეთივეა მისი ბუნება, არა მარტო მისი მხედველობა, არამედ ტვინიც ასე აქვს მოწყობილი.

მისი წერილი გატენილია სიცრუით, სიმახინჯითა და პათოლოგიური ზიზღით, სხვა არაფერია. არც ლოგიკა, არც აზრის თანმიმდევრობა. ღირსი არ არის, განვიხილოთ, როგორც მეცნიერული დოკუმენტი. აშკარაა, ადამიანს, რომელსაც ამის დაწერა შეუძლია, აზროვნების, ანალიზის არავითარი უნარი არ გააჩნია.

ორმა მომენტმა გამახარა განსაკუთრებით; უწინარეს ყოვლისა, მისი და მისნაირების დონემ. მადლობა ღმერთს, რომ ასეთები არიან. ისინი ცხოვრობენ თავიანთ წარმოსახვით სამყაროში.

მეორეც, მისმა აღიარებამ, რომ ჩაისვარეს: ჩვენ წავაგეთ, აღარაფერი დაგვრჩა, ვსხედვართ ჩვენს განავალში, ვიჩიჩქნებით, ვფართხალებთ წუმპეში და ვერაფერს მივაღწიეთ. ასეთია მისი ნაწერის თავისუფალი ინტერპრეტაცია.

ასეთებია ლიბერალური ინკვიზიციის მთელი პლეადა, ისეთივე უსულგულო, დაუნდობელი, ისეთივე დანაშაულებრივი. ჭეშმარიტ სარწმუნოებას ამოფარებული...

* * *

**აიჭრა-მეთქი დრო, ცხოვრება ჩვენი, რაც, დამემოწმებით, ამ მიმოხილვასაც დაეტყო.**

დროის პროდუქტია და იმიტომ.

**არმაზ სანებლიძე**



დემოკრატია დღეს აქციებით იწყება და აქციებითვე მთავრდება

**დღეს ჩვენი მოსახლეობა, გამოკითხვის შედეგებს თუ ვენდობით, სახელმწიფო მართვის სტრუქტურებიდან პირველ ადგილზე არმიას რომ აყენებს, ეკლესიის რომ სჯერა და ენდობა, იმიტომაც ხომ არა, რომ არც ერთს, არც მეორეს ხალხის მატერიალურ კეთილდღეობაზე ზრუნვა არ ევალება?**

**ქართველთა რუსოფობია რომ არ შესუსტდეს, აშშ-მა აგვიკრძალა პირდაპირი დიალოგი რუსეთთან და მასთან დიპლომატიური ურთიერთობის აღდგენა. ასევე აგვიკრძალა სოხუმის გავლით ადრე არსებული სარკინიგზო და საავტომობილო მიმოსვლა რუსეთთან, უკრაინასთან და სხვა ქვეყნებთან.**

გეოპოლიტიკური სიბეცე
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ქართველთა რუსოფობია — საქართველოს ტრაგედია

**ქართველთა ზიზღის, სიძულვილის, მტრობის მიზანმიმართულ პროპაგანდას რუსეთის წინააღმდეგ, რომელიც აშშ-დასავლეთიდან ნიაღვარივით მოედინება, რუსოფობია ეწოდება. ამ პროპაგანდის შედეგად ქართველთა მნიშვნელოვანი ნაწილი, მეტადრე ახალგაზრდობა, ისე დასნეულდა, რომ მათ ცნობიერებაში რუსეთი და მტერი ურთიერთშემცვლელ ცნებებად იქცნენ; ამბობენ მტერს, გულისხმობენ რუსეთს და, პირიქით — ამბობენ რუსეთს, გულისხმობენ მტერს. ამ გეოპოლიტიკურ სიბეცეს საქართველოსთვის ტრაგედიათა სერიალები მოაქვს.**

ყველაზე დიდი უბედურება, რომელიც რუსოფობიამ მოგვიტანა, ქვეყნის ტერიტორიის 20 პროცენტის დაკარგვა და ჩვენი შვილების სიცოცხლის შეწირვაა. ვეყრდნობი რა ისტორიულად ჩამოყალიბებულ გეოპოლიტიკურ კანონზომიერებას, საქართველოს მიწაწყლის 700-კილომეტრიან ერთობლივ საზღვარს, **ბირთვული იარაღით აღჭურვილ რუსეთთან ქართველთა რუსოფობიის შემდგომი გაგრძელება საქართველოს თვითმკვლელობად მიმაჩნია.**

**რუსეთი არასოდეს გვაპატიებს რუსოფობიის გამოვლინებას, როგორიცაა ნატოში გაერთიანება. რუსეთი ამ ორგანიზაციას თავის დაუძინებელ მტრად თვლის.**

გავიხსენოთ ისტორია. 1954 წლის 31 მარტს ნატოს ორგანიზაციის ლამის 5 წლის თავზე, საბჭოთა კავშირმა ნოტა გაუგზავნა ამ ალიანსის იმჟამინდელ წევრ 12 ქვეყანას ასეთი განცხადებით: „რადგან თქვენ ამბობთ, რომ ნატო მშვიდობისმყოფელი ორგანიზაციაა, ჩვენ მზად ვართ მასში გასაერთიანებლად“. საბჭოთა ნოტამ ნატოს მესვეურები კედელთან მოაყენა; ისინი იძულებულნი შეიქნენ, უარით ეპასუხათ; ამით ნატოს ზრახვები გაშიშვლდა, მის მშვიდობისმყოფლობას ნიღაბი ჩამოეხსნა. ამის შემდეგ საბჭოთა კავშირმა და ევროპის სოციალისტურმა ქვეყნებმა 1955 წელს, ნატოს საპირწონედ, ვარშავის ხელშეკრულება გააფორმეს.

**საფრანგეთის პრეზიდენტმა ემანუელ მაკრონმა ახლახან ისტორიის ფალსიფიცირების კლასი გვიჩვენა: „ნატოს ორგანიზაცია ვარშავის ხელშეკრულების საპირისპიროდ ჩამოყალიბდაო“. ქვეყნის პრეზიდენტს ისტორიის ასეთი უსირცხვილო გაყალბება არ ეპატიება. მან უნდა იცოდეს: ნატოს ორგანიზაცია 1949 წლის 4 აპრილს შეიქმნა, ხოლო ვარშავის თავდაცვითი ხელშეკრულება — 1955 წლის 14 მაისს.**

ბატონ მაკრონს, საქართველოს ხელისუფალთ, ოპოზიციის მესვეურებს — ყველას შევახსენებ: ისტორია ფაქტებსა და მოვლენებს დროსა და სივრცეში მიზეზ-შედეგობრივ კავშირურთიერთობებში განიხილავს; ვინც ამ კანონზომიერებას არ იცავს და ფაქტების თვითნებურ გადაკეთ-გადმოკეთებას სუბიექტური მიზნებისათვის მიმართავს, მას ისტორია არ მიუტევებს და სჯის. დღევანდელი საქართველო ასეთი დასჯის მაგალითია.

მოგაგონებთ, ვინ დაასნეულა ქართველები და არა მხოლოდ ქართველები რუსოფობიის პოლიტიკური კორონავირუსით; შევეხები რუსოფობიის ცალკეულ აფეთქებებს.

**ქართველთა და მრავალი სხვა ხალხის რუსოფობიით დაავადების წყაროდ ამერიკელი პოლიტიკური მოღვაწის — ალენ დალესის ვერაგული დოქტრინა იქცა. იგი 1945 წლის თებერვალში მოგვევლინა. მის შესავალში ვკითხულობთ: „დამთავრდება ომი... ჩვენ ყველაფერს, რაც გვაბადია, ოქროს, მატერიალურ ძალებს გადავისვრით ხალხთა მოსასყიდად და გამოსათაყვანებლად...“**

მკითხველი კომენტარის გარეშეც კარგად ხედავს დოლარის ყოვლისშემძლეობით როგორ მოისყიდა აშშ-მა არა მხოლოდ ქართველები და უკრაინელები, არამედ მრავალი სხვა ხალხიც.

თავისი ვერაგობითა და რუსეთის საწინააღმდეგო გესლიანი შხამით გამორჩეულია დოქტრინის ის სტრიქონები, რომელშიც ვკითხულობთ:

**„ნაციონალიზმი და ხალხთა შორის მტრობა, უწინარეს ყოვლისა, მტრობა და სიძულვილი რუსი ხალხისადმი... ოსტატურად და შეუმჩნევლად აყვავდება მძაფრი ფერებით...“**

დიახ, დალესმა კარგად იცოდა, რომ ხალხთა თანამეგობრობა საბჭოთა კავშირის ძლიერების წყარო იყო და სწორედ მის წინააღმდეგ მიმართა იდეოლოგიურ-პროპაგანდისტული მანქანა უხვად გაღებული დოლარების თანხლებით. მან მართლაც „მძაფრი ფერებით“ ააყვავა ქართველთა და სხვა ხალხთა რუსოფობია.

**ქართველთა რუსოფობიის მძლავრი ტალღა მივიღეთ 1989 წლის 9 აპრილის მიტინგზე თბილისში. რუსოფობიით გაჟღენთილმა მოწოდებებმა — „რუსო, წაეთრიე“, „რუსო , ბროდიაგა“, „რუსო, ოკუპანტო“ და მისთანებმა — გააოგნეს რუსი ინტელექტუალები, რომლებმაც ამის შემდეგ ქართველები ავადმყოფ ერად შერაცხეს. ბუნებრივია, რუსეთმა ზურგი შეგვაქცია და მხარდაჭერა საქართველოში მცხოვრებ ეროვნულ უმცირესობებზე გადაიტანა, რომლებმაც 9 აპრილის მიტინგს მხარი არ დაუჭირეს.**

აბა, თქვით, რამდენი არაქართველი შეეწირა მიტინგის დარბევას? — არც ერთი!

**აშშ მზაკვრული ხერხებით აძლიერებს ქართველთა რუსოფობიას. ყოფილი პრეზიდენტის, ბუში-უმცროსის, ოსტატურად პროვოცირებული 2008 წლის აგვისტოს ომი ცხინვალში, რომელიც სააკაშვილმა წამოიწყო, რუსოფობიის ახალი აფეთქება იყო, რომლის გამოძახილი კვლავაც გრძელდება და საქართველოსათვის ტრაგედიათა სერიები მოაქვს.**

ქართველთა რუსოფობია რომ არ შესუსტდეს, აშშ-მა აგვიკრძალა პირდაპირი დიალოგი რუსეთთან და მასთან დიპლომატიური ურთიერთობის აღდგენა. ასევე აგვიკრძალა სოხუმის გავლით ადრე არსებული სარკინიგზო და საავტომობილო მიმოსვლა რუსეთთან, უკრაინასთან და სხვა ქვეყნებთან; ლარსის უღელტეხილზე იმტვრიეთ ცხვირპირიო.



**ყველას, ვინც რუსოფობიით არის დასნეულებული და ნატოში გაერთიანებას ეთაყვანება, ხელისუფლება იქნება ის თუ ოპოზიციის დიდი ნაწილი, მე, პოლიტოლოგი, მათ საქართველოს დაუძინებელ მტრად ვაცხადებ, რადგან საქართველო ნატოში ნიშნავს არამხოლოდ სოხუმისა და ცხინვალის საბოლოოდ დაკარგვას, არამედ პერსპექტივაში, ჯავახეთისა და მარნეულის მხარეების ჩამოშორებასაც**

**რუსოფობია რომ არ შესუსტდეს, აშშ საქართველოს ტერიტორიაზე, პერიოდულად აწყობს ნატოს ქვეყნების საზღვაო თუ სახმელეთო სამხედრო ძალების წვრთნებს საქართველოს მონაწილეობით. ბუნებრივია, ეს რუსეთს აღიზიანებს და საქართველოსთვის საზიანო ქმედებებისთვის საბაბს აძლევს.**

რუსოფობია, როგორც აშშ-დასავლეთის პოლიტიკური კორონავირუსი, ისე ღრმად შეიჭრა ქართველთა ერთი ნაწილის თავებში, რომ მათ დაავიწყა და წაართვა ისტორიული მეხსიერება-მემკვიდრეობის შემეცნების უნარი. დავიწყებას მიეცა და უმადურობით აღივსო ის სინამდვილე, როცა თურქების მიერ საუკუნეთა განმავლობაში მიტაცებული სამცხე-ჯავახეთი თუ აჭარა ბათუმით რუსეთის ძალისხმევით რომ დაგვიბრუნდა. დიახ, რუსეთი იმპერიული მიზნებით მოქმედებდა და არა ქართველთა სიყვარულით, მაგრამ ქართველთა ოცნებაც ხომ აღასრულა?

რუსოფობიით ქართველთა დასნეულების საქმეში აშშ-ს არც ევროკავშირი ჩამორჩება. წელს, 21 იანვარს, სტრასბურგის ევროპულმა სასამართლომ რუსეთის მისამართით ისეთი გადაწყვეტილება მიიღო, რომელსაც ქართული პოზიცია თუ ოპოზიცია ხზოს აღტყინებით შეხვდა, ისტორიულ მოვლენად შერაცხა. მადლობა ცნობილ პუბლიცისტს, ბატონ **ვალერი კვარაცხელიას,** რომელმაც ჭეშმარიტების სიმბოლო „საქართველო და მსოფლიოს“ ა.წ. მე-2 ნომერში სატირულ-იუმორისტულ ქარცეცხლში რომ გაატარა სტრასბურგის სასამართლო და მისი მოთაყვანე საქართველოს ხელისუფლება თუ ოპოზიცია.

სტრასბურგის სასამართლომ მისამართი შეგნებულად შეცვალა — მას 2008 წლის აგვისტოს ომის დამწყები და საერთაშორისო დამნაშავე სააკაშვილი უნდა გაესამართლებინა, რომელმაც ცხინვალში შეჭრისთანავე ჩახოცა საერთაშორისო ორგანიზაციების — გაეროსა და ეუთოს — ეგიდით იქ მდგარი რუსი სამშვიდობოები.

**დიახ, ცხინვალის ომს, სამწუხაროდ, ნგრევა და მშვიდობიანი მოსახლეობის მსხვერპლიც მოჰყვა, მაგრამ ამაში სააკაშვილია დამნაშავე; რატომ მიჩქმალეთ ეს ფაქტი, ბატონო მოსამართლეებო?! სირცხვილია!**

სტრასბურგელო მოსამართლეებო! მშვიდობიანი მოსახლეობის მსხვერპლი და შენობა-ნაგებობების ნგრევა გამოიწვია 1999 წლის აპრილში, ზედ აღდგომის დღესასწაულის ჟამს, ნატოს ავიაციის მიერ ბელგრადის ჯოჯოხეთურმა დაბომბვამ — სერბებს დააყარეს ბომბები ცინიკური წარწერით „გილოცავთ აღდგომას“. გეკითხებით, რატომ არ გაასამართლეთ ნატომ საშინელი ქმედებისთვის? იგივე ნატო რატომ არ გაასამართლეთ ლიბიასა და ერაყში დატრიალებული ტრაგედიებისთვის? სირცხვილი თქვენ!

ბატონო მოსამართლეებო! ისტორიაში არნახული საოცრებაა თქვენი გადაწყვეტილება: თურმე ომში გამარჯვებულმა რუსეთმა ფულადი კომპენსაცია უნდა გადაუხადოს ომის დამწყებ, მაგრამ დამარცხებულ მხარეს — სასაცილოზე მეტია ეს. რუსოფობიის ტყვეობამ ასე როგორ დაგიბინდათ გონება და წაგართვათ საღად აზროვნების უნარი, ბატონო მოსამართლეებო?

**აშშ-დასავლეთის კოლექტიური რუსოფობია 23 აგვისტოს კიევიდან ვიხილეთ; 43 ქვეყნის წარმომადგენელი ანტირუსულ ისტერიკაში ერთმანეთს შეეჯიბრა, ხოლო ახლახან, ოქტომბრის ბოლოს, საქართველოს, უკრაინასა და რუმინეთს აშშ-ის თავდაცვის სახელმწიფო მდივანი ლოიდ ოსტინი ეწვია, რომელმაც რუსოფობიური გესლიანი შხამი უშურველად მოაფრქვია — განსაკუთრებით საქართველოში.**

აშშ-დასავლეთის პოლიტიკურმა კორონავირუსმა — რუსოფობიამ ქართული ხელისუფლებისა თუ ოპოზიციის დიდი ნაწილი გეოპოლიტიკური სიბრმავის ავადმყოფობით დაასნეულა; ამიტომ ისინი ვეღარ ხედავენ, სად, რომელ კონტინენტზე, რომელ გეოგრაფიულ სივრცეში, რომელი ქვეყნების უშუალო სამეზობლოში ცხოვრობს ბედკრული საქართველო; მათ საქართველო სადღაც ბისკაის ყურეში, საფრანგეთ-ესპანეთის საზღვრებთან ესახებათ.

ისტორიის ლოგიკაზე დაყრდნობით, სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ: **ყველას, ვინც რუსოფობიით არის დასნეულებული და ნატოში გაერთიანებას ეთაყვანება, ხელისუფლება იქნება ის თუ ოპოზიციის დიდი ნაწილი, მე, პოლიტოლოგი, მათ საქართველოს დაუძინებელ მტრად ვაცხადებ, რადგან საქართველო ნატოში ნიშნავს არამხოლოდ სოხუმისა და ცხინვალის საბოლოოდ დაკარგვას, არამედ, პერსპექტივაში, ჯავახეთისა და მარნეულის მხარეების ჩამოშორებასაც.** ახალქალაქელი სომხების თავკაცმა **ალასი არაბიანმა** წლების წინათ განაცხადა: „თუ საქართველო ნატოს წევრი გახდება, ჩვენ, ჯავახეთელი სომხები, დავიწყებთ მოქმედებას საქართველოდან გამოსაყოფად“ (იხ. „საქართველო და მსოფლიო“ №13, 2012 წ., გვ. 11). **გამოფხიზლდით, ბატონებო! გირჩევთ, ყურად იღოთ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია მეორის ბრძნული რჩევა, რომელიც მან 2001 წლის სააღდგომო ეპისტოლეში გვაახლა: „ისეთი პატარა ქვეყნისათვის, როგორიც საქართველოა, ყველაზე მისაღები პოზიცია ნეიტრალიტეტია“. იცოდეთ, ხელისუფალნო, სამხედრო ნეიტრალიტეტის ფინური ვარიანტი რუსეთთან კეთილმეზობლობის დამკვიდრების გზაა, რომელიც საქართველოს ჰაერივით ესაჭიროება.**

მაშ, წერტილი დავუსვათ ქართველთა რუსოფობიას, საქართველოს გადამრჩენ-გამამთლიანებელი მხოლოდ რუსეთია. იწამეთ ეს აქსიომური ჭეშმარიტება.

ხელისუფალნო, ოპოზიციის ძალებო! საბედნიეროდ, დღეს საქართველოში არსებობს რუსოფობიისაგან თქვენი განკურნების ძალიან საიმედო, იაფი და ყოვლად უვნებელი პრეპარატი — ვაქცინა, რომლის სახელწოდებაა გაზეთი „საქართველო და მსოფლიო“; შეიძინეთ და რეგულარულად იკითხეთ მისი დიდებული პოლიტიკური პუბლიკაციები და აუცილებლად დააღწევთ თავს წყეულ ამერიკულ პოლიტიკურ კორონავირუსს, ანუ რუსოფობიას.

**ჩემო ქართველებო!** „საქართველო და მსოფლიო“ ჭეშმარიტების, ობიექტურობის, გეოპოლიტიკური კანონზომიერების ერთგული დამცველია.

**დასავლეთის პოლიტიკური კორონავირუსის — რუსოფობიისაგან თქვენი განკურნების კეთილი სურვილით,**

**გივი გურეშიძე**
**ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი ქუთაისიდან**

ჩაკუჩხი

www.geworld.ge

თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**იმპერია, სახელწოდება კი არა, ფაქტობრივი მდგომარეობაა. რუსეთი უკვე მაშინ გახდა იმპერია, როცა 1453 წელს დაეცა კონსტანტინოპოლი და მოსკოვმა მალე დაიწყო თავის აღქმა მესამე რომად (ნიშანდობლივია, რომ კონსტანტინოპოლის განმათავისუფლებლად მოსკოვი პირველად მოხსენიებულია მე-15 საუკუნის ქართველი ავტორების ნაშრომებში).**

# იმპერიის არ უნდა გვეშინოდეს

## რუსეთის ახალი იმპერიის შესახებ

**„მრავალპოლუსიანი მსოფლიო", რომლისთვისაც მსოფლიო არენაზე იბრძვის დღევანდელი რუსეთის ფედერაცია, წარმოადგენს „ერთპოლუსიანი მსოფლიოს" ანტონიმს, ანუ საპირწონეს გლობალური (გლობალისტური) იმპერიისა, რომლის როლზეც მუდმივად აცხადებს პრეტენზიას აშშ. ასეთ შემთხვევაში ლოგიკურად გამომდინარეობს დასკვნა, რომ რამდენიმე პოლიტიკური „პოლუსი", რომელთა სასარგებლოდაც გამოდის რუსეთი, უნდა გავიგოთ, როგორც ძალთა რეგიონული (კონტინენტური) ცენტრების — თანამედროვე იმპერიების მოცემულობა. ეს იმპერიები არა მხოლოდ კონკურენციას გაუწევენ ერთმანეთს, არამედ ერთმანეთთან ითანამშრომლებენ ძალთა ბალანსის საფუძველზე. როგორ შეიძლება იყოს შევსებული თანამედროვე იმპერიის შინაარსი, ეს ცალკე საკითხია, რომელზეც ჩემს მოსაზრებას ქვემოთ მოგახსენებთ.**

ტერმინი „იმპერია" თანამედრომე მსოფლიოში ნეგატიურად უფრო აღიქმება, ვიდრე პოზიტიურად. მას ხშირად იყენებენ სიტყვა „იმპერიალიზმის" სინონიმად, მაგრამ ეს ერთი და იგივე არ არის. ტერმინი **„იმპერიალიზმი"** გაჩნდა მე-16 საუკუნეში ნეგატიური კონოტაციით, რომელიც გულისხმობს სამხედრო ძალაზე დამყარებულ დესპოტიას. რა თქმა უნდა, „იმპერიალიზმი" ერთ-ერთ მთავარ ანტიტერმინად იქცა მარქსისტულ სწავლებაში და გაიგივებული იყო ჩაგვრასა და ქვეყნებისა და ხალხების ექსპლუატაციასთან, დაპყრობასთან, კოლონიალიზმთან. **ლენინი თავის ცნობილ ნაშრომში „იმპერიალიზმი, როგორც კაპიტალიზმის უმაღლესი სტადია" (1916 წ.) საკმაოდ დასაბუთებულად ათანაბრებდა იმპერიალიზმს მონოპოლიურ კაპიტალიზმთან და აქცენტს აკეთებდა ბრძოლაზე (დიდ სახელმწიფოებს, მათ შორის იმპერიას შორის) მსოფლიოს გადანაწილებისთვის. „იმპერიალიზმის" ასეთი ნეგატიური გამოყენება თითქმის ავტომატურად ვრცელდებოდა ტერმინ „იმპერიაზეც".**

„ცივი ომის" ეპოქაში მთავარი დაპირისპირებული მხარეები — აშშ და სსრკ — ერთმანეთს იმპერიულობასა და იმპერიალიზმში ადანაშაულებდნენ. ე.ი., ბურჟუაზიული დასავლეთი, რომელიც თავს „თავისუფალ სამყაროს" უწოდებს, მალულად უცხადებდა სოლიდარობას მარქსიზმს ცნება „იმპერიის" განსაზღვრაში და მას ნეგატიურად განმარტავდა. **„იმპერიის" ასეთი ნეგატიური აღქმა შენარჩუნებულია თანამედროვე ლიბერალურ იდეოლოგიაში, თუმცა, გასული საუკუნის 70-80-იანი წლებიდან პოლიტოლოგიაში ჩნდება დეიდეოლოგიზებული, ნეიტრალური და ემპირიული დამოკიდებულება ცნება „იმპერიის" მიმართ: იმპერიალიზმის თეორიისგან ცალკე დაიწყეს იმპერიის თეორიის განხილვა.**

ამასთანავე, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ **ელიტა ამ „თავისუფალი სამყაროს" ფლაგმანის, ამერიკის შეერთებული შტატებისა, თავიდანვე არა მხოლოდ სიმპათიას ავლენდა ძველი რომისადმი, არამედ ამერიკაში ამა თუ იმ ფორმით აღადგენდა მას — დაწყებული ყველა შტატის ფედერალური ცენტრის ოფიციალურ სიმბოლიკაზე დატანილი ლათინური სლოგანებით, დამთავრებული ბევრი შენობა-ნაგებობის რომაული არქიტექტურით. რომთან ამერიკის თვითიდენტიფიკაციით სხვადასხვა დონეზეა განმსჭვალული ამერიკელი საზოგადოება.**

ამერიკის პოლიტიკური ელიტის ინტელექტუალურ დებატებში რომის ანტიკურობაზე მითითება ბოლო პერიოდამდე ყოველ ნაბიჯზე ხდებოდა, უწინარესად, ამერიკულ მასმედიაში.

**მართალია, ეს თვითიდენტიფიკაცია მიეკუთვნება რომის რესპუბლიკას, მაგრამ აშშ-ის საგარეო პოლიტიკაში ასი პროცენტით არის გათვალისწინებული რომის რესპუბლიკის იმპერიული ხასიათი. სახელდობრ, რომის საგარეო ექსპანსია და სტაბილური, ხანგრძლივვადიანი ხმელთაშუაზღვისპირული იმპერიის (რომელიც დღევანდელი პოზიციებიდან ჩანს, როგორც**



გულბაათ რცხილაძე

**გლობალური, უნივერსალური იმპერია) შექმნა იზიდავდა ამერიკის ელიტას და დღემდე გავლენას ახდენს ამერიკელთა თვითიდენტიფიკაციაზე.**

**პატრიკ ჯ. ბიუკენენის** შესანიშნავ წიგნში „დასავლეთის სიკვდილი", პოლიტიკოსის მიერ 2002 წელს დაწერილში, თვალსაჩინოდ არის აღწერილი ამერიკელი საზოგადოებისა და სახელმწიფოს ისტორიული იდეურ-მორალური ბურჯების თვითნგრევის პროცესი, რომელმაც წარმოშვა უცნაური ვითარება „ბლეკ ლაივს მატერ". არ ვიცი, საბოლოოდ სადამდე მივა ეს პროცესი — ერთიანი ამერიკის სახელმწიფოს დაშლამდე ან აშშ-ის ბაზაზე სუპერგლობალისტური იმპერიის შექმნამდე, რომელიც შეიძლება იყოს მხოლოდ ბოროტების ჭეშმარიტი განსახიერება (რეიგანის პერიფრაზირებით), მაგრამ, დარწმუნებული ვარ, რომ საბჭოთა წარსულის ლანძღვა ნიშნავს თანდათანობით თვითნგრევას რუსეთისა და მასთან ერთად იმ ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკებისა, რომლებიც რუსეთის, როგორც მსოფლიოში ძალთა ბალანსის გარეშე, დასაღუპავად არიან განწირულნი.

**ტერმინი «იმპერია» თანამედრომე მსოფლიოში ნეგატიურად უფრო აღიქმება, ვიდრე პოზიტიურად. მას ხშირად იყენებენ სიტყვა «იმპერიალიზმის» სინონიმად, მაგრამ ეს ერთი და იგივე არ არის. ტერმინი «იმპერიალიზმი» გაჩნდა მე-16 საუკუნეში ნეგატიური კონოტაციით, რომელიც გულისხმობს სამხედრო ძალაზე დამყარებულ დესპოტიას. რა თქმა უნდა, «იმპერიალიზმი» ერთ-ერთ მთავარ ანტიტერმინად იქცა მარქსისტულ სწავლებაში და გაიგივებული იყო ჩაგვრასა და ქვეყნებისა და ხალხების ექსპლუატაციასთან, დაპყრობასთან, კოლონიალიზმთან**



**სსრკ-ში „მეფის რეჟიმის" — რუსეთის იმპერიის — ლანძღვამ სსრკ-ის წინააღმდეგ ითამაშა (ეროვნულ რესპუბლიკებში ცარიზმის კრიტიკის ქვეშ იმალებოდა ნაციონალიზმი, რომელიც, ჯამში, აგრეთვე, მიმართული იყო კომუნიზმის წინააღმდეგ და, ამასთანავე, მოსკოვის, როგორც მეტროპოლიის წინააღმდეგ), ამიტომ რთულია, გაუგო თანამედროვე წამყვან რუს პოლიტიკოსებს, რომლებიც, როდესაც სურთ, შეადარონ დღევანდელი ნეგატიური დასავლური რეალიზმი რაღაც ცუდს წარსულიდან, იხსენებენ ბოლშევიკებს, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს და ა.შ.**

ამის ნაცვლად ტყუილებში ჩაფლულ დასავლელ ოპონენტებს შეიძლება თავიანთი ადგილი მიუჩინო იმით, რომ ნაცისტებს შეადარებ; მათ რუსოფობიურ პროპაგანდას — **გებელსის** პროპაგანდას ან, თუ ეს „მეტისმეტია", მაშინ გებელსის მასწავლებელს (დაუსწრებლად), შემქმნელს თანამედროვე ეფექტიანი პროპაგანდისა, რომელსაც ანგლოსაქსების აღსაქმელად ლამაზი სიტყვა „პიარი" უწოდეს — **ედვარდ ბერნეისის** პროპაგანდას, აგრეთვე, მისი კოლეგის, **უოლტერ ლიპმანისა** და დასავლეთის სხვა „გამოჩენილი" მოღვაწეებისას.

ამით მე მივედი შემდეგ პუნქტთან, რომ **საბჭოთა კავშირი, აგრეთვე, უნდა აღვიქვათ იმპერიად, ისევე, როგორც მოსკოვის სამეფოს გაძლიერების პერიოდი, 1721 წელს სენატისა და სინოდის მი-** ▶

**პატრიკ ჯ. ბიუკენენის შესანიშნავ წიგნში «დასავლეთის სიკვდილი», პოლიტიკოსის მიერ 2002 წელს დაწერილში, თვალსაჩინოდ არის აღწერილი ამერიკელი საზოგადოებისა და სახელმწიფოს ისტორიული იდეურ-მორალური ბურჯების თვითნგრევის პროცესი, რომელმაც წარმოშვა უცნაური ვითარება «ბლეკ ლაივს მატერ». არ ვიცი, საბოლოოდ სადამდე მივა ეს პროცესი — ერთიანი ამერიკის სახელმწიფოს დაშლამდე ან აშშ-ის ბაზაზე სუპერგლობალისტური იმპერიის შექმნამდე, რომელიც შეიძლება იყოს მხოლოდ ბოროტების ჭეშმარიტი განსახიერება (რეიგანის პერიფრაზირებით), მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ საბჭოთა წარსულის ლანძღვა ნიშნავს თანდათანობით თვითნგრევას რუსეთისა და მასთან ერთად იმ ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკებისა, რომლებიც რუსეთის, როგორც მსოფლიოში ძალთა ბალანსის, გარეშე დასაღუპავად არიან განწირულნი**

# „ცივი ომის“ ეპოქაში მთავარი დაპირისპირებული მხარეები — აშშ და სსრკ — ერთმანეთს იმპერიულობასა და იმპერიალიზმში ადანაშაულებდნენ. ე.ი., ბურჟუაზიული დასავლეთი, რომელიც თავს „თავისუფალ სამყაროს“ უწოდებს, მალულად უცხადებდა სოლიდარობას მარქსიზმს ცნება „იმპერიის“ განსაზღვრაში და მას ნეგატიურად განმარტავდა.

ჩაქუჩი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**საბჭოთა იმპერიის — საბჭოთა კავშირის — ლიდერმა სტალინმა ცნობიერად თუ არაცნობიერად შეძლო ცეზარიზმის (ანუ პირობითად, «ბონაპარტისტული საიმპერატორო ძალაუფლების») — «ამ ტიპურად არაქრისტიანული (საიმპერატორო) ძალაუფლების» სინთეზირება ქრისტიანული კატეხონის ფუნქციასთან. სტალინი რუსეთის, საბჭოთა კავშირის, რუსეთსა და საბჭოთა კავშირში შემავალი ყველა ხალხის ხსნის მთავარი ავტორია, როგორც ნაცისტური გერმანიისა და მისი მოკავშირეების აგრესიისგან, ისე ტროცკისტული სიგიჟისგან, ამიტომ სტალინისა და მისი საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ნებისმიერი გამოხდომა არასამეცნიერო დისკუსიის ჩარჩოში მტრული აქტია რუსეთის, როგორც იმპერიის მიმართ**

◀ერ იმპერატორად პეტრე I-ის გამოცხადებამდე.

იმპერია, სახელწოდება კი არა, ფაქტობრივი მდგომარეობაა. **რუსეთი უკვე მაშინ გახდა იმპერია, როცა 1453 წელს დაეცა კონსტანტინოპოლი და მოსკოვმა მალე დაიწყო თავის აღქმა მესამე რომად (ნიშანდობლივია, რომ კონსტანტინოპოლის განმათავისუფლებლად მოსკოვი პირველად მოხსენიებულია მე-15 საუკუნის ქართველი ავტორების ნაშრომებში). არსებითი მნიშვნელობა არ აქვს იმას, რუსეთის, როგორც კატეხონის — ქრისტიანული სამყაროს მხსნელის — სიმბოლომ მოგვიანებით მეორე პლანზე რომ გადაინაცვლა და თითქმის დავიწყებას მიეცა.** ამის დასამტკიცებლად მშობლიური საქართველოს მაგალითის მოყვანაც საკმარისია, თუმცა მოგვიანებით იყო ბალკანეთის რელიგიური მომენტით მოტივირებული განთავისუფლებაც.

**რუსი იმპერატორები, ისინიც კი, ვისაც ცოტა საერთო ჰქონდა რუს ხალხთან ეთნიკურობის თვალსაზრისით (რუსი ხალხის გარეშე კი არანაირი რუსეთის იმპერია არ იქნებოდა), სანამ იმპერატორის ტახტზე ავიდოდნენ, აუცილებლად იღებდნენ მართლმადიდებლობას. საბჭოთა იმპერიის — საბჭოთა კავშირის — ლიდერმა სტალინმა ცნობიერად თუ არაცნობიერად შეძლო ცეზარიზმის (ანუ, პირობითად, „ბონაპარტისტული საიმპერატორო ძალაუფლების“) — „ამ ტიპურად არაქრისტიანული (საიმპერატორო) ძალაუფლების სინთეზირება ქრისტიანული კატეხონის ფუნქციასთან. სტალინი რუსეთის, საბჭოთა კავშირის, რუსეთსა და საბჭოთა კავშირში შემავალი ყველა ხალხის ხსნის მთავარი ავტორია, როგორც ნაცისტური გერმანიისა და მისი მოკავშირეების აგრესიისგან, ისე ტროცკისტული სიგიჟისგან.** ამიტომ სტალინისა და მისი საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ნებისმიერი გამოხდომა არასამეცნიერო დისკუსიის ჩარჩოში მტრული აქტია რუსეთის, როგორც იმპერიის მიმართ. **მაგრამ, ამასთანავე, არ შეიძლება იყოს არანაირი „ლიბერალური იმპერია“ რუსეთის სახით, მისი ისტორიის, პოლიტიკური და კულტურული ტრადიციების გათვალისწინებით.** ბოდიში, მაგრამ რუსულ „ლიბერალურ იმპერიას“ ალტერნატივა აქვს და ის გაცილებით მიმზიდველია. **რუსეთი შეიძლება იყოს მიმზიდველი, მაგრამ არა ლიბერალიზმით, არამედ იმპერიული ლიდერობით მართლმადიდებლურ-ტრადიციული ფასეულობების შენარჩუნების საქმეში. ერთი მხრივ, ნეოწარმართული დასავლეთის, ხოლო, მეორე მხრივ, ისლამიზმის იერიში ისტორიული რუსეთის იმპერიის ხალხებს, მართლმადიდებლობისა და ისლამის აღმსარებლებს, ბუნებრივ მოკავშირეებად აქცევს.**



**ელიტა «თავისუფალი სამყაროს» ფლაგმანის, ამერიკის შეერთებული შტატებისა, თავიდანვე არა მხოლოდ სიმპათიას ავლენდა ძველი რომისადმი, არამედ ამერიკაში ამა თუ იმ ფორმით აღადგენდა მას — დაწყებული ყველა შტატის ფედერალური ცენტრის ოფიციალურ სიმბოლიკაზე დატანილი ლათინური სლოგანებით, დამთავრებული ბევრი შენობა-ნაგებობის რომაული არქიტექტურით**

**არსებითი მნიშვნელობა არ აქვს იმას, რუსეთის, როგორც კატეხონის – ქრისტიანული სამყაროს მხსნელის – სიმბოლომ მოგვიანებით მეორე პლანზე რომ გადაინაცვლა და თითქმის დავიწყებას მიეცა, რუსეთი მაინც ასრულებდა, სახელდობრ, ამ ფუნქციას. ამის დასამტკიცებლად მშობლიური საქართველოს მაგალითის მოყვანაც საკმარისია, თუმცა მოგვიანებით იყო ბალკანეთის რელიგიური მომენტით მოტივირებული განთავისუფლებაც**

თანამედროვე იმპერია — ეს არის კონფედერაციული სივრცითი ცნება, სივრცითი წესრიგი. საჭირო არ არის იმპერიის იდეის გაიგივება მონარქიზმთან, უცნაური ცერემონიების მოწყობა ისტორიულ ტაძრებში და ა.შ. ცეზარიზმისა და კატეხონის სინთეზი არც ისე შორეულ ისტორიულ წარსულში აპრობირებული მეთოდია, რომელსაც ყველა წინაპირობა აქვს, კვლავ აღორძინდეს თვალსაწიერ მომავალში.

**გულბაათ რცხილაძე**

წინამდებარე მასალა ავტორმა მოამზადა რუსულ ენაზე და წაიკითხა მოსკოვში, დსთ-ის ინსტიტუტის მიერ რუსეთის იმპერიის შექმნის მე-300 წლისთავის გამო მოწყობილ კონფერენციაზე.

თარგმნა **გიორგი გაჩეჩილაძემ**




პატრიკ ბიუკენენის წიგნი დასავლეთის სიკვდილი

**აშშ-ის საგარეო პოლიტიკაში ასი პროცენტით არის გათვალისწინებული რომის რესპუბლიკის იმპერიული ხასიათი. სახელდობრ, რომის საგარეო ექსპანსია და სტაბილური, ხანგრძლივვადიანი ხმელთაშუაზღვისპირული იმპერიის (რომელიც დღევანდელი პოზიციებიდან ჩანს, როგორც გლობალური, უნივერსალური იმპერია) შექმნა იზიდავდა ამერიკის ელიტას და დღემდე გავლენას ახდენს ამერიკელთა თვითიდენტიფიკაციაზე**



მწარე სიმართლე
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„როგორც ჭკვიანი ირჩევს ტანსაცმელს, მას რა მოერგება და რა მოუხდება, საკუთარი სხეულის აღნაგობის გათვალისწინებით, ასევე უნდა მოიქცეს ერი ამა თუ იმ მოძღვრების არჩევისას. ჯერ ერთი, თუ შეუძლია, ის მოძღვრება, რაც მას ჭირდება, მან თვითონვე უნდა შექმნას. მეორეც, თუ ამისთვის ჭკუა-გონება არ ჰყოფნის და აუცილებლად სხვას უნდა დაესესხოს, მაშინ ის უნდა აიღოს, რაც მას უეჭველად გამოადგება“.**

რუბრიკას უძღვება დარეჯან ანდრიაძე

# რას ნიშნავს მამულის მსახურება მაშინ, როცა «ცხრა მთას გადაღმიდან მოყვანილ ძიძას ვაბარივართ»?

**სანამ ამ კითხვაზე პასუხის გაცემას შევეცდებით, ოქტავიანე ავგუსტუსის ერთი ბრძნული გამონათქვამი მინდა გავახსენო მათ, ვინაც სხვათა დამუნათებით, აქციებით, ცილისწამებითა თუ არაფრის მომცემი ყაყანით საკუთარი თავის ქვეყნის გულშემატკივრად წარმოჩენას ცდილობს: „არ ღირს დაიწყო ბრძოლა ან ომი, თუ დარწმუნებული არ ხარ, რომ გამარჯვების შემთხვევაში იმაზე მეტს მოიგებ, ვიდრე შეიძლება დაკარგო დამარცხების შემთხვევაში. ის, ვინც მცირე მოგების გამო დიდ რისკზე მიდის, ჰგავს მეთევზეს, რომელიც ოქროს ნემსკავით თევზაობს: დაკარგავ ნემსკავს და ვერანაირი თევზი ვერ აგინაზღაურებს მის საფასურს“.**

რა სარგებელი მოუტანა „ნაცმოძრაობამ“ ქვეყანასა და ხალხს თავისი აქციებით? არც არაფერი — არც სამუშაო ადგილები შექმნილა, არც ეკონომიკა აყვავებულა, არც სოციალური ყოფა გაუმჯობესებულა... მაგრამ კოვიდინფიცირებულთა რაოდენობის მატებაში ნაცაქტივისტებმა უდავოდ დიდი წვლილი შეიტანეს.

სამაგიეროდ ხელისუფლებას აქვს მიზეზი, თქვას, რომ ხელს რომ არ უშლიდნენ, ეკონომიკასაც ააყვავებდნენ და ხალხსაც ამოასუნთქებდნენ. ასე რომ, პოზიციაც და ოპოზიციაც ერთმანეთის წისქვილზე ასხამენ წყალს. ხომ გაგიგონიათ, ჯერ თავო და თავო, მერე ცოლო და შვილოო, ანუ მერე ხალხო და ჯამაათნოო.

როგორც ჩანს, მამულის მსახურება მათ ასე ესმით, ამიტომაცაა, რომ ხალხის ნდობაც დაკარგეს და მით უმეტეს პატივისცემაც. სამაგიეროდ უსიტყვო მორჩილებითა და ლაქიაობით ორივემ „სტრატეგიულ მეგობრებს“ ნამდვილად ასიამოვნა. ჯერ კიდევ დიდი ნიკო ნიკოლაძე აღნიშნავდა, რომ **„ჩვენი ქვეყნის გონებრივი ზრდისათვის დიდი უბედურებაა ის გარემოება, რომ დედის ძუძუთი კი არ ვიკვებებით, არამედ ცხრა მთას გადაღმიდან მოყვანილ ძიძას ვაბარივართ. ისიც ხშირად თხის რძეს გვაწოვებს და არა ადამიანისას. უცხოელი ძიძა, რაგინდ სალი იყოს, შენს დედაენას ვერ გასწავლის, შენი ქვეყნის ბუნებასა და საჭიროებას ვერ გაგაცნობს“.**

ამ სიტყვების ავტორსა და მთელს მის თაობას, რომელმაც გარკვეული კვალი დატოვა ჩვენი ქვეყნის ისტორიაში, მამულის მსახურება თავიანთ უპირველეს მოვალეობად მიაჩნდათ. **„მე დამივლია ევროპა და ბევრ ჩინებულ ქვეყნებში, ბევრ ალმტაც საზოგადოებაში გამიტარებია თვეები და წლები, მაგრამ ყოველგან და ყოველთვის, სადაც კი ვყოფილვარ, ერთი საგანი მქონია: შენთვის დამზადება, შენთვის სამსახური, შენი სარგებლობა“,** — წერს ნიკო ნიკოლაძე, რომელმაც ფასდაუდებელი სამსახური გაუწია მშობელ ქვეყანას საქმით და მხოლოდ საქმით და არა საპროტესტო აქციებითა და სხვათა ჯიბრში დგომით, თუმცა უთანხმოება და აზრთა სხვადასხვაობა არც მაშინ იყო უცხო ხილი. გავიხსენოთ თუნდაც ილიასა და ნიკოლაძის უთანხმოება საადგილმამულო ბანკის თაობაზე, რომელსაც საქმისთვის არ უვნია და მათი დავა-კამათი პიროვნულ შეურაცხყოფაში არ გადაზრდილა. რატომ? იმიტომ, რომ ერთსაც და მეორესაც მიაჩნდათ, **„ქართველობის მიზნები მარტო ზომიერების გზით მიიწევნება, გადაჭარბებული რადიკალიზმი დამღუპველია საქართველოსათვის“** (ნიკო ნიკოლაძე).

**„როგორც ჭკვიანი ირჩევს ტანსაცმელს, მას რა მოერგება და რა მოუხდება, საკუთარი სხეულის აღნაგობის გათვალისწინებით, ასევე უნდა მოიქცეს ერი ამა თუ იმ მოძღვრების არჩევისას. ჯერ ერთი, თუ შეუძლია ის მოძღვრება, რაც მას ჭირდება, მან თვითონვე უნდა შექმნას. მეორეც, თუ ამისთვის ჭკუა-გონება არ ჰყოფნის და აუცილებლად სხვას უნდა დაესესხოს, მაშინ ის უნდა აიღოს, რაც მას უეჭველად გამოადგება, თუმცა ამასაც დიდი გონიერება სჭირდება. თუ ამას ვერ მიხვდა, ისე მოუვა, როგორც იმ ადამიანს, ვინც მოდას აჰყვება, შეუფერებლად მოირთვება, მოიკაზმება და ხალხის თვალში სასაცილო გახდება. ერიც ასევე შეიძლება მასხარა გახდეს კაცობრიობის თვალში“.**

იმ მოვლენების ფონზე, რომლებიც ამ ბოლო ხანს საქართველოში ხდება და კაცმა არ იცის, როდის ვეღირსებით მშვიდ ცხოვრებას, ცხადია, კარგად ვერ წარმოგვაჩენს კაცობრიობის თვალში. ეს ის შემთხვევაა, როცა მოყვარეს გული უკვდება, მტერი კი ხარობს. კარგი იქნებოდა, აქაც სახელოვანი წინაპრების ნააზრევი რჩევად მიგველო და შესაბამისად მოვქცეულიყავით:

**„მხოლოდ შინაგანი საქმეების გონივრულად და დამაკმაყოფილებლად მოგვარება უზრუნველყოფს გარედან მოსალოდნელ საშიშროებას და მოგვიტანს საგარეო დიდებას. რა დიდიც არ უნდა იყოს ჩვენი გამარჯვებები, მათი დიდება კვამლივით გაიფანტება, თუკი ჩვენ ჩვენს საკუთარ სახლში არ დავაკმაყოფილებთ აუცილებელ მოთხოვნებს, თუკი ხელს მივყოფთ საკუთარი ინტერესების სისტემატურ იგნორირებას, შევუქმნით ჩვენ თავს მრავალ ხელოვნურ სიძნელეს, მაშინ ეს გარემოება ადრე თუ გვიან სამხედრო წარმატებებზეც კი უდაოდ დამასუსტებელ გავლენას იქონიებს“.**



> **«ჩვენი ქვეყნის გონებრივი ზრდისათვის დიდი უბედურებაა ის გარემოება, რომ დედის ძუძუთი კი არ ვიკვებებით, არამედ ცხრა მთას გადაღმიდან მოყვანილ ძიძას ვაბარივართ. ისიც ხშირად თხის რძეს გვაწოვებს და არა ადამიანისას. უცხოელი ძიძა, რაგინდ სალი იყოს, შენს დედაენას ვერ გასწავლის, შენი ქვეყნის ბუნებასა და საჭიროებას ვერ გაგაცნობს»**





> **«ქართველობის მიზნები მარტო ზომიერების გზით მიიწევნება, გადაჭარბებული რადიკალიზმი დამღუპველია საქართველოსათვის»**
> **(ნიკო ნიკოლაძე)**

რაკი ამჯერად ნიკო ნიკოლაძის შეხედულებებზე გავამახვილეთ ყურადღება, აქვე ისიც უნდა აღვნიშნოთ, როგორი იყო მისი და მისი თანამებრძოლების დამოკიდებულება „ევროპული წესის“ მიმართ:

**„ევროპული წესის თვისება ის არის, რომ ყოველი თაობა განძად სთვლის წინაპრებისაგან გადმოცემულ სიმართლეს და საუნჯეს და ზედ თვითონაც ბევრს ამატებს, ართავს, აშენებს. აზიაში და ჩვენთანაც, სადაც ყველას დედააზრი ის არის, რომ „მე ვარ და სხვა არავინო“, ყოველი ახალი თაობა ყოვლად უაზრო, უზრდელი, უტრადიციო, უეცრად სპობს და ლეწს წინანდელი თაობის ნაშრომს“.**

დღეს ევროპული წესის ხსენებაზე უპირველესად ის „ლიბერალური ფასეულობები“ წამოტივტივდება გონებაში, რომლებსაც ის ევროპა, რომელზეც ზემომოყვანილ სიტყვებს ამბობს ნიკო ნიკოლაძე, უკუაგდებდა, არ მიიღებდა და არ გაიზიარებდა. **დღეს კი ბებერი ევროპა „ყოვლად უაზრო, უზრდელი, უტრადიციო“ ლიბერალების წყალობით „სპობს და ლეწს წინანდელი თაობის ნაშრომს“ და ჩვენს ჩათრევასაც ცდილობს. სამწუხაროდ, სწორედ საქართველომ და მისმა მსგავსმა ქვეყნებმა მიაჩვიეს დასავლეთი, მისი სურვილის შესაბამისად შეიცვალოს სახელმწიფოს მეთაურები, ქვეყნის საშინაო თუ საგარეო კურსი, სტრატეგია და განვითარება, კანონმდებლობა და, საერთოდ, ყველაფერი. დროა, თავი დავაღწიოთ ამ მარწუხებს, მაგრამ როგორ? აი როგორ:**

**„გონიერი კაცი და ერი თავისუფლებას თუ ავტონომიას მით იძენს, რომ ანგარიშიანი მართვით ჯერ თავის შინაურ, მერე სამრეწველო, შემდეგ საზოგადო, ბოლოს პოლიტიკური საქმეებს“ აგვარებს.** როდის გვეყოლება ისეთი ხელისუფლება, რომელიც ამ სიბრძნეს გაითავისებს და სახელოვანი წინაპრების საქმეს ღირსეულად გააგრძელებს? როდის გვეყოლება ისეთი ხელისუფლება, რომელიც მიხვდება, რომ, რაც მას სჭირდება, თვითონ უნდა შექმნას, მაგრამ, თუ საამისოდ ჭკუა-გონება არ ეყოფა, იმდენი მაინც უნდა მოახერხოს, რომ სხვისგან ის გადმოიღოს, რაც მას უეჭველად გამოადგება?

სულიერება

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**წმიდა იოანეს ცხოვრებიდან ნათელია, თუ როგორ იტანჯა მან სიმართლისათვის და სიცოცხლე დაასრულა არა დედაქალაქში, სადაც ის ეკლესიის წინამძღოლი იყო, არამედ დევნილობაში, მაგრამ მისი გული ტანჯვამ ვერ გააბოროტა; ამას მოწმობს მისი უკანასკნელი სიტყვები, რომლითაც იგი ღმერთს ემადლიერება: „დიდება ღმერთს ყველაფრისათვის!“**

# წმიდა იოანე ოქროპირი: მადლობა ღმერთს ჭირისთვისაც და სიხარულისთვისაც!

**ეკლესიებში მთელი წლის მანძილზე ტარდება წირვა, რომლის წესი იოანე ოქროპირმა შეადგინა. ამისათვის ყოველთვის მისი მადლიერნი უნდა ვიყოთ, რადგან არ არსებობს წირვაზე აღმატებული მსახურება.**

**არსებობენ მორწმუნეები, რომლებიც თავიანთი სულიერი ცხოვრების მიმართ უყურადღებონი არიან: მათ ეზარებათ ეკლესიაში ყოველ კვირა სიარული, როგორც ეს ღმერთმა დაგვიწესა, მაგრამ აღდგომას ასეთი ხალხიც კი მიდის ეკლესიაში, სადაც მათ ესმით ოქროპირის სიტყვები:**

**„რომელნი ხართ კეთილმსახურნი და ღმრთისმოყუარენი, იშუებდით კეთილსა ამას და ბრწყინვალესა კრებასა!“ — ამ სიტყვებით წმინდა იოანე ყველას უხმობს: მდიდრებსა და ღარიბებს, გულმოდგინეებსა და ზარმაცებს, მმარხველებსა და არამმარხველებს, რათა ისინი თავიანთი უფლის სიხარულს შეუერთდნენ. „დღეს ტაბლა სავსე არს, იშუებდით ყოველნი!“ – ეს სიტყვები აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს დიდ სიხარულს ჰმატებს.**

**ერთმა დედაკაცმა, წმიდა იოანეს ქადაგებით აღტაცებულმა, უწოდა მას ოქროპირი. ასე და ამგვარად, ამ უბრალო ქალის სიტყვა საუკუნოდ შეერთდა ეკლესიის უდიდესი მასწავლებლის სახელს.**




იოანე ოქროპირი, აია სოფიას ბიზანტიური მოზაიკა



წმიდა იოანე ოქროპირის სარკოფაგი

ზოგჯერ ისე ხდება, რომ ვინმეს მრავალი ტანჯვის ატანა უწევს უსამართლოდ, ნუგეშს სიკვდილამდე ვერაფერში ხედავს და მაშინ მას აგონდება იოანე ოქროპირის სიტყვები: „დიდება შენდა ღმერთო ყოველივესთვის!“

წმიდა იოანეს ცხოვრებიდან ნათელია, თუ როგორ იტანჯა მან სიმართლისათვის და სიცოცხლე დაასრულა არა დედაქალაქში, სადაც ის ეკლესიის წინამძღოლი იყო, არამედ დევნილობაში, მაგრამ მისი გული ტანჯვამ ვერ გააბოროტა; ამას მოწმობს მისი უკანასკნელი სიტყვები, რომლითაც იგი ღმერთს ემადლიერება: **„დიდება ღმერთს ყველაფრისათვის!“**

იოანეს ბავშვობაში დედა ზრდიდა, სახელად ანთუსა, რომელიც 20 წლისა დაქვრივდა. ანთუსა ცივ ნიავს არ აკარებდა თავის ერთადერთ ვაჟიშვილს და ისე უყვარდა, რომ მეორედ გათხოვება არ ისურვა (თუმცა ახალგაზრდა და მდიდარი იყო) და თავი მთლიანად შვილის აღზრდას მიუძღვნა. ქრისტიანული ცხოვრების პირველი გაკვეთილები იოანემ მშობლიურ სახლში მიიღო. შემდეგ, როცა წამოიზარდა, დედამ მეცნიერებების სრულყოფილი შესწავლისათვის ცნობილ ორატორთან, ლიბანიოსთან, გაგზავნა ათენში. იქ იოანემ არ იცოდა სხვა გზა, გარდა ეკლესიისა და თავისი მასწავლებლისა. მალე მან ბრწყინვალე წარმატებებს მიაღწია მეცნიერებასა და მჭევრმეტყველებაში და ლიბანიოსმა აღიარა, რომ მოწაფემ თავის მასწავლებელს გადააჭარბა.

მშობლიურ ანტიოქიაში დაბრუნებული იოანე ადვოკატი გახდა. თავისი განათლებით, მჭევრმეტყველებითა და ნათელი გონებით მას მაღალი თანამდებობისთვის იოლად უნდა მიეღწია. თავიდან მას წარმატება და დიდება ახარებდა და იზიდავდა, მაგრამ ბავშვობაში ჩადებულმა კეთილმა თესლმა და დედის ლოცვებმა იოანე საერო ცხოვრებას განაშორა. სულ მალე მან სამოქალაქო სამსახური მიატოვა და მარხვითა და ლოცვით ღვაწლში დაიწყო ცხოვრება. იგი უდაბნოში გასვლისაგან მხოლოდ დედის თხოვნამ შეაჩერა. როცა ანთუსა გარდაიცვალა, იოანემ თავისი ქონება დაარიგა, მონები გაუშვა და უდაბნოს სავანეში განდეგილებთან წავიდა. იქ იგი ისეთ მკაცრ ღვაწლში იყო, რომ ისედაც სუსტი ჯანმრთელობა შეერყა, ავად გახდა და ანტიოქიაში დაბრუნება მოუხდა. აქ ეპისკოპოსმა მელეტიმ, რომელმაც კეთილმსახურებისაკენ იოანეს მიდრეკილება ადრევე შენიშნა, მას სადიაკვნოდ მომზადება უბრძანა. ხელდასხმის დროს იოანეს ავადმყოფობამ გაუარა. ეს მან მიიღო ღვთის მინიშნებად იმაზე, რომ თავი მთლიანად ეკლესიის სამსახურისათვის უნდა მიეძღვნა.

ხუთი წლის შემდეგ იოანე მღვდლად აკურთხეს და მქადაგებლად დანიშნეს. ამ დროიდან იწყება წმინდა იოანეს მქადაგებლური მოღვაწეობა. ყოველ კვირა დღეს, ხან კვირაში ორჯერაც, ის ღვთის სიტყვას ქადაგებდა. მის მოსასმენად ხალხი იკრიბებოდა – თანაც არა მხოლოდ ქრისტიანები, არამედ იუდეველებიც. თავიდან ცნობისმოყვარეობის გამო მოდიოდნენ, უნდოდათ, ახალი მქადაგებლისათვის მოესმინათ, მაგრამ იოანეს მხურვალე სიტყვით გულის სიღრმემდე შეძრულნი, თავიანთ ცოდვებს იქვე ინანიებდნენ და თავიანთ ცხოვრებას ძირეულად ცვლიდნენ. დროდადრო, როცა იოანეს სიტყვა განსაკუთრებულად მოსწონდათ, სიტყვას ტაშითა და ხმამაღალი შეძახილებით აწყვეტინებდნენ, მაგრამ თვით იოანეს ეს არ მოსწონდა.

**„რად მინდა თქვენი შექება,** — ამბობდა იგი, — **მაშინ ვიქნები შექებული, როცა თქვენს ცხოვრებას გამოასწორებთ და ღვთისაკენ მოიქცევით!“ ოქროპირის დიდება მთელ აღმოსავლეთში გავრცელდა და მალე საბერძნეთის იმპერიის დედაქალაქ კონსტანტინოპოლს მიაღწია. როგორც კი იქ დედაქალაქის მთავარეპისკოპოსის კათედრა გათავისუფლდა, იმპერატორმა, სამღვდელოებამ და ხალხმა ერთსულოვნად გადაწყვიტეს, ამ ადგილზე იოანე ოქროპირი აერჩიათ.**

როგორ უნდა წაერთმიათ ანტიოქიელებისთვის მათი საყვარელი მწყემსი ისე, რომ მათი აღშფოთება და დრტვინვა არ გამოეწვიათ? გადაწყდა, ხერხისთვის მიემართათ. იმპერატორის მოხელემ, რომელსაც ეს საქმე ევალებოდა, იოანე საიდუმლოდ ქალაქგარეთ იხმო. წმინდა მამას ეჭვი არაფერზე აუღია და შესახვედრად წავიდა. ქალაქგარეთ იგი შეიპყრეს და სამეფო ქალაქში წაიყვანეს. ასე აკურთხეს იოანე ოქროპირი ახალი რომის მთავარეპისკოპოსად.

კონსტანტინოპოლის ეკლესიისათვის ახალი ცხოვრების განთიადი დადგა. იოანე ხალხს ლოცვისათვის უხმობდა და ყველანაირად ცდილობდა, ღვთისმსახურება მთელი თავისი სილამაზით აღედგინა; განსაკუთრებულ ყურადღებას იგი გალობას უთმობდა. **„არაფერი ისე არ აღამაღლებს სულს, არაფერი ისე არ წყვეტს მას მიწას, არაფერი ისე არ განაწყობს მას წმინდა სიყვარულისათვის, როგორც წმინდა გალობა...** — წერდა იგი. — **სულიერი გალობა წყაროა განწმენდისა; მისი სიტყვები ასუფთავებენ სულს და სული წმიდა გარდამოდის მგალობელთა სულებზე...“.** ის ყველას მოუწოდებდა, რაც შეიძლება ხშირად ყოფილიყვნენ ეკლესიაში, სადაც ადამიანი თავისი ნების მიუხედავადაც კი უკეთესობისკენ იცვლება.

იოანე ამბობდა: **„როცა ადამიანი ეკლესიიდან გამოდის, არავის ასწავლის, არავის უქადაგებს, მაგრამ სახის სიმშვიდე, გამოხედვა და თვით ხმა აჩვენებს, თუ რა სიხარული განიცადა, როგორი მადლი მიიღო თავის სულში. ჩვენ ეკლესიიდან ისე უნდა გამოვიდეთ, როგორც ხელდასხმულნი გამოდიან საკურთხევლიდან, რათა ჩვენი შეხედვით შეიგრძნონ, რა მადლი მიგვაქვს აქედან“.**

მართლაც, ხალხი ეკლესიისაკენ დაიძრა, ხოლო აღტაცებული სიყვარული, რომლის აღძვრაც იოანემ ანტიოქიაში შეძლო, მის ახალ სამწყსოშიც აღეგზნო. ამ წმინდა მამას არა მხოლოდ მეგობრები, მტრებიც გაუჩნდნენ — ისინი, ვისაც არქიეპისკოპოსის ადგილის დაკავების იმედი გაუცრუვდათ, და ისინი, ვისთვისაც იოანეს მართალი ცხოვრება გამუდმებული მხილება იყო; განსაკუთრებულად კი ისინი, ვის თავგასულობასა და მანკიერებებსაც წმიდა იოანე თავის ქადაგებებში ამხელდა.

მტრებმა დედოფალს ამბავი მიუტანეს, რომ იოანე თავს უფლებას აძლევს, პირადად მის უდიდებულესობაზე მიანიშნოს, როცა მაღალ საზოგადოებაზე ლაპარაკობს. ეს საკმარისი გახდა იმისათვის, რომ ამაყი და ძალაუფლებისმოყვარე დედოფალი იოანეზე გამძვინვარებულიყო. მან იმპერატორთან იჩივლა, იმპერატორმა კი გადაწყვიტა, ოქროპირისათვის აეკრძალა განსაკუთრებულად თამამი გამოსვლები. იოანემ უპასუხა: **„მე ეპისკოპოსი ვარ და ყველაზე ზრუნვა მევალება. მე ვერცხლისმოყვარებით შეპყრობილები ვამხილე. თუკი დედოფალი თავისუფალია ამ სულიერი სნეულებისგან, მაშინ ნურაფერზე გაბრაზდება. მე არავის ვასახელებ, მაგრამ ყველას ვასწავლი, რომ ბოროტება არ ჩაიდინონ“.**

ასეთი პასუხით განრისხებულმა დედოფალმა იოანეს მოწინააღმდეგეები დაიახლოვა. მათი მზაკვრობით იოანე გაასამართლეს და იმპერატორის ბრძანებით დედაქალაქიდან გაძევება მიუსაჯეს. ეს სიახლე როცა გამოცხადდა, ხალხი აღელდა. ქალაქებში ავი ხმები დადიოდა. ხალხი არა მხოლოდ იოანეს გაძევებაზე, მის სიკვდილით დასჯაზეც ლაპარაკობდა. ეკლესიები მორწმუნეებით აივსო. ისინი მისთვის ლოცულობდნენ. მოედნებზე ხალხი იმ იმედით იკრიბებოდა, რომ არქიეპისკოპოსს თვალს მოჰკრავდა ან მის ხმას გაიგონებდა.

ხალხის მღელვარების თავიდან ასაცილებლად იოანე იმპერატორის განკარგულებას დაემორჩილა და ღამით ქალაქი დატოვა. იმავე ღამეს კონსტანტინოპოლში ძლიერი მიწისძვრა მოხდა, რყევა განსაკუთრებით ძლიერი იმპერატორის სასახლესთან იყო. შუაღამისას დედოფალი ქმრის საძინებელში შეშინებული და ცრემლიანი შევარდა.

**„ჩვენ მართალი კაცი გავაძევეთ, — იყვირა მან, — ამიტომაც გვსჯის ღმერთი! სასწრაფოდ უნდა დავაბრუნოთ, თუ არადა დავიღუპებით“.** დედოფალმა თავისი ხელით დაწერა წერილი, რომელშიც იოანეს სთხოვდა დაბრუნებას.

იოანეს დაბრუნება ნამდვილი ტრიუმფი იყო. განმანათლებელს ათიათასობით ადამიანი სიხარულის შეძახილებითა და სანთლებით ხელში ხვდებოდა. ის საკათედრო ტაძარში შევიდა და გულის ამაჩუყებელი ქადაგება შემდეგი შესანიშნავი სიტყვებით დაიწყო: **„კურთხეულ არს ღმერთი, რომელმაც განმაშორა! კურთხეულ არს ღმერთი, რომელმაც დამაბრუნა! მადლობა ღმერთს ჭირისთვისაც და სიხარულისთვისაც!“**

გულაჩვილებისა და სიხარულისგან ხალხი ტიროდა, ხარობდა, რომ კვლავ ხედავდა თავის საყვარელ მღვდელმთავარს.

იმ დღიდან წმინდა იოანე ეკლესიაში ყოველდღე ქადაგებდა, მორწმუნეებს ღვთის სიტყვის საიდუმლოს უმჟღავნებდა და, იმპერატორის კარისა და საზოგადოების უმაღლესი წრეებით დაწყებული, ყველას მანკიერებებს ამხელდა. დიდი დრო გავიდა. იოანეს მტრებმა დედოფალს ისევ მიუტანეს ამბავი, რომ ის მის სახელს თავს არ ანებებს. კიდევ უფრო გამძვინვარდა დედოფალი და უწინდელი ღვთისმიერი გაფრთხილება დაავიწყდა. ამჯერად მიაღწია იმას, რომ იოანე შორს, საბერძნეთის იმპერიის უკიდურეს აღმოსავლეთში გადაესახლებინათ.

გზა ხანგრძლივი, დამქანცველი და მტანჯველი იყო; ავადმყოფ განმანათლებელს უვარგის გზაზე, ავდარში და მცხუნვარე მზის ქვეშ უწევდა მოგზაურობა. ყველაფერი თითქოს საგანგებოდ იყო მოწყობილი, რომ დევნილისთვის მეტი ტანჯვა მიეყენებინათ. 70-დღიანი მგზავრობის შემდეგ იოანემ და მისმა მხლებლებმა სომხეთის მთებში სოფელ კუკუზას მიაღწიეს, სადაც მისი ყოფნა იყო ნაბრძანები. აქ, მიყრუებულ სოფელში, ველურ მთიან ქვეყანაში წმიდა იოანეს იმდენი გულითადობა და სიხარული დახვდა, რომ მისმა დაქანცულმა გულმა შვება იგრძნო. ადგილობრივმა ეპისკოპოსმა და მაცხოვრებლებმა ყველაფერი გააკეთეს იმისათვის, რომ დიდებული ტანჯულისთვის მდგომარეობა შეემსუბუქებინათ.

მომდევნო სამი წლის მანძილზე, უკიდურესი აკრძალვებისა და შეუძლოდ ყოფნის პირობებში იოანე დაუღალავად იღვწოდა წმინდა ეკლესიის საკეთილდღეოდ. მას აღმოსავლეთისა და დასავლეთის ბევრ ეპისკოპოსთან ჰქონდა მიმოწერა, მრავალ მომსვლელს ესაუბრებოდა. ისინი კონსტანტინოპოლიდანაც კი მოდიოდნენ. ამ ამბავმა დედოფლის ყურამდე მიაღწია და მან გამოსცა განკარგულება — იგი უფრო შორს, შავი ზღვისაკენ გადაესახლებინათ.

წმინდა იოანე თანმხლებებთან ერთად კვლავ გზას დაადგა და, როცა ხანგრძლივი მოგზაურობის შემდეგ ქალაქ კომანს მიაღწიეს, გაჩერდნენ. ისედაც ავადმყოფი განმანათლებელი მგზავრობისაგან უკიდურესად დაუძლურდა. ყველასათვის ნათელი იყო, რომ მისი ცხოვრების უკანასკნელი დღეები იწურებოდა. კომანში მისი ბოლო სურვილი აღასრულეს: იგი ნათლისღების თეთრი სამოსით შემოსეს. იოანე ეზიარა და გარდაიცვალა. მისი უკანასკნელი სიტყვები იყო: „დიდება შენდა ღმერთო ყოველივესთვის!“

30 წლის შემდეგ პატრიარქმა პროკლემ დაარწმუნა იმპერატორი თეოდოსი უმცროსი, რომ იოანე ოქროპირის წმინდა ნაწილები კონსტანტინოპოლში გადაესვენებინა. ეს დიდი ზარ-ზეიმით შესრულდა: იმპერატორი პირადად გაემართა ქალაქგარეთ წმინდა ნაწილების შესახვედრად. იგი მიწაზე დაემხო და განმანათლებელს ტყუილუბრალოდ მიყენებული ტანჯვის გამო თავისი მშობლებისათვის პატიებას ევედრებოდა.

კონსტანტინოპოლის მთელი ყურე უთვალავი ნავით დაიფარა — ხალხი ეკლესიის დიდ განმანათლებელს მოწიწებითა და სიყვარულით ეგებებოდა.

მისი ხსენების დღედ დაწესებულია 26 ნოემბერი (ახალი სტილით).

**მომზადდა martlmadidebloba.ge-ს მიხედვით**

ყველაზე ყველაზე...
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**საქართველოს უძველესი სასწავლებელი, კოლხეთის უმაღლესი რიტორიკული სკოლა — ფაზისის აკადემია III-VI საუკუნეებში ფუნქციობდა, იყალთოს აკადემია კი — XI-XIII საუკუნეებში.**


იყალთოს აკადემია

# 10 საინტერესო ფაქტი განათლების შესახებ



**ადამიანებმა დიდი ხნის წინათ გაათვითცნობიერეს, რა დიდი მნიშვნელობა აქვს განათლებას. მის გარეშე შეუძლებელია საზოგადოების არსებობა და განვითარება. კარგი განათლება სახელმწიფოსგან მნიშვნელოვან ფინანსურ დანახარჯებს მოითხოვს. დაწყებით და საშუალო განათლებაზე ყველაზე მეტ თანხას ხარჯავს კუბა, ყველაზე ნაკლებს — სომალი და ამიტომ გასაკვირი არ არის, რომ სომალიში მოსახლეობის 76% გაუნათლებელია. გაეცანით 10 ყველაზე გასაოცარ ფაქტს განათლების შესახებ.**



## ყველაზე ძველი უმაღლესი სასწავლებელი

დღეს ბევრი მიიჩნევს, რომ ამჟამად მოქმედ უმაღლეს სასწავლებლებს შორის ყველაზე ძველი ოქსფორდის, კემბრიჯის თუ სორბონის უნივერსიტეტია. მაგრამ ეს შეცდომაა. ყველაზე ძველი უმაღლესი სასწავლებელია მაროკოული უნივერსიტეტი **ალ-კარაუინი**, რომელშიც ჯერ კიდევ 859 წელს სწავლობდნენ პირველი სტუდენტები.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს უძველესი სასწავლებელი, კოლხეთის უმაღლესი რიტორიკული სკოლა — ფაზისის აკადემია III-VI საუკუნეებში ფუნქციობდა, იყალთოს აკადემია კი — XI-XIII საუკუნეებში.



## 90 წლის ქალმა დოქტორის ხარისხი დაიცვა

სწავლა სიბერემდეო — ეს დაადასტურა ამერიკელმა ელისაბედ ეიჩელბაუმმა. მან 90 წლის იუბილის აღნიშვნის შემდეგ მეცნიერებათა დოქტორის ხარისხი მოიპოვა.



## მარადი სტუდენტი

ნამდვილ „მარად სტუდენტად“ იქცა ბრიტანელი **რობერტ კრონინი.** 1948 წელს ის პრინსტონის უნივერსიტეტის ბიოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტი გახდა. ამ სასწავლებლის დამთავრების დიპლომი მან 52 წლის შემდეგ, 2000 წელს მიიღო, როცა 72 წლის იყო.



## ყველაზე პოპულარული სკოლა

ინდოეთის ქალაქ ლაკჰნაუში არის სკოლა, რომელიც ე.წ. მინტესორის სისტემით მუშაობს. ეს სისტემა დიდი პოპულარობით სარგებლობს. რამდენიმე წლის წინათ ამ სკოლაში სწავლის სურვილი 28 ათასმა მოსწავლემ გამოთქვა.




## ერთგული კლასელები

განსაკუთრებული ერთგულება გამოავლინეს ჩეროკის საგრაფოს (ჯორჯიის შტატი, აშშ) ერთ-ერთი სკოლის ყოფილმა მოსწავლეებმა, რომლებმაც სკოლა 1929 წელს დაამთავრეს. ყველაფრის მიუხედავად, ისინი ყოველწლიურად იკრიბებოდნენ, ბოლოს სკოლის დამთავრებიდან 74 წლის შემდეგ შეიკრიბნენ.



## შეხვედრა 70 წლის შემდეგ

ბევრ ადამიანს არ სურს შეხვედრა მასთან, ვისთანაც ერთ მერხზე იჯდა. მაგალითად, მის ბლანშ მილერის სკოლის ყოფილმა მოსწავლეებმა ერთმანეთთან შეხვედრა მხოლოდ 70 წლის შემდეგ გადაწყვიტეს. ამ მომენტისთვის ყოფილი მოსწავლეების ნახევარზე მეტი ცოცხალი აღარ იყო.



## 2,5 ათასი ყოფილი მოსწავლე სკოლის 100 წლის იუბილეზე

გერმანიაში სკოლის დაარსების 100 წლის იუბილე ამ სკოლის 2,5 ათასმა ყოფილმა მოსწავლემ ერთდროულად აღნიშნა.



## 77,5 ათასი გირვანქა სტერლინგი სწავლის ერთთვიან კურსში

აივორ სპენსერის სკოლის (ლონდონი) მოსწავლეების მშობლებმა იმისათვის, რომ შვილები გაიზარდონ როგორც ნამდვილი ლედები და ჯენტლმენები, უნდა გადაიხადონ არანაკლებ 77,5 ათასი გირვანქა სტერლინგისა. სწავლა კი სულ ერთ თვეს გრძელდება. ამ ხნის განმავლობაში მოსწავლეები ცხოვრობენ ძალიან პრესტიჟულ სასტუმროში, სწავლობენ ეტიკეტს და დადიან თეატრებში.

## ყველაზე ხანგრძლივი ლექცია

2003 წელს ავსტრალიის სკოლა ლეიდლიში პროფესორმა **მარი ბაროუზმა** ჩაატარა ლექცია ბიოლოგიაში, რომელიც 51 საათს გაგრძელდა. ლექციის მოსასმენად 26 ადამიანი მივიდა.





## 3 მლნ დოლარი ერთ ლექციაში

ამერიკელმა მეცნიერი, ჰიპნოთერაპევტი როლანდ დანტი 1986 წელს 2 დღის განმავლობაში კითხულობდა ლექციების კურსს. ამისთვის მან რეკორდული ჰონორარი მიიღო — 3 მლნ დოლარი.

მოამზადა **ნიკა კორინთელმა**

**1963 წელი წარმატებული აღმოჩნდა იაშინისთვის: სსრკ-ის ჩემპიონატის 27 მატჩში მხოლოდ 6 ბურთი გაუშვა. წლის ბოლოს კი მონაწილეობდა „საუკუნის მატჩში“, რომელიც ლონდონში, „უემბლიზე“ გაიმართა მსოფლიოს სიმბოლურ ნაკრებსა და ინგლისის ეროვნულ გუნდს შორის.**

სპორტი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ერთადერთი მეკარე, რომელმაც «ოქროს ბურთი» დაიმსახურა

**ლეგენდარული საბჭოელი (რუსი) ფეხბურთელი ლევ იაშინი 1929 წლის 22 ოქტომბერს დაიბადა მოსკოვში. ის პირველი საბჭოელი ფეხბურთელია, რომელმაც ყველაზე პრესტიჟული ჯილდო „ოქროს ბურთი“ დაიმსახურა და დღემდე ამ საპატიო ჯილდოს მფლობელი ერთადერთი გოლკიპერია.**







## ბავშვობა და სიჭაბუკე

**ლევ იაშინი** მოსკოვში დაიბადა 1929 წლის 22 ოქტომბერს მამა **პეტრე იაშინი** ქარხანაში ზეინკლად მუშაობდა, დედა **ალექსანდრაც** იმავე ქარხნის თანამშრომელი იყო. პირველი საფეხბურთო გაკვეთილები ბიჭმა თავისი სახლის ეზოში მიიღო. ლევ იაშინი 11 წლის იყო, როდესაც დიდი სამამულო ომი დაიწყო. ოჯახთან ერთად ის ულინოვსკში გადავიდა და უფროსებს ეხმარებოდა, როგორც მტვირთავი. მალე მიიღო ზეინკლის კვალიფიკაცია და დაიწყო სამხედრო მოწყობილობების დამზადება. ომის შემდეგ იაშინი მოსკოვში დაბრუნდა და ქარხანაში დაიწყო მუშაობა, საღამოობით კი ტუშნოში (მოსკოვის რაიონი) მოყვარულთა საფეხბურთო კლუბ „კრასნი ოქტიაბრის“ შემადგენლობაში თამაშობდა. ცოტა ხნის შემდეგ ის მოსკოვის „დინამოს“ ახალგაზრდულ გუნდში აიყვანეს მეკარედ.

## კარიერა

იაშინი მხოლოდ მოსკოვის „დინამოს“ მაისურით გამოდიოდა და ამ კლუბის შემადგენლობაში 22 წლის განმავლობაში ითამაშა. ის ჰოკეისაც შესანიშნავად თამაშობდა. 1953 წელს საბჭოთა კავშირის ჩემპიონიც კი გახდა და ქვეყნის ნაკრებშიც მიიწვიეს, მაგრამ საბოლოოდ ფეხბურთი აირჩია.

ლევ იაშინმა საბჭოთა მეკარეებს შორის პირველმა დაიწყო ფეხით ბურთის გადაცემა, ბურთის დაჭერის ნაცვლად მისი მოგერიება. ამაში მას ეხმარებოდა სიმაღლეც (189 სმ) და გრძელი ხელებიც. ლევ იაშინს მოქნილობისთვის, სწრაფად გადაადგილებისა და სწორი პოზიციის შერჩევისთვის „შავი ობობა“ შეარქვეს (შავი იმიტომ, რომ ყოველთვის მუქი ფერის მაისურებს იცვამდა. სინამდვილეში მისი მაისური არა შავი, არამედ მუქი ლურჯი იყო).

1956 წელს საბჭოთა კავშირის ნაკრების შემადგენლობაში მელბურნის ოლიმპიურ თამაშებში გამარჯვების შემდეგ, 1960 წელს ლევ იაშინმა მოიგო ევროპის პირველი ჩემპიონატიც (ამ გამარჯვებაში დიდი წვლილი შეიტანეს ქართველმა ფეხბურთელებმა — მიხეილ მესხმა, სლავა მეტრეველმა და გივი ჩოხელმა).

**ლევ იაშინი 6-ჯერ იყო „ოქროს ბურთის“ პრეტენდენტთა სიაში. 1960 წელს, როცა სსრკ-ის ნაკრებმა ჩემპიონის ტიტული მოიპოვა, „ოქროს ბურთი“ კატალონიის „ბარსელონას“ ფეხბურთელ ლუის სუარესს გადასცეს — ურუგვაელი ფორვარდის სეხნიას, იაშინმა მე-5 ადგილი დაიკავა, 1961 წელს კი — მეოთხე.**

1963 წელი წარმატებული აღმოჩნდა იაშინისთვის: სსრკ-ის ჩემპიონატის 27 მატჩში მხოლოდ 6 ბურთი გაუშვა. წლის ბოლოს კი მონაწილეობდა „საუკუნის მატჩში“, რომელიც ლონდონში, „უემბლიზე“ გაიმართა მსოფლიოს სიმბოლურ ნაკრებსა და ინგლისის ეროვნულ გუნდს შორის. „უემბლიზე“ გამართული მატჩი მიეძღვნა ინგლისის საფეხბურთო ასოციაციის დაფუძნების 100 წლისთავს, ე.ი., ფეხბურთის დაბადების 100 წლისთავს. ეს იყო ფეხბურთის შემქმნელებისა და მათი მიმდევრების შეხვედრა. გაიყიდა მატჩზე დასასწრები 100 ათასი ბილეთი. ლევ იაშინი მსოფლიოს სიმბოლურ ნაკრებში აღმოჩნდა ისეთი ვარსკვლავების გვერდით, როგორებიც იყვნენ ესპანელები — **ჰენტო** (ჩემპიონთა თასის ექვსგზის გამარჯვებული) და **ალფრედო სტეფანო** (ჩემპიონთა თასის 5-გზის გამარჯვებული), პორტუგალიელი **ეუსებიო** ჩემპიონთა თასის გამარჯვებული — 1962 წ.), ფრანგი **როაიმონ კოპა** (1958 წლის „ოქროს ბურთის“ მფლობელი) და უნგრული წარმოშობის ესპანელი **ფერენც პუშკაში.**

მატჩი დამთავრდა ინგლისელთა გამარჯვებით 2:1. ლევ იაშინს, რომელიც მეორე ტაიმში შეცვალეს, ამ მატჩში ბურთი არ გაუშვია. მატჩის საუკეთესო მოთამაშეებად იაშინი და **გრივსი** დაასახელეს. ბევრ ინგლისელს მიაჩნდა, რომ 1963 წელს „ოქროს ბურთი“ ინგლისელ **გორდან ბენქსს** ეკუთვნოდა, მაგრამ თვითონ შესანიშნავმა ინგლისელმა მეკარემ განაცხადა: იაშინი „სამაგალითი იქნება ყველა მეკარისთვის“-ო.

ალსანიშნავია, რომ ფიფამ „საუკუნის მატჩში“ მონაწილეობისთვის თბილისის „დინამოს“ ლეგენდარული თავდამსხმელი **მიხეილ მესხი** მიიწვია, მაგრამ სსრკ-ის ფეხბურთის ფედერაციამ ფიფას აცნობა, რომ „მესხი საუკეთესო ფორმაში არ იმყოფებოდა“ და მის ნაცვლად შეეძლოთ, ლევ იაშინი გაეგზავნათ.

„საუკუნის მატჩის“ შემდეგ, 1963 წლის 10 ნოემბერს ლევ იაშინმა რომში გამართულ ევროპის 1964 წლის შესარჩევი ტურნირის საპასუხო მატჩშიც გაიბრწყინა, როცა **მაცოლას** პენალტი აუღო და იტალიელები გათამაშებიდან გამოთიშა (პირველი მატჩი, რომელშიც სსრკ-ის ნაკრების კარს რამაზ ურუშაძე იცავდა, საბჭოელებმა 2:0 მოიგეს).

1963 წელს სწორედ ამ ორ მატჩში ბრწყინვალე თამაშმა განაპირობა პრესტიჟული ჯილდოს „ოქროს ბურთის“ ლევ იაშინისთვის გადაცემა.

„ფრანს ფუტბოლის“ გამოკითხვაში 21 ჟურნალისტი მონაწილეობდა, მათგან 11-მა პირველ ადგილზე იაშინი დაასახელა, 5-მა — მეორეზე, 1-მა — მესამეზე, დანარჩენებმა სამეულში არ შეიყვანეს.

ლევ იაშინმა გამოსათხოვარი მატჩი 1971 წლის 27 მაისს ჩაატარა — ეს იყო მატჩი მსოფლიოს ვარსკვლავების ნაკრებსა და სხვადასხვა ქალაქის „დინამოს“ ფეხბურთელთა ნაკრებს შორის. მატჩში მონაწილეობდნენ: ინგლისელი **ბობი ჩარლტონი,** გერმანელი **გერდ მიულერი** და სხვა გამოჩენილი ფეხბურთელები.

კარიერის დასრულების შემდეგ ლევ იაშინი მწვრთნელად მუშაობდა ბავშვებისა და ახალგაზრდების გუნდებთან.

ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციისა და მასმედიის წარმომადგენელთა აღიარებით, ლევ იაშინი XX საუკუნის საუკეთესო მეკარედ ითვლება და შესულია სპორტის ისტორიაში საუკეთესო ფეხბურთელთა სიაში.

## პირადი ცხოვრება

ლევ იაშინი დაქორწინებული იყო ვალენტინა იაშინზე. ჰყავს ორი ქალიშვილი — ნადეჟდა და ელენე. სახელგანთქმული მეკარე 1990 წლის 18 მარტს გარდაიცვალა. მისი ხსოვნის პატივსაცემად დადგმულია უამრავი ქანდაკება და მონუმენტი, ხოლო ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციამ მსოფლიო ჩემპიონატის ფინალური ეტაპის საუკეთესო მეკარისთვის ლევ იაშინის სახელობის პრიზი დააწესა.

**მოამზადა
ნიკა კორინთელმა**



საბჭოთა კავშირის ნაკრები 1960 წლის ევროპის თასის მფლობელი





**ლევ იაშინის მიღწევები:**

* სსრკ-ის თასის მფლობელი მოსკოვის „დინამოს“ შემადგენლობაში 1953, 1967, 1970 წლებში;
* სსრკ-ის ჩემპიონი მოსკოვის „დინამოს“ შემადგენლობაში — 1954, 1955, 1957, 1959, 1963 წ.;
* ოლიმპიური ჩემპიონი სსრკ-ის ნაკრების შემადგენლობაში — 1956 წ.
* ევროპის ჩემპიონი სსრკ-ის ნაკრების შემადგენლობაში — 1960 წ;
* სსრკ-ის საუკეთესო მეკარე — 1960, 1963, 1966 წ;
* ევროპის საუკეთესო ფეხბურთელი „ფრანს ფუტბოლის“ ვერსიით — „ოქროს ბურთის“ მფლობელი.

# 96 წლისა გარდაიცვალა დიდი სამამულო ომის ვეტერანი შოთა ბუაძე

**„გემშვიდობები, ჩემო სამშობლოვ. შესაძლოა, ველარ დავბრუნდე, მაგრამ პირობას ვდებ, რომ ამ მიწაზე ფაშისტები ვერ შემოვლენ“, — ასე დაემშვიდობა ოჯახსა და სამშობლოს პირტიტველა ახალგაზრდა, როდესაც დიდ სამამულო ომში გაიწვიეს.**

„ყველაფერი მახსოვს ან რა დამავიწყებს ომის ქარცეცხლს?! 1942 წელს საშუალო სკოლა დავასრულე, იმავე წელს გამიწვიეს ჯარში. სოჭთან ახლოს, ლაზარევსკაიაში აღმოვჩნდი. საზენიტო არტილერიაში მოვხვდი, აეროდრომს ვიცავდით. დიდი, ძალიან დიდი ბრძოლები იყო. გერმანელები ყოველ წუთს, ყოველ წამს გვესხმოდნენ თავს თვითმფრინავებით. რამდენიმე თვეს დავრჩით იქ, შემდეგ კრასნოდარში გადავედით, რადგან ის ერთ-ერთი საკვანძო სარკინიგზო ადგილი იყო. იქიდან მარაგდებოდა კავკასიის ფრონტი საკვებით, იარაღით. კრასნოდარი გერმანელების თავდასხმის ობიექტი იყო. ასე რომ, მძიმე ბრძოლები გადავიტანეთ, ისეთი მძიმე ვითარება იყო, მიწურების გათხრასაც ვერ ვასწრებდით.



როდესაც ფრონტმა სხვა მიმართულებით გადაინაცვლა, ჩვენი ბატალიონი უკრაინაში მე-20 სატანკო კორპუსს შეუერთდა. უკრაინაში დავრჩით ომის დასრულებამდე.

ყველაზე მძიმე წუთები კრასნოდარში გადავიტანე, ფრონტის ხაზზე ისე მოვხვდი, იარაღი ხელში არასოდეს მჭერია, ასე ვთქვათ, პირტიტველა ბიჭები ვიყავით. მართალია, არტილერია ფრონტის წინა ხაზზე არ მოქმედებს, მაგრამ მტრის მოგერიება ყველასთვის ერთნაირად საშიშია, განსაკუთრებით კბილებამდე შეიარაღებული ფაშისტური გერმანიის თავდასხმისას“, — იხსენებდა ჟურნალისტებთან საუბარში ბატონი შოთა და ცრემლიანი, სიმაყით სავსე თვალებით გვიყურებდა ახალგაზრდა ჟურნალისტებს.

**გაზეთი „საქართველო და მსოფლიო“ ღრმა მწუხარებას გამოთქვამს დიდი სამამულო ომის ვეტარანის, შოთა ბუაძის, გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს, სრულიად საქართველოს.**

# გაეროს გენერალური მდივანი: მიგრაციულ კრიზისში ბელარუსს ბრალი არ მიუძღვის



**ბელარუსის საგარეო საქმეთა მინისტრმა ვლადიმერ მაკეიმ წერილი მისწერა გაეროს გენერალურ მდივან ანტონიუ გუტერეშს ბელარუს-პოლონეთის საზღვარზე შექმნილი ვითარებისა და იმის შესახებ, რა ღონისძიებებს ახორციელებს ბელარუსის ხელისუფლება მიგრაციული კრიზისის მოსაგვარებლად. გუტერეშს წერილი გადასცა გაეროში ბელარუსის მუდმივმა წარმომადგენელმა ვალენტინ რიბაკოვმა.**

წერილში აღნიშნულია, რომ ბელარუსი მხოლოდ სატრანზიტო ქვეყანაა. მიგრაციული კრიზისის შექმნის ნამდვილი მიზეზი კი დასავლეთის სახელმწიფოების მიერ ახლო აღმოსავლეთის ქვეყნების ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის დანგრევაა, აგრეთვე, ის, რომ დასავლეთი ამ ქვეყნებს თავს ახვევს თავის ხედვას „დემოკრატიასა“ და „ადამიანის უფლებებზე“.

ვალენტინ რიბაკოვმა ანტონიუ გუტერეშთან საუბრისას აღნიშნა, რომ მინსკი უზრუნველყოფს ყველა საერთაშორისო ორგანიზაციის დაშვებას მიგრანტებთან, ამიტომ „ნებისმიერი ბრალდება ბელარუსის მიმართ, რომლებიც ახლა ისმის საერთაშორისო ორგანიზაციებთან ურთიერთთანამშრომლობის შესახებ, აშკარა ტყუილია“.

გაეროს გენმდივანთან შეხვედრის შემდეგ რიბაკოვი ჟურნალისტებს შეხვდა და განუცხადა: „ანტონიო გუტერეში დაეთანხმა მოსაზრებას, რომ ბელარუსი არ არის ევროპაში შეღწევის მსურველი ლტოლვილების ნაკადის შექმნის არც წყარო და არც მიზეზი“.

რიბაკოვის თქმით, გაეროს გენერალურმა მდივანმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ მიგრანტები არ აპირებენ ბელარუსში, ლიტვაში ან პოლონეთში დარჩენას და ეს ქვეყნები მათთვის მხოლოდ სატრანზიტო ფუნქციას ასრულებენ. მიგრანტების მიზანი გერმანიაში გადასვლაა.

**fondsk.ru-ზე გამოქვეყნებული მასალის მიხედვით მოამზადა**
**ნიკა კორინთელმა**

# რომელ თემებზე იმსჯელებენ პუტინი და ბაიდენი წლის ბოლოს დაგეგმილ შეხვედრაზე



რუსეთის ფედერაციის პრესმდივანმა ვლადიმერ პუტინისა და ჯო ბაიდენის მოლაპარაკებების თემებზე ილაპარაკა. რუსეთისა და აშშ-ის სახელმწიფო მეთაურების ონლაინშეხვედრა წლის ბოლომდე გაიმართება.

**„ერთ-ერთი თემა უკრაინა იქნება, აგრეთვე, ნატოს შეიარაღებული ძალების პროვოკაციული მოქმედებები ჩვენს საზღვრებთან, რაც ჩვენს შეშფოთებას იწვევს, და მთავარი — იწვევს ადეკვატური ზომების მიღების აუცილებლობას. მაგრამ ამ ზომების მიღებისას ჩვენ ვიმოქმედებთ საკუთარი ტერიტორიიდან“,** — განაცხადა კრემლის წარმომადგენელმა რუსული ტელეკომპანია „პირველი არხის“ ეთერში.

პესკოვმა დააზუსტა, რომ შეხვედრის კონკრეტული თარიღი ჯერჯერობით შეთანხმებული არ არის, მაგრამ კონტაქტი ახალ წლამდე მოხდება, თუმცა „შეიძლება, გვიანაც“. მისი თქმით, მოსკოვი უპირატესობას ანიჭებს ვიდეოფორმატს, მაგრამ ამ საკითხს თვითონ სახელმწიფო მეთაურები გადაწყვეტენ.

როგორც **ვლადიმერ პუტინმა** განაცხადა რამდენიმე დღის წინათ რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს გაფართოებულ კოლეგიაზე სიტყვით გამოსვლისას, ამა წლის ივლისში ბაიდენთან ჟენევაში გამართულმა შეხვედრამ „დიალოგისა და ურთიერთობის თანმიმდევრულად გაწონასწორების შესაძლებლობები წარმოაჩინა“.

რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის პრესმდივანმა რუსეთის უშიშროების საბჭოს მდივნის, **ნიკოლოზ პატრუშევის,** და ეროვნული უსაფრთხოების საკითხებში აშშ-ის პრეზიდენტის მრჩევლის, **ჯეიკ სალივანის,** შეხვედრაზეც ილაპარაკა და განაცხადა, რომ ეს შეხვედრა გაიმართა უმაღლეს დონეზე კონტაქტის მოსამზადებლად. **„ეს იყო უმაღლეს დონეზე მოსალოდნელი კონტაქტის მოსამზადებელი შეხვედრა. პატრუშევმა და სალივანმა იმსჯელეს სტრატეგიულ სტაბილურობასა და კიბერუსაფრთხოებაზე, აგრეთვე, უკრაინის თემასა და მიგრაციულ კრიზისზე ევროკავშირის საზღვრებთან“,** — განაცხადა დიმიტრი პესკოვმა.

**Ria.ru-ზე გამოქვეყნებული მასალების მიხედვით მოამზადა**
**ნიკა კორინთელმა**



# «ისე ეშინიათ, ლამის ისტერიკაში ჩავარდნენ!»

**რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს თავმჯდომარე ვიაჩესლავ ვოლოდინმა ვლადიმერ პუტინის პრეზიდენტად არაღიარების რეზოლუციის პროექტის კომენტირებისას, რომელიც ამერიკელმა კონგრესმენებმა შეიმუშავეს, განაცხადა, რომ „ამერიკის შეერთებულ შტატებში ისე ეშინიათ რუსეთის, ლამის ისტერიკაში ჩავარდნენ“. ვოლოდინის თქმით, ვაშინგტონის ქმედებები, მიმართული რუსეთის ლიდერის წინააღმდეგ, ცხადყოფს ამერიკელების შიშს პუტინის ხელმძღვანელობით ძლიერი რუსეთის წინაშე.**

**„მსგავსი რეზოლუცია კიდევ ერთხელ მეტყველებს იმაზე, რომ აშშ-ს არ სურს ძლიერი რუსეთი, ეშინიათ ისტერიკამდე. ყველაფერს აკეთებენ ჩვენს დასასუსტებლად, შემდეგ კი — დასანგრევად. ამისთვის კი მათ სჭირდებათ რუსეთში ხელისუფლების შეცვლა. დღეს ყველასთვის ნათელია: პუტინი რუსეთის უპირატესობაა!“** — დაწერა ვოლოდინმა თავის ტელეგრამარხზე.

**news.rambler.ru-ზე გამოქვეყნებული მასალის მიხედვით მოამზადა**
**ლუკა მაისურაძემ**



# საარსებო მინიმუმმა 224,2 ლარამდე მოიმატა

**2021 წლის ოქტომბერში საარსებო მინიმუმმა წინა თვესთან შედარებით 7,9 ლარით, რეკორდულ მაჩვენებლამდე მოიმატა.**

სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ინფორმაციით, ოქტომბერში შრომისუნარიანი მამაკაცის საარსებო მინიმუმი 224, 2 ლარს შეადგენდა, 2021 წლის სექტემბერში კი ეს მაჩვენებელი 216,3 ლარი იყო. მიმდინარე წლის ოქტომბერში 2020 წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით შრომისუნარიანი ასაკის მამაკაცის საარსებო მინიმუმი 36,5 ლარით არის მომატებული. შარშან, ოქტომბერში საარსებო მინიმუმი 187,7 ლარს შეადგენდა. ამასთანავე, „საქსტატის“ მონაცემებით, ოქტომბერში, სექტემბერთან შედარებით, 6,9 ლარით შემცირდა საშუალო მომხმარებლის საარსებო მინიმუმი და 191,6 ლარის ნაცვლად 198,5 ლარი გახდა. რაც შეეხება 2020 წლის ანალოგიურ პერიოდს, შარშან ოქტომბერში საარსებო მინიმუმი 166,3 ლარს შეადგენდა.

**ცნობისთვის:** საარსებო მინიმუმი დგინდება მინიმალური სასურსათო კალათის საფუძველზე. მინიმალური სასურსათო კალათა შეიცავს შრომისუნარიანი ასაკის მამაკაცის ნორმალური სიცოცხლისა და შრომისუნარიანობისთვის ფიზიოლოგიურად აუცილებელი საკვების რაოდენობას, მისი შემადგენელი ელემენტების (ცილების, ცხიმებისა და ნახშირწყლების) და კალორიულობის მინიმალურ ოდენობას.

**bpn.ge**

თუ გსურთ, გაზეთი „საქართველო და მსოფლიო“ მიიღოთ სახლიდან გაუსვლელად და ისარგებლოთ უფასო საკურიერო მომსახურებით, შეგიძლიათ დაუკავშირდეთ კომპანიას
„ელვა.ჯი“ — ტელ: 2 38 26 73; 2 38 26 74

www.geworld.ge
ესტუმრეთ ჩვენს საიტს
პოლიტიკა ეკონომიკა საზოგადოება ადამიანის უფლებები ისტორია

სარედაქციო კოლეგია
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
ავტორებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა ფაქტებისა და მონაცემების სიზუსტეზე. რედაქციის პოზიცია შეიძლება არ ემთხვეოდეს ავტორთა მოსაზრებებს.
მისამართი: თბილისი, დავით ბაქრაძის ქ. №6
ტელ.: 234-32-95; e-mail: geworld@inbox.ru

ISSN 2233-3894